

ბეატონი ნაწილები სეპარატორში:



## შ ი ნ ა ე რ ს ი

	83-
წინასიტყვაობა	07—08
შესავალი . . . . .	I—LIII
ბერძენული წარწერები სეპარატულად . . . .	1—135
ბიბლია	1— 7
ლიხინი . . . . .	7— 16
ახალი ათონი	16— 28
კუმა . . . . .	29
სოფელი	30
მოქეი . . . . .	30— 31
მაცხვარიში	32— 37
ივანე . . . . .	38— 39
მცხეთა	40
ხე . . . . .	40— 47
ნაკიფარი	47— 48
დოლი	48— 49
ლაფსყალი . . . . .	49— 50
ფარი, ქამვეთი, შურყმელი . . . . .	50
ჯახუნდგოი . . . . .	50
წალენჯიხა . . . . .	51— 65
კოცხერი	65— 67
ცაიში	67— 75
ხოზი	75— 86
ნოსირი	86— 88
ფოთი	88— 89
სეფეთი . . . . .	89— 91
მარტვილი (გუგუქორი)	91—104
შემოქმედი . . . . .	105—106
ლიბაური . . . . .	106—107
აკი . . . . .	107—110
ეაშნარი	110—112
ზონი	113—120
გელათი	120—164
ქუთაისი	164—167
კაცხი . . . . .	167—168
ნიკორწმინდა . . . . .	169—182
ნაბახტევი	183—187
დირბი . . . . .	187—188
ჟინჯვისი . . . . .	188—190
ატენი . . . . .	191—193

ბობნევი . . . . .	193—199
უფლისციხე	199
კაბენი .	199—200
წინარები	200—208
ძეგვი . . . . .	208
მცხეთა . . . . .	209—233
თბილისი . . . . .	234—291
ა. წარწერები ქვებზე . . . . .	234—257
ბ. წარწერები ბეჭდებსა და საბეჭდავებზე . . . . .	257—264
გ. წარწერები სხვადასხვა ნივთებზე . . . . .	264—269
დ. წარწერები სამღვდელთმსახურო ნივთებზე . . . . .	270—291
ლურჯი მონასტერი .	291
ფინეზაური . . . . .	292
აბჯღაძე . . . . .	292—293
ფიტარეთი .	294—299
ლიპი . . . . .	299—300
გუდარები . . . . .	300—302
ტიმოთეს უბანი . . . . .	303
თიქელი . . . . .	303—305
მიქელწმინდა .	305—306
გარძია . . . . .	306—317
მარცყოფი .	318
ნინოწმინდა . . . . .	318—319
ვეჯინი . . . . .	319—322
შუამთა . . . . .	322—326
თელავი . . . . .	326
ალავერდი . . . . .	327
ხემო ხოლაშენი . . . . .	327—329
ალვანი . . . . .	329—332
ტრემი . . . . .	332—346
ნეკრესი . . . . .	346—350
<b>ღამაგეპე, აბტალა . . . . .</b>	<b>361—363</b>
<b>საკუთარ სხვადასხვა საძიებელი</b>	<b>364—376</b>

## წინასიყვარობა

ჯერ კიდევ 1938 წელს, როდესაც სსრკ აკადემიის საქართველოს ფილოლოგიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ფილოლოგიის განყოფილება (შემდეგ წლებში ბიზანტინოლოგიის განყოფილებად გადაკეთებული), ამ განყოფილების თემატიკაში ვათვალისწინებელი იყო, აკად. ს. ჯანაშიას ინიციატივით, საქართველოს ისტორიის ბერძნული წყაროებისა და ბერძნულად დაწერილი მასალის შეკრება და გამოქვეყნება. მაშინვე იყო ნაუარაუდვეი, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბერძნული წარწერების სრული კრებულის შედგენა: არსებული პუბლიკაციებით ცნობილი წარწერების ადგილობრივ შემოწმება, ახალი, აქამდე გამოუქვეყნებელი წარწერების გამოვლენა და მათი ყოველმხრივი შესწავლა (ისტორიული, პალეოგრაფიული და ენობრივი თვალსაზრისით).

1945 წელს ამ მუშაობის შესრულება დამევალა მე. წინამდებარე შრომატ, „ბერძნული წარწერები საქართველოში“, ამ მუშაობის შედეგია: იგი შესრულებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების სამეცნიერო გეგმის მიხედვით 1945—1950 წლების განმავლობაში. თუ მე ამ სამუშაოს შესრულება შეეძელი, მხოლოდ იმის წყალობით, რომ შექმნილი მქონდა მუშაობისათვის ყოველმხრივ ხელშემწყობი პირობები: აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ყოველწლივ მიწუობდა მივლინებას საქართველოს რაიონებში მასალების შესასწავლად და მოსკოვისა და ლენინგრადის ბიბლიოთეკებში დამატებითი ლიტერატურული მასალის გასაცნობად (დაწერილებით იხ. ქვემოთ, გვ. X). ადგილობრივ, რაიონებში, როგორც პარტიული ისე საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები დიდის გულისხმიერებით ეპყრობოდნენ ჩემს მუშაობას და ყოველგვარ დახმარებას მიწევდნენ. ხშირად ჩემს მივლინებებს ვუფარებდი ჩემი კოლეგების, არქეოლოგოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა, ექსპედიციებს და ბერძნული წარწერების შემკველი ძეგლების მათთან ერთად. მოხილვა ჩემთვის ყოველთვის სარგებლობის მომტანი იყო.

ცალკეული რაიონების ძეგლთა ბერძნული წარწერების მიმოხილვას მოხსენებების სახით ვკითხულობდი ისტორიის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების ან სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის სხდომებზე და კოლეგების მითითებებს ამა თუ იმ საკითხზე სათანადოდ ვითვალისწინებდი.

ძალიან დამავალა და დიდი ყურადღებით გადაიკითხა მთელი მასალა პარტივეტმულმა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ, რომლის შენიშვნებმა ჩემ მიერ აღძრულ არა ერთ საკითხს ახლებურად მოჰფინა შუქი.

დიდი დახმარება გამიწია ირ. ციციშვილმა, რომელიც დაუზარებლად ხელმძღვანელობდა წიგნის მხატვრულ გაფორმებასა და წარწერათა გრაფიკული მასალის დამზადებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭომ, როგორც კი დამზადდა წიგნი, შეიტანა ის მაშინვე თავის საგამომცემლო გეგმაში, ხოლო აკადემიის გამომცემლობამ ყოველგვარი ზომები მიიღო იმისათვის, რომ წიგნი თავის დროზე დაბეჭდილიყო.

ზემოხსენებულ დაწესებულებათა, ხელმძღვანელთა და ამხანაგთა დახმარებამ შემაძლებინა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიერ დაკისრებული სამუშაო შემესრულებინა.

20. XII. 1951

თ. შაუხჩიშვილი

## შესავალი

ეპიგრაფიკა შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული განსაზღვრის თანახმად ეპიგრაფიკის საგანს შეადგენს ყველა წარწერა, მიუხედავად მათი შინაარსისა, რომლებიც ამოკრილია მაგარ საწერ მასალაზე: ქვაზე, ლითონზე, ხეზე, კერამიკაზე და ა. შ. ამდენად, სრულიად უეჭველია მისი მჭიდრო კავშირი პალეოგრაფიასთან. უფრო მეტიც: პალეოგრაფია, ფართო გაგებით, შეიცავს ეპიგრაფიკასაც (ვიწრო გაგებით პალეოგრაფია ძირითადად ხელნაწერებს სწავლობს).

თუკი რომელიმე ენაზე შესრულებული წარწერების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი შესწავლილია, პირველ რიგში ეს ითქვის ბერძნული წარწერების ზიმართ. ეს ბუნებრივიც არის: ძველი საბერძნეთისადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, ხოლო XIX საუკუნიდან ეს ინტერესი გაასკეცდა და ამის რეალურ შედეგად მოჰყვა ისეთი ახალი სამეცნიერო დარგების განვითარება, როგორცაა ეპიგრაფიკა, არქეოლოგია, პალეოგრაფია, პაპიროლოგია.

საერთოდ ბერძნული ეპიგრაფიკის დარგში სხვა შრომები რომ არ მოვიხსენიოთ, გვერდს ვერ აუვლით: 1828—1877 წლებში გამოსულ კრებულს—*Corpus inscriptionum Graecarum* (4 ტომი + V, საძიებლები), რომლის დამფუძნებელი და პირველი რედაქტორი იყო ავგუსტ ბეკი (August Böckh,) ხოლო თანამშრომლები და გამგრძელებლები ფრანკი, კურციუსი, მაინეკე, კირხჰოფი. კრებული შეიცავს 9926 წარწერას და წარმოადგენს ფუძემდებელ ნაშრომს ამ დარგში. ეს გამოცემა, რა თქმა უნდა, მეტისმეტად დადებითი მოვლენა იყო, მაგრამ, როგორც ყოველ პირველ ნაბიჯს, მასაც ახლდა სერიოზული ნაკლოვანება, რაც კიდევაც აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში (კოპი, ჰერმანი). ამის შემდეგ, 1873—1904 წლებში გამოვიდა *Corpus inscriptionum Atticarum* (3 ძირითადი ტომი + IV, დამატებანი), რომლის ცალკეული ტომების რედაქტორები არიან ა. კირხჰოფი, უ. კელერი, ვ. დიტენბერგერი. ეს გამოცემა შეიცავს დაახლოებით 10 000 წარწერას; წარწერების გამოცემის ხარისხი გაცილებით უფრო მაღალია (მასალა შემოწმებულია ადგილობრივ, დაბეჭდილია მეტწილად მათი ფაქსიმილეები და სხვა). დროთა ვითარებაში სულ უფრო მეტი წარწერა ვლინდება. ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისისათვის. ვ. ლარფელდი აღნიშნავდა, მეცნიერება 100 000 ბერძნულ წარწერას იცნობსო. ამასთან დაკავშირებით დგება წარწერათა სრული კრებულის გამოცემის — უკიდურეს შემთხვევაში, არსებულის შევსების—აუცილებლობის საკითხი. ჯერ კიდევ 1890 წელს იწყება განოცემა იმ სერიისა, რომელსაც *Inscriptiones Graecae* ეწოდება და რომლის პირველი

რედაქტორი გ. კაიბელი იყო. ეს სერია ცალკეულ ტომებში შეიცავდა საბერძნეთის სხვადასხვა კუთხის წარწერებს და თითოეულ ტომს თავისი რედაქტორი ჰყავდა, რის გამოც ყველა ნაწილი ერთნაირი ღირსებისა არ გამოდგა. 1903 წელს უ. ვილამოვიც-მელენდორფის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით მიიღო ეს სერია (და მასთან ერთად ატიკის წარწერების კრებულის) გადანაწილდა 14 ტომად. ამ ტომებში არ შესულა მცირე აზიის წარწერები, რომელთაც მიეძღვნა 1901 წელს ე. კალინკას მიერ გამოცემული „*Tituli Asiae Minoris*“. ამის შემდეგ, ცალკეულ ახალ აღმოჩენებთან დაკავშირებით, ანდა ამა თუ იმ ადგილის არქეოლოგიურ თხრასთან ერთად ქვეყნდებოდა სხვადასხვა შრომები, რომლებიც შეიცავდა ბერძნულ წარწერებს. გარდა მთლიანი კრებულებისა, რომლებშიც მასალა ძირითადად დალაგებულია გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით, არის არაერთი ცალკეული შრომა, რომელშიც მოთავსებულია დარგობლივ შერჩეული ბერძნული წარწერები (ისტორიული, იურიდიული, დიალექტური), მათ შორის არ შეიძლება უუურადღებოდ დავტოვოთ: R. Cagnat, *Inscriptiones graecae ad res romanas pertinentes*, 1901 წ. და შმდ. E. L. Hicks and G. F. Hill, *Historical greek Inscriptions*,<sup>2</sup> 1901 წ. და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ბერძნული სინამდვილის შემსწავლელნი და კერძოდ ეპიგრაფიკის სპეციალისტები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ უძველესი წარწერების მიმართ, აქვეყნებდნენ განსაკუთრებით წარმატებული დროის ძეგლებს. ქრისტიანული ბერძნული წარწერები დიდხანს უუურადღებოდ იყო: მათი საკითხი დადგა ბიზანტინოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ 1898 წელს *Bulletin de correspondance hellénique*-ის ნომერში (გვ. 410 და შმდ.) დაიბეჭდა თ. ომოლის (Th. Homolle) წერილი იმის შესახებ, რომ ფრანგული არქეოლოგიური სკოლა აპირებს ბერძნული ქრისტიანული წარწერების გამოცემას. უფრო დაწვრილებით ამ განოცემის პროექტი განხილულია გ. მილეს (G. Millet) მიერ ეურნალში *Byzantinische Zeitschrift* (1906, XV, გვ. 496--502). როგორც ეს წერილი ვეამცნობს, განზრახული ჰქონიათ ქრისტიანული ხანის ყველა ბერძნული წარწერის გამოცემა (XIX ს-ის მასალითურთ) და ეს წარწერები შევიდოდა სერიაში *Inscriptiones Graecae*. ამ მიზანდასახულებას განხორციელება დიდხანს არ ეღირსა. მხოლოდ 1941 წელს გამოსცა ვეისმა (N. A. Bees) „*Corpus der griechisch-christlichen Inschriften von Hellas*“ I ტომის I ნაკვეთი; 1946 წელს გამოვიდა ამ კორპუსის მეორე ნაკვეთი ლიცმანის, იმავე ვეისისა და სოტერიუს რედაქციით. ცალკეულ კუთხეთა ქრისტიანული ბერძნული წარწერები მანამდე სხვების მიერაც არის გამოცემული: Ch. Bayet, *De tituli Atticae christianis antiquissimis*, 1878; G. Millet, J. Pargoire et L. Petit, *Recueil des inscriptions chrétiennes du mont Athos*, 1904. F. Cumont, *Les inscriptions chrétiennes de l'Asie Mineure (Mélanges d'archéologie et d'histoire, 1895, XV, p. p. 245—300)*. H. Grégoire, *Recueil des inscriptions grecques chrétiennes d'Asie Mineure*, I, 1922. J. S. Creagh, S. J., and A. E. Raubitschek, *Early Christian Epitaphs from Athens (Hesperia, 1947, XVI და Theological studies, 1947, p. p. V+54)*.

აღსანიშნავია ის თეორიული მონოგრაფიები, რომლებიც ევროპის მეცნიერებმა შექმნეს ეპიგრაფიკის დარგში: W. Larfeld, Griechische Epigraphik, I—II, 1914 (უქანასკნელი გამოცემა); E. S. Roberts, An Introduction to greek Epigraphy, I—II, S. Chabert, Histoire sommaire des études d' épigraphie grecque და სხვა. არის მონოგრაფიები ცალკეული წარწერების შესახებ, როგორცაა: K. Meisterhans, Grammatik der Attischen Inschriften, 1900. E. Nachmanson, Historische attische Inschriften 1913. P. Kretschmer, Die griechischen Vaseninschriften, ihrer Sprache nach untersucht, 1894 და სხვა.

ბერძნული ეპიგრაფიკის განვითარება უეჭველად არის დაკავშირებული ეურნალთან Bulletin de Correspondance hellénique, რომელიც 1881 წლიდან გამოდის და რომელიც მეტწილად წარწერების პუბლიკაციას წარმოადგენს.

ბერძნულ ეპიგრაფიკას თვით ბერძენი მეცნიერებაც სწავლობენ: ამ მხრივ აღსანიშნავია XIX ს-ის 30-იან წლებში ათენში ჩამოყალიბებული არქეოლოგიური საზოგადოება ('Η έν 'Αθήνας ἀρχαιολογική 'Εταιρεία), რომლის ორგანოდ იყო 'Εφημερίς 'Αρχαιολογική, ძირითადად ეპიგრაფიკული ეურნალი. ბერძენ ეპიგრაფიკოსთა შორის განსაკუთრებით გაითქვეს სახელი კ. პიტაკისმა, ა. რანგავეისმა და სტ. კუშანუდისმა<sup>1</sup>:

მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ბერძნული ეპიგრაფიკის შესწავლის დარგში კონსტანტინეპოლის რუსულმა არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა, რომელიც 1895 წელს დაარსდა და სადაც თანამშრომლობდნენ სახელგანთქმული რუსი ბიზანტინისტები, არქეოლოგოსები და ეპიგრაფიკოსები: თ. უსპენსკი, ბ. ფარმაკოვსკი, ა. ნიკიტსკი, ნ. ნოვოსადსკი, ე. პრიდიკი და სხვები. XIX ს-ის მეორე ნახევარში თვით რუსეთში თანდათანობით ყალიბდება არქეოლოგიური საზოგადოებები: პეტერბურგისა, ოდესისა და მოსკოვისა, რომელთა მიზანი ძირითადად არქეოლოგიური თხარაა, მაგრამ რომლებიც თხარასთან დაკავშირებით ეპიგრაფიკულ მასალასაც აქვეყნებენ და სწავლობენ. ამ საზოგადოებათა შესასწავლ ობიექტს უპირატესად შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო წარმოადგენს. რუს ეპიგრაფიკოსთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ლატიშევი, რომელსაც, ცალკეული წერილებისა და პატარა კრებულების გარდა, ეკუთვნის: „Inscriptiones antiquae orae septentrionalis Ponti Euxini graecae et latinae“, რომელიც გამოვიდა 3 ტომად (I, II, IV) 1885—1901 წლებში და შეიცავს დაახლოებით 1200 წარწერას და „Сборник греческих надписей христианских времен из Южной России“ 1895 г. ამდენად, ვ. ლატიშევის ეს უქანასკნელი შრომა ქრისტიანული წარწერების ერთი პირველ კრებულთაგანია. ვ. ლატიშევისავე კალამს ეკუთვნის ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო „К истории христианства на Кавказе: Греческие надписи из Ново-Афонского монастыря“. СПб, 1911 г.

<sup>1</sup> ლიტერატურის შესახებ დავერილებით იხილე Н. И. Новосадекий, Греческая эпиграфика, часть I, Москва, 1903. стр. 225—233. F. Hiller von Gaertringen, Griechische Epigraphik, გვ. 23—24: Einleitung in die Altertumswissenschaft, I, 9. 1924.



კავკასიისა და კერძოდ საქართველოს სიძველეებისა თუ ბერძნული წარწერების შესწავლაში დიდი ღვაწლი ნიუძღვის მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარეს ა. უვაროვს და მის მეუღლეს, პ. უვაროვას. უშუალოდ ა. უვაროვის ინიციატივით V არქეოლოგიური ყრილობისათვის, რომელიც შედგა თბილისში, ი. პომიალოვსკიმ გამოსცა 1881 წელს „Сборник греческих и латинских надписей Кавказа“. ამ კრებულის შეფასება დაწერილებით იქნება ქვემოთ.

ბერძნული ეპიგრაფიკის რუს საპეციალისტთა შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს ნ. ნოვოსადსკის ღვაწლი. ცალკეული წერილები და შრომები რომ არ განვიხილოთ<sup>1</sup>, გვერდს ვერ აუუვლით მის სალექციო კურსს „Греческая эпиграфика“ (I და II გამოცემა 1909 და 1915 წლებში). ეს წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ მოაზრებული შრომის I ნაწილს, ან, უკეთ, შესავალს. იგი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: Введение; История эпиграфических открытий и обзор важнейших сборников надписей; Эпиграфические открытия в России, разработка и издание найденных в её пределах надписей; Приложения. როგორც ამ სათაურებიდან ჩანს, შრომა შეიცავს ცალკეპირთა თუ არქეოლოგიურ საზოგადოებათა მოღვაწეობის მიმოხილვას, ეპიგრაფიკული კრებულების ჩამოთვლასა და აღწერას, შეფასებითურთ და სხვა. შრომა წარმოადგენს ეპიგრაფიკის შესწავლის ისტორიას. შრომაში არაა — და ვფიქრობ, II ნაწილისათვის იქნებოდა გადადებული, — თვით ეპიგრაფიკის ძირითადი საკითხები: საწერი მასალა, საწერი (თუ საკრელი) იარაღები, წერის ხერხები, დამწერლობის ტიპები, ვანხილული ქრონოლოგიისა და გეოგრაფიის მიხედვით, ინდივიდუალურ მწერალთა თავისებურებანი და სხვა.

ნ. ნოვოსადსკისვე ეკუთვნის სტატია „Античная эпиграфика в СССР за 20 лет (1917—1937)“<sup>2</sup> ამ წერილში მოცემულია საბჭოთა (ძირითადად რუს) მეცნიერთა იმ შრომების მიმოხილვა, რომლებშიც ეპიგრაფიკული მასალა განხილული ან ეპიგრაფიკული საკითხებია წამოჭრილი. მოცემულია ცალკეულ შრომათა მოკლე ანატოცია და შეფასება. ამ წერილში განხილული ავტორების მიერ დამუშავებული მასალა მეტწილად ან საბერძნეთისაა მოტანილი, ან ე. წ. შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ბერძნული კოლონიებისა. ავტორთა შორის ხშირად იხსენიებიან ს. ებელიოვი, ე. პრიდიკი, ბ. გრაკოვი და სხვანი. საქართველოში დაცულ ბერძნულ წარწერათა შესახებ არსებული პუბლიკაციებიდან დასახელებულია ა. ამირანაშვილის წერილი „О греческой надписи из окрестностей Мухета (ИГАИМК, V, 409—411)“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> როგორცაა, მაგალითად, „Несколько заметок о греческих христианских надписях, Харьков, 1914.

<sup>2</sup> ჟურნალში „Вестник древней истории“, 1938, 4 (5), стр. стр. 200—213.

<sup>3</sup> ამას გარდა, ა. ამირანაშვილს (იმავე ა. ბოლტუნოვას) ეკუთვნის საქართველოში დაცული ზოგი სხვა წარწერის პუბლიკაცია. იხ. მისი წერილი „Греческие надписи Музея Грузии“: საქ. მეზღვის მოამბე, IV, 1928. ე. წ. ვესპასიანის წარწერის ახლებურ წაკითხვას აქვეყნებს იგი შრომაში: „Иберия и римская оккупация в Азии“: ВДИ, 1936, 4 (5), стр. стр. 161—173. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ.

მართალია, სპეციალურად ბერძნული ეპიგრაფიკის საკითხებისადმი არაა მიძღვნილი, მაგრამ ამ დარგის შესახებ ბევრ ცნობას შეიცავს ვ. ბუხესკულის შრომა „*Византизм и ее представители в России в XIX и начале XX века*“, часть II, Ленинград, 1931.

ავტორის აზრით, რუსეთში ეპიგრაფიკით განსაკუთრებით XIX ს-ის 70—80-იან წლებში დაინტერესდნენ (პირველ მნიშვნელოვან შრომად მას ი. პომიანოვის კრებული მიაჩნია), ეპიგრაფიკული მიმართულების განვითარებას ვ. ბუხესკული თ. სოკოლოვისა და მისი სკოლის დამსახურებად სთვლის.

საქართველოში აღმოჩენილი და დაცული ბერძნული წარწერების ქართულ ნეცნიერთა მიერ სპეციალური მეცნიერული შესწავლა მხოლოდ უკანასკნელი წლების საქმეა. მანამდე ცნობები ამ წარწერათა შესახებ მიმომხეხული იყო XIX—XX სს. ქართველ მოღვაწეთა შრომებში და არაქართველ მოგზაურთა თხზულებებში. როგორც ზემოთაც ვთქვი, არც ერთი შრომა არ ყოფილა სპეციალურად ბერძნული ეპიგრაფიკისადმი მიძღვნილი: ზოგი მათგანი საქართველოს ამათუი კუთხის აღწერილობას ისახავს მიზნად, ზოგი არქეოლოგიურ კვლევას („არქეოლოგიურს“ ძველებური გაგებით, ყოველგვარი სიძველეების მნიშვნელობით), ზოგი კი ხელოვნებათმცოდნეობითი ხასიათისაა. მაგრამ ეს შრომები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ძველი ქართული კულტურის შესწავლა-ათვისებისათვის, სამსახურს უწევენ ბერძნული ეპიგრაფიკით დაინტერესებულ პირებსაც, ოღონდ არაა გასაკვირველი, თუ მათ ამ მხრივ სისრულე და სიზუსტე აკლიათ, ვინაიდან არც ერთი ეს შრომა სპეციალური არ არის. ყოველ ცალკეულ წარწერასთან დაკავშირებით ამ შრომების შეფასება მოცემული იქნება ქვემოთ ამ წარწერათა თუ მათ შესახებ ცნობათა განხილვისას. XIX—XX სს მოღვაწეთაგან საქართველოში დაცული ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავი არიან: ფრ. დიუბუა დემონპერე (Fr. Dubois de Montpéroux, Voyage autour du Caucase... v. v. I, II, III, IV, 1839), მ. ბროსე (M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, I—XII, St. Pé. 1850); პლ. იოსელიანი, რომლის არაერთი შრომა შეიცავს მითითებებს ბერძნული წარწერების დაცულობის შესახებ: „Путевые записки по Кавхетии“, „Описание марткопского монастыря“, „Жизнь Великого МOURAVA кн. Георгия Саакадзе“, „Род князей Чолокаевых“, „Описание древностей Тифлиса“, (1840—1870 წლებში) და სხვა; დიმ. ბაქრაძე, რომლის შრომათაგან განსაკუთრებით ყურადსაღებია: „Сванетия“ (1861 წ.), „Кавказ в древних памятниках христианства“ (1875 წ.), „Арх. путешествие по Гурии и Адчаре“ (1879 წ.) და ნ. კონდაკოვთან ერთად 1890 წელს პეტერბურგში გამოცემული შრომა: „Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии; გ. წერეთელი, რომლის შრომათაგან აღსანიშნავია „Полное собрание надписей Гелатского монастыря“ (Древности Восточные I, вып. II, Москва 1891 г.) და „Археологическая прогулка по Квирильскому ущелью“ (Христианские памятники: МАК,

VII, 1898); ექ. თაყაიშვილი, რომლის მრავალრიცხოვან შრომებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საერთოდ ეპიგრაფიკის საკითხებს და, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ქართული წარწერების შეგროვება-კონსერვაცია, მაგრამ გზადაგზა, რამდენადაც ერთსა და იმავე ძეგლზე ხშირად ქართულ წარწერებს ბერძნულიც თან ახლავს, ამ უკანასკნელსაც ხედონია წილად პუბლიკაცია, ან ჩინი დაცულობის შესახებ შენიშვნა მაინც. ექ. თაყაიშვილის შრომათაგან ჩვენის თვალსაზრისით საინტერესოა: „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, I, II (1907 და 1914 წწ.); მრავალი წერილი სერიაში „ძველი საქართველო“ I—IV ტტ (1909—1915 წწ.); „Археологические экскурсии, разыскания и заметки“, Тифлис, I—V вып. (1905—1915 гг.); „Из археологических экскурсий по Гурийским церквам“ (Известия КОМАО, II от. 1, Тифлис, 1907); „Христианские памятники, экскурсии 1902 г.“ (МАК, XII, 1909 г.); „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ (პარიზი, 1937); „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“ (პარიზი, 1938) და სხვა.

თუ ამჟამად ამ ძირითად შრომათა მსოლოდ ჩამოთვლას ვჯერდები, ეს ნხოლოდ იმიტომ, რომ ქვემოთ თავ-თავის ადგილას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საკმაო სისრულითა და ჯეროვანებით არის დაფასებული თითოეული მკვლევარის დამსახურება და მათი ცნობების მიმართ კრიტიკული შენიშვნებიც არის გაკეთებული.

როგორც ზემოთაც ითქვა, ი. პომიალოვსკიმ 1881 წელს გამოსცა „Сборник греческих и латинских надписей Кавказа“:

ეს კრებული კრიტიკულად შეფასებულ იქნა ჯერ კიდევ 1884 წელს, თურნალში Berliner philologische Wochenschrift (გვ. 1346—1348). რეცენზიის ავტორი პ. პაუპტი გადმოგვცემს ამ Corpus-ის წარმოშობის ისტორიას და ახასიათებს მას შემდეგი საკითხების მიხედვით: დალაგების პრინციპი (გეოგრაფიული); მეთოდი (მოგზაურების, გეოგრაფების, ისტორიკოსების შრომებიდან გამოკრეფა); დრო (ყველაფერი ერთადაა—ძველი ბერძნული, რომაული, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ხანის წარწერები); მაინც ღირსება (ასეთი კრებული პირველია). ბოლოს იგი გამოთქვამს სურვილს, რომ ვინმე არქეოლოგმა სპეციალურად მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი. ი. პომიალოვსკის შრომას აფასებენ აგრეთვე ვ. ლატიშევი<sup>1</sup> და ნ. ნოვოსადსკი<sup>2</sup>. უმთავრესი წუნი, რასაც ისინი სამართლიანად სდებენ კრებულს, ისაა, რომ მასალა არაა შემოწმებული დედანთა მიხედვით—იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს უკანასკნელი „ერმიტაჟში“ იყო მოთავსებული.

რადგან წინამდებარე ნაშრომში ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ბევრჯან მომიხედება მითითება ი. პომიალოვსკის კრებულზე, საჭიროდ

<sup>1</sup> В. В. Латышев, Кавказские памятники в Москве: Записки имп. русск. арх. общества, 1887, II, стр. 44 და შმდ. მიუთვ: Заметки о Кавказских надписях: Известия имп. арх. комиссии, Вып. 10, стр. 98 და შმდ.

<sup>2</sup> Н. И. Новосадский, Греческая эпиграфика, часть I, Москва, 1908, стр. стр. 182—183.

მიმაჩნია მასზე აქ ცოტა დაწერილებით შეიგრება. შეეხებები მხოლოდ ბერძნულ წარწერებს და სახელდობრ იმათ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არის აღმოჩენილი. როგორც კრებულის პატარა წინასიტყვაობიდან ჩანს, ავტორს ვეღლებოდა შეეკრიბა ბერძნული და ლათინური წარწერები, რისთვისაც მას დაუქუშავენია ძირითადი ავსურები, — მეტწილად მოგზაურები—და ამოღწერია მათ მიერ მოყვანილი ცნობები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც როსელსანე ავტორის თვით წარწერა არ უქონია მოყვანილი, არაბედ მხოლოდ მიუთითებდა ასეთი წარწერის არსებობას. წინასიტყვაობაში არსად არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ი. პომიალოვსკის ადგილზე ემი წინების მასალა. ანაჲ აღნიშნავენ ძველი რეცენზენტები და ამასვე ადასტურებს ჯერ ერთი თვით შრომა და მეორე მის მიერ აღნიშნული ძეგლების ადგილობრივ შესწავლა. ი. პომიალოვსკის შრომა დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ სვანთა სიტყვაზე. როდესაც მას ხელა უქონია ერთისა და იმავე წარწერის შესახებ რაღაცნივე ცნობა, ჩვეულებრივ ისინი ერთიმეორისათვის უდარებია და პროფ. დესტუნისისა და აკად. ნაუჟის შებედულებებიც დაურთავს თან. საერთოდ კი იგი უკრიტიკოდ და უკომენტარიოდ გადმოგვცემს, რაც მასზე აღჩინდელ ავტორებს დაუმუშავენიათ.

ჩვენ წინაშე, უპირველეს ყოვლისა, დგას საკითხი, თუ როგორ გადასწრა ი. პომიალოვსკიმ დასახული ანოცანა, ე. ი. შეკრიბა თუ არა ყველა გამოცემული წარწერა? ავტორს გამოყენებული აქვს თითქმის ყველა ძირითადი შრომა, დაწერილი რუსულ და ევროპულ ენებზე. ასეთებია: ბაქრაძის, იოსელიანის, მურავიოვის, ბროსეს, დიუბუა დე-მონპერეს და სხვათა შრომები. მასალა ამ შრომებიდან ძალიან კეთილსინდისიერად არის ამოკრეფილი, თუმცა შეიძლება შეინიშნოს, რომ თითო-ოროლა ცნობა მაინცაა გამოტოვებული. ნიმუშისათვის—კრებულში შეტანილი არ არის ბროსეს Rappports, I. p. 16, სადაც კოჯრის ეკლესიის შესახებ შემდეგია ნათქვამი: „Les murs couverts de peintures, avec les noms en grec ou en géorgien“; ან კიდევ არაა გამოყენებული დი. ბაქრაძის „Сванетия“-ში (1877, стр. 110) მოყვანილი ცნობა, რომ თავისუფალ სვანეთში წვირმის თემის სოფ. ზაგარის ეკლესიაში დაცულია ლეთისწობლის ხატი ბერძნული წარწერით და სხვა.

ი. პომიალოვსკის მასალა დალაგებული აქვს გეოგრაფიული პრინციპით (აფხაზეთი, სვანეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, ქართლი, კახეთი), ხოლო ერთსადაიმავე გეოგრაფიულ პუნქტში არსებულ წარწერებს იგი გადმოგვცემს შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ წარწერებს შენობებზე (ჩვეულებრივ ეკლესიებზე). ქვებზე და შემდეგ სამღვდელთნსახურო ნივთებზე (ხატებზე, ჯვრებზე, შესამოსელზე). წარწერების გამოქვეყნებისას ავტორი თავიდან იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას და მთელი კრებული ციტატების სახითა აქვს წარმოდგენილი. როდესაც რაიმე ცნობა მოჰყავს, იგი იქვე მიუთითებს დამატებით ლიტერატურას. ავტორი ზოგიერთი ძეგლის აღწერისას გადმოგვცემს ყველა ცნობას, რაც კი ლიტერატურაში უნახავს და ბოლოს ურთავს სპეციალისტთა მიერ მათ საფუძველზე გამოთქმულ შეხედულებებს (მაგ., ხახულის ხატის აღწერისას, გვ. გვ. 43—55).

რა ღირებულება აქვს ჩვენთვის ი. პომიალოვსკის წიგნს, რომელიც მხოლოდ კრებულია სხვადასხვა შრომებში მოთავსებული ცნობებისა? ეს შრომა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი არის უჯრუჯერობით ერთადერთი წიგნი, რომელშიც თავმოყრილია ბევრი ცნობა საქართველოში დატულ ბერძნულ წარწერებზე, რომლებიც გამოქვეყნებული იყო 1880 წლამდე. ეს წიგნი არის გზის მაჩვენებელი იათთვის, ვისაც საქართველოში მოპოვებული ბერძნული წარწერების შესწავლა თუ შეგროვება დასჭირდება. ამ წიგნის გაცნობის შემდეგ ჩვენ უკვე ვიცით, თუ სად უნდა ვეძებოთ ბერძნული წარწერები. ი. პომიალოვსკის მიერ ჩატარებული შრომა პირველი და აუცილებელი საფუძვლი იყო იათისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ჩვენში დატულ ბერძნულ წარწერათა მეცნიერული გამოცემა. გამოდგება თუ არა იგი იმ სახით, რა სახეც მას აქვს? ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა გადნელდება, რადგან შრომა, იმის გამო, რომ იგი სხვათა სიტყვაზეა აგებული, საქმოდ ნაკლოვანია. ი. პომიალოვსკი სარგებლობდა ისეთი შრომებით, რომლებშიც თავმოყრილია მასალა ქართული ენის გრამატიკიდან. საქართველოს გეოგრაფიიდან, ეთნოგრაფიიდან, ისტორიიდან, არქეოლოგიიდან და სხვა მრავალი დარგიდან. ეს შრომები ბერძნული წარწერების შესახებ გვაძლევნ შეთხვევითი ხასიათის ცნობებს, რადგან მათი მთავარი მიზანი სხვაა. ამდევად, ავტორი სარგებლობს არა სპეციალური გამოკვლევებით, არამედ ზოგადი თხზულებებით, რომელთა ავტორებს არც ბერძნული ენის ზედმიწევნით ცოდნა მოეთხოვებათ და არც ბერძნული ეპიგრაფიკისა. ეს იგრძნობა კრებულის ცნობების შემოწმების დროს. მთავარი, რაც იქცევს ყურადღებას კრებულში დასახელებული ისტორიული ძეგლების ადგილობრივ შესწავლისას, ისაა, რომ მეტად მცირე მასალაა წარმოდგენილი. შეიძლება ვკვირქარა, რომ გამოყოფილია მეტი მნიშვნელობის მქონე მასალა და მხოლოდ ის არის გამოკვეთებული. მაგრამ, ჩანს, არც ეს იყო ასე. ხშირად დამოწმებულია რომელიმე უბნიშვნელო „M<sup>1</sup>P 6<sup>1</sup>Y“ და უყურადღებოდაა დატოვებული იქვე არსებული, უშვლელბელი გრაგნილები, შევსებული გაბმული ბერძნული ტექსტებით წმ. მათათა თხზულებებიდან. გარდა ამისა, რომელი წარწერებიც არის კრებულში შეტანილი, ისინიც ხშირად არაა ზუსტად გადმოცემული. მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, ი. პომიალოვსკის კრებული, როგორც ითქვა, მატად მნიშვნელოვანი იყო.

საქართველოში დატული ბერძნული წარწერების სპეციალური მეცნიერული შესწავლა დაახლოებით 25 წლის საქმეა.

1928 წელს გამოქვეყნდა ა. ამირანაშვილის „Греческие надписи Музея Грузии“ (საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, გვ. გვ. 189—202). ამ წერილში მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დატული რვა ბერძნული წარწერა, რომელთა მეტი წილი მანამდეც იყო გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორთა მიერ. ა. ამირანაშვილმა წარწერები ორიგინალების მიხედვით შეისწავლა და მათი აღრიხდელი წაკითხვა შეასწორა. გამოცემის ნაკლი ისაა, როგორც თვით გამომცემელიც შენიშნა, რომ წარწერები ფაქსიმილებით არაა გადმოცემული. ა. ამირანა-

შეიღის გამოკვლევებზე უფრო დაწერილებით ქვეყნით, ცალკეულ წარწერებთან დაკავშირებით.

1930-იანი წლებიდან საქართველოს ტერიტორიაზე ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერების პუბლიკაცია ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს. მისი ამ ხასიათის შრომებია: „არმაზის აღმოჩენილი ბერძნული წარწერები (სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, № 1—2, გვ. გვ. 169—176, 1941 წ.) და „მცხეთა სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა“ (სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, IV, № 6, გვ. გვ. 577—583, 1943 წ.). ორივე წერილში მოცემულია წარწერათა ფოტოპირები, დადგენილი რედაქცია, ენობრივი გარჩევა, თარგმანი და ისტორიული მნიშვნელობა. პროკოპი კესარიელის მიერ დასახელებული „ლუკარიონისა“ და იუსტინიანეს მიერ ხმარებული „ლესირის“ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით (ეს არის ქართული „ნოსირი“) იმავე ავტორის მიერ გამოკვლევებულია „ნოსირის ბერძნული წარწერა“ (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XVI, გვ. გვ. 141—147, 1941 წ.). საქართველოში ბერძნების დასახლების ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით ს. ყაუხჩიშვილი აქვეყნებს რამდენსაზე საფლავის ქვის წარწერას აფხაზეთიდან და სამხრეთ-საქართველოდან (ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში“; ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიკის შრომები, ტ. IV, 1942 წ. გვ. გვ. 219—230; ტ. VI, 1946 წ. გვ. გვ. 125—153).

ამავე დროისათვის ბერძნული წარწერების არასპეციალური პუბლიკაცია ეკუთვნის ლ. მელიქსეთ-ბეგს („არქეოლოგიური მოგზაურობიდან კათედრის ხეობაში 1923 წ.“; ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, V, ტფილისი, 1925 წ., გვ. გვ. 129—145) და გ. ბოქორიძეს („რაქის ისტორიული ძეგლები“; საქ. მუზეუმის მოამბე, V, გვ. გვ. 214—218). თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეთა ცალკეულ შრომებში არა ერთჯერ გვხვდება მითითება ამათუ იმ ძეგლზე ბერძნული წარწერის არსებობაზე.

\* \*

საქართველოს ტერიტორიაზე დატულ ბერძნულ წარწერათა კრებულის გამოცემაზე მუშაობა იმით დავიწყე, რომ შევანოწმე ყველა წარწერა, რომლებიც ი. პომიალოვსკის ზემოთ განხილულ კრებულში არის თავმოყრილი, შემდეგ მოვძებნე ახალი მასალა. გარდა ი. პომიალოვსკის შრომაში დატული წარწერებისა, შევანოწმე ბევრი სხვა ცნობა მიმოფანტული სხვადასხვა ავტორთა ცალკეულ, არასპეციალურ გამოკვლევებსა და თხზულებებში. ამასთანავე აღვიღე შევისწავლე ბევრი ისეთი წარწერა, რომლებიც თავაზიანად მიმითითეს სხვადასხვა დაოგთა სპეციალისტებმა. რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, რომ წინამდებარე ნაშრომში მასალა ანოწმურავად არის წარმოდგენილი. ჩასი ი. პომიალოვსკის შრომასთან შედარებით ბევრი რამ ახალი არის, მაგრამ დროთა ვითარებაში ამ კრებულის კიდევ და კიდევ შეესება აუცილებელი იქნება. კრებულში არა ნაკლებ შეტანილი ისეთი ძეგლები და წარწერები, რომლებიც შეიცავს მხოლოდ ტრაჟარეტულ „მკჲ მჲ-ს ან „Iჯ Xჯ.“ს. ის ძეგ-

ლები, რომლებიც შეიცავენ სხვა წარწერებსაც და ამასთანავე მრავალ „აჲჲ ზ“ და I ო X-ს, რათქაუნდა, ზუსტად მაქვს აღწერილი და ასეთი გავრცელებული წარწერები ინდენჯიკ მაქვს მოყვანილი, რამდენჯერაც კი გვხვდება. ასეთ ძეგლებს განეკუთვნებიან: ლეჩხუმ-სვანეთში დატული სამღვდელთმსახურო ნივთები (ცხადია. ისინი, რომლებიც ჩვენს მუზეუმებში არ მოხვედრილან), სანხრეთ-საქართველოს არქიტექტურული ნაგებობანი (მაგ., ზარზნისა და საფარის ტაძრები), უბისის ეკლესია—იმერეთში.

მასალის დამუშავების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო ძეგლის ადგილზე წესწავლა (თავთავის ადგილას აღნუსხულია ყველა ის შემთხვევა, როდესაც ესარგებლობდი სხვათა გადმონაწერებით). ამ მიზნით ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიერ რამდენჯერავე ვიყავი მივლინებული: 1945 წლის ივლის-აგვისტოში—გელათში, ნიკორწმინდასა და სამეგრელოს უმთავრეს ადგილებში; 1946 წლის მაისში გურიაში, ხოლო აგვისტო-სექტემბერში—ქახტასა და ქართლში; 1947 წლის აგვისტოში—ხონსა, ხობსა და ზემო სვანეთში, ხოლო ნოემბერში—აფხაზეთში; 1948 წლის ივნის-ივლისში კვლავ ქახტასა და ქართლში; 1950 წლის ივლისში — ძირითადად სამხრეთ საქართველოში და დამატებით ზოგ სხვა რაიონშიც (ქართლში: ატენსა და ყანაეთში, იმერეთში—კაცხს) და აგრეთვე კპ. ფოთის, მახარაძის და ქუთაისის სასახარეთმცოდნეო მუზეუმებში. შევისწავლე მასალები თბილისის სიძველეთა საცავებში და სოხუმის, მესტიის, გორისა და სხვა მუზეუმებში; თბილისისა—1948 წლის განმავლობაში, ხოლო დანარჩენები—სათანადო რაიონებში მოგზაურობისას.

შრომაში არ შემიტანია, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე არ არის აღმოჩენილი და დატული, რამდენიმე ბერძნულწარწერანი ნივთი, რომლებსაც უშეკვლად აქვთ კავშირი აქაურ სინამდვილესთან.

1. რომში აღმოჩენილი ეპიტაფია, რომელიც 1890 წელს გამოაქვეყნა გ. კაიბელმა (*Inscriptiones graecae, volumen XIV, გვ. 368. № 1374*) ასეთი სახით:

ΟΚΑΙΝΟCΙΝΙΒΑCΙΑΕΩCΑΜΑΖΑCΙΟC  
ΟΜΙΘΡΙΔΑΤΟΥΒΑCΙΑΕΩCΚΑCΙΠΗΤΟC  
ΩΓΑΙΑΝΑΤΡΗCΚΑCΠΑCΙΑΡΑΚΑΗΟΡΑC  
ΙΒΗΡΙΒΗΡΟCΕΝΘΑΔΙΤΕΤΑΡΧΥΤΑΙ.

5. ΠΟΙΝΗΡΑΡΙΠΗΝΗΝΕΑΙΜΕΝΙΚΑΤΩΡ  
ΕΛΑΙΟΘΗΑΟΝΑΜΦΙΜΥΔΟΝΟCΝΑΜΑ  
ΘΑΝΟΝΔΟΗΔΟCΑΥCΟΝΩΝΑΓΗΤΟΡΙ  
ΜΟΑΩΝΑΝΑΚΗΝΑΡΘΗΚΗΝCΦΥCΙΝΗΝ  
ΗΡΙΠΗΡΙΑΑΑΖΑΙΧΕΙΡΑΔΗΩΛΑΥΘΩΡΙ

10. ΙΦΘΙΜΟΝΑΙΑΙΧΕΙΡΑCΟΥΡΙΚΑΝΟΖΩΡ  
ΚΑΙΦΑCΓΑΝΟΥΚΝΩΔΟΝΤΗΗΕΖΟCΗΙ  
ΟΔΑΥΤΟCΙCΟCΙΑΡΘΕΝΟΙCΙΝΑΙΔΟΙΑΙC.

ეს წარწერა იამბიკურ ტრიმეტრს წარმოადგენს. იგივე წარწერა, მხოლოდ მისი დადგენილი რედაქცია, შეტანილი აქვს თავის კრებულში რ. კანანას (*Inscriptiones graecae ad res Romanas pertinentes, I, 1901—1911 წწ. № 192, გვ.გვ. 75—76*). წარწერის დადგენილი რედაქცია, ქართული თარგმანი და ზოგი კომენტარი მის შესახებ იხ. ქვევით, გვ. გვ. 236—237.

2. ვერცხლის ფილა, რომელიც აღმოჩნდა 1899 წელს ყუბანში, ე. წ. ზუბოვის ყორღანში, და რომელიც ამჟამად „ერმიტაჟში“ ინახება. ამ ნივთს ასე აღწერენ: „Самым интересным предметом из числа найденных в этой могиле бесспорно следует признать лежащую посредине могилы круглую серебряную фиалу (диам. ок. 0,21 м., выш. 0,03 м) греческой работы, к сожалению, попорченную. На дне ее имеется круглая выпуклая (δμφυλός), окруженная палочным и точечным орнаментом и представляющая на поверхности рельефное изображение спернувшейся в кольцо змеи с поднятой головой; кроме того чаша украшена 13-ю штампозанymi (рельефом внутри чаши) оленьими головками впрямь, размеренными на равных расстояниях одна от другой, мордами к центру и рогами к наружному краю. Вдоль этого края снаружи идет тщательно и глубоко врезанная отнoстрочная греческая надпись...

### ΑΠΟΛΛΩΝΩΣΗΓΕΜΟΝΟΣΕΙΜΙΤΟΜΦΑΣΙ

Ἀπόλλωνος ἱγέρμονος εἰμι τῷ Φάσι, т. е. „я принадлежу Аполлону—Предводителю, что в Фасиде“. Надпись представляет собою ямбический триметр (senarius) с дактилем в 3-й стопе и с метрической негравильностью (трохей вместо ямба) во второй. По признакам палеографическим (ТОМ вм. ΤΟΥΜ=ΤΟΥ ΕΜ) и диалектическим (ионич. форма Φάσι) она должна быть отнесена к концу V или к началу IV в. до Р.Х. Из нее видно, что чаша принадлежала святилищу Аполлона в Фасиде, представляя собою, без сомнения, обетный дар. Соответственно такому назначению чаша и украшена изображениями животных, имевших отношение к культу Аполлона. Какими судьбами попала она из святилища Аполлона в г. Фасиде, лежавшем у устья соименной реки (нынешний Рион), в могильный курган, в прикубанских странах,—это конечно останется навсегда неизвестным. Во всяком случае надпись на чаше весьма интересна, как первое эпиграфическое свидетельство о городе Фасиде, упоминаемом многими древними авторами, и о существовании там уже в конце V в. святилища Аполлона—Предводителя, считавшегося под этим именем, конечно, в качестве покровителя колонистов“. ამ ფილის გამო მ. როსტოვეცი წერს: „В данном случае мы имеем интересное указание на набеги кубанцев или их соседей на Кавказское побережье и на ограбление ими святилища Аполлона Водителя в Фасиде“<sup>1</sup>.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ნივთი ყუბანში ფაზისიდან წაღებულად ითვლება. რუსი ავტორები მას ბერძნული ხელობისად მიიჩნევენ, იმ გავრცელებული აზრის მიხედვით, რომ V II—V სს-ში შავი ზღვის სანაპიროები ბერძენთა (იონიელთა) კოლონიებს წარმოადგენდა. ბერძენების საკოლონიზაციო

<sup>1</sup> „Раскопки Курганов на Зубовском хуторе в Кубанской области“: Известия имп. арх. комисси, Вып. I, 1901, стр. стр. 94—103. <sup>2</sup> „Сивфия и Боепор“, стр. 571.



მოძრაობა ამ ხანებისათვის დადასტურებული ფაქტია, მაგრამ ჯერ კიდევ საკვლევი, თუ რა დახვდათ აქ მოსულ ბერძნებს: ცარიელი ადგილი, რომელზედაც მათ შექმნეს, დააარსეს კოლონია, თუ დასახლებული მხარე (ან ცალკეული კუთხეები). თანამედროვე არქეოლოგთა დაკვირვებანი ამ მეორე შეხამებულობას უქერნ მხარს. არავინ დაუბნის იმაზე, რომ ყუბანის ფიალა ფაზიადან არის, რომ იგი ფაზისის აპოლონის ტაძრის კუთვნილებათა. მაგრამ საკითხია, რა ხელობისაა ნივთი—მოტანილია, ბერძენთა ნაკეთებია, თუ ადგილობრივი წარმოებისაა. მარტო ბერძნული წარწერით არ შეიძლება იმის დასკვნა, რომ ნივთი მაინცაღამაინც ბერძნის გაკეთებულა, ბერძნული ხელოვნების ნიშნულია, მით უმეტეს, რომ მსგავსი ფორმის ფიალები საქართველოში სხვაგანაც არის აღმოჩენილი, (მაგ.: „ერმიტაჟში“ დაცული. 1907 წელს ბათუმში აღმოჩენილი ვერცხლის ფიალა; 1947 წელს ეანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ფიალა<sup>1</sup>). ყუბანის ფიალის ბერძნული წარწერის შემოწმების შენდევ რაიმე დამატებითი, ენობრივი ან ეპიგრაფიკული, თავისებურებების შესახებ ლაპარაკი გაჭირდება. ასოთა მოხაზულობა (განსაკუთრებით ტიპური Σ, Π და Ω) სრულიად ჩვეულებრივია VI—IV სს-ის ბერძნული წარწერებისათვის, სულერთია საიდან არიან ისინი — დედა საბერძნეთიდან თუ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროდან.

ზ. შრომაში არაა შეტანილი, მაგრამ აუცილებლად უნდა დავასახელოთ ბერძნის მუზეუმში დაცული ჰიდრია, რომელიც ათენში არის აღმოჩენილი. ლეონარდს ეს უხვად ორნამენტირებული თიხის ჭურჭელი ტიპიურ იონიურად მიაჩნია (ქურქლის ფორმის, წარწერას ხასიათისა და ნახატის მიხედვით) და დათარიღებული აქვს ძვ. წელთაღრიცხვის VI ს-ის მეორე ნახევრით. მხატვრობასთანვე არის ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერა. +ΟΑ+ΟΣ| ΜΕΓΟΙΕΣΕΝ, ე. ი. Χόλχας μ'επίσηυσεν კოლხმა გამაგეთა<sup>2</sup>.

ლიტერატურაში არის ცნობა იმის შესახებ, რომ მოიპოვება ამგვარადვე მოხატული არაერთი ჭურჭელი, რომელთაც შესატყვისი სიგნატურა არ გააჩნიათ, მაგრამ ან ამავე პირის მიერ არიან გაკეთებული, ან ამ წრის სხვა ხელოსნის მიერ. ამავე წრის ნამუშევრად შეიძლება ჩაითვალოს ათენშივე აღმოჩენილი ანფორა, რომელსაც აქვს ასეთი ბერძნული წარწერა: Εὐδ᾽ ἰμ᾽ ἐ[ο]ς ἔπειθε, [K]ήλχας ἔ[γ]ραψ[ε]υσεν—ევქსიომე გააკეთა, კოლხმა მოხატა<sup>3</sup>.

ათენში ამ ნივთების აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ Κήλχας—კოლხი (ეუქირობ. ეს არის სატომო სახელი და არა საკუთარი) მხატვარი იყო ათენში და მონაწილეობდა ქურქლის მხადებაში<sup>4</sup>. არ უნდა დაგვაფიქროს უკანას-

<sup>1</sup> ამაზე მიმოიხილა ნ. ბოტარიაშ, რისთვისაც მას ვიდ მადლობას მოვხსენებ.

<sup>2</sup> Leonard, Kolchos: RE, XI. 1071—1073. წარწერა იხ. CIG, IV, 8239.

<sup>3</sup> Б. Н. Грязков, Материалы по истории Скифии и греческих надписей: ВДИ, 1937. 3 стр. ст. 231—312, გვ. 405: Надписи из сосуда. წარწერა გამოკვეთებულია CIG, IV, 8200 ეს ნივთები წარწერებიანად მოჰყავს შ, ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ს (ქართული ხელაქნების ისტორია. 1944. გვ. 88), როგორც საბუთი კოლხეთზე ბერძენთა ახალმშენების დიდი ეკონომიური ხეგაუღონია. ეუქირობ, ეს დებულება საკამათია.

<sup>4</sup> შდრ. E. Pfuhl. Malerei und Zeichnung der Griechen, München, 1923. T. I გვ. 33; P. Kretschmer, Die griechischen Vaseninschriften ihrer Sprache nach untersucht, 1934, გვ. 75.

ქნელ მაგალითში საკუთარი და სატომო სახელების შეპირისპირებამ: *Εὐδὲμεις* *ἔποιήσε*, *Κόλχος* *ἔγραψεν*—ეუქსიოე და კოლხი. ათენში მყოფ კოლხს უწოდებენ პირდაპირ კოლხს, მისი საკუთარი სახელი დავიწყებულია. ვინ შეიძლება იყოს ეს ათენში მოღვაწე კოლხი? პირდაპირი მითითება ამაზე არა გვაქვს, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ ის, რომ ათენში ტყვედ მოხვედრილა და შემდეგ თავისი ნიჭის წყალობით გამოუჩენია თავი ხელოვნებაში. ლიტერატურაში ცნობილია V—IV სს-ის ათენელი მონები მოვაკრე კეთისოდორე, რომლის მონათა სიაში არის სახელები (მონები არიან ასე ნოხსენებული): თრაკიელი, სირიელი, კარიელი, ლიდელი, სკითი, კოლხი (*Κόλχος*)<sup>1</sup>. ამას გარდა, ათენში აღმოჩენილია ერთი საფლავზედა წარწერა: *Εὐφοῖσυνη Χαίρησιος Χόλκας* ეფროსინე ქაირემონისა, კოლხი, ამ წარწერის შესახებ ბ. გრაკოვი ასე მსჯელობს: „Судя по отчеству, здесь не рабыня, но либо вольноотпущенница, либо дочь вольноотпущенника. Впрочем, Херимон, м. б., владеец этой колхидянки. Колхи в качестве рабов известны в Афинах с классического времени.. Колхидянка — рабыня в Афинах упомянута у Антифона во II в. н. э. (Epist., III, 61 = SC, стр 594)<sup>2</sup>.

ამ მასალის გათვალისწინების შედეგ, ვფიქრობ, მოსაზრება მხატვარი კოლხისა და ტყვე კოლხის იგივეობის შესახებ, დასაშვებია. ათენში მომუშავე ტყვე—კოლხი, ცხადია, ბერძნულ წარწერას გაუკეთებდა თავის ნახელავს.

\* \*

ჩემ მიერ დამუშავებული წარწერები საწერი მასალის მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს სამად: 1. ქვაზე ამოჭრილი წარწერები 2. სხვადასხვა ნივთებზე გამოუყანილი წარწერები. (მეორე ჯგუფი თავისთავად ყველაზე უფრო მრავალფეროვანია: მასში შედის სამღვდელთნსახურო ნივთები, სხვადასხვა სამკაულები, მეტწილად ბეჭდები, და საყოფაცხოვრებო საგნები)<sup>3</sup> 3. ფრესკული წარწერები. ქვებზე ამოჭრილი წარწერები სხვადასხვა ხანისაა, I ს-დან მოკიდებული XIX ს-მდე ჩათვლით.

I. ქრონოლოგიურად რომ დავალაგოთ ეს წარწერები, პირველი მათგანი იქნება მცხეთის მიდამოში აღმოჩენილი, ვესპასიანეს სახელით ცნობილი (იხ. აქვე გვ. გვ. 234—238). მას, მართალია, თარიღი არა აქვს, მაგრამ შიგ მოხსენიებული ისტორიული პირების (ვესპასიანე, ტიტე, დომიციანე) სხვადასხვა თანამდებობათა აღნიშვნის მიხედვით შესაძლებელი ხდება მისი დათარიღება 75 წლით. წარწერა საინტერესოა იმით, რომ იხსენიებს იბერთა მეფის მითრიდატე ფარსმანის ძეს და ანასასუს. საინტერესოა ისიც, რომ „კეისრისა და რომაელთა მოყვარული“ მითრიდატესა და იბერებისათვის რომაელებს კიდევლები გაუმაგრებიათ. ეს ფაქტი ისტორიკოსისათვის მრავალისმეტყველია. წარ-

<sup>1</sup> Б. Н. Граков, Материалы по истории Скифии в греческих надписях: В. Д. И. 1939, 3. стр. стр. 231—312, стр. 250. <sup>2</sup> იგივე შრომა, გვ. 308.

<sup>3</sup> რაკი ეპიგრაფიკა მაგარ საწერ მასალაზე გამოყენელ წარწერებს შეისწავლის ამიტომ შეიძლებოდა ამ კრებულში მონეტების ბერძნული წარწერების შეტანაც, მაგრამ, ვფიქრობ, მონეტა თავის წარწერაიანად ნუმისმატიკის ობიექტს წარმოადგენს და ამიტომ თავი შეგვიკავე ისედაც მრავალფეროვანი მასალის კიდევ უფრო მეტად განრავლდეროვნებისაგან.

წერა, აშკარაა, ზღუდის გამმაგრებლების, რომაელების, მიერ არის დადგმული თავისი ღვაწლის უკუდასაყოფად. ისიც ცხადია, რომ იგი აქვე არის ამოქრილი. წარწერის გარეგნული სტილი და შინაარსობლივი ანალიზი მისი მკრეხის სადაურობის დადგენის საშუალებას არ იძლევა (ხელი იმ დროისათვის ჩვეულებრივია, ენა—გამართული ბერძნული, მხოლოდ ერთი ადგილი არის ბუნდოვანი თვით ბერძნული ენის თვალსაზრისით და აქედან გამომდინარე რეალური შინაარსის მხოვია: ... Μισοῦδ᾽αὐτῷ βασιλῆαυ Μακρομαχῶν αὐτῶν Ἰαμαδασπᾶ σὺν [სტრიქ. 13—15]). წარწერის დამკვეთი რომაელია, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ ამომქრელი ადგილობრივი ხელოსანი იყოს. ასევე სულ ადვილად წარმოსადგენია, რომ ზღუდის შეკეთების ხარჯი რომაელებს გაეღოთ, ხოლო კალატოზები ადგილობრივი მკვიდრნი ყოფილიყვნენ.

II. I—III სს-ით თარიღდება რამდენიმე საფლავზედა ქვა, რომლებიც კავკასიის სხვადასხვა ადგილიდან არის ჩამოტანილი (ანაპა, ნუსხა). ამ ქვებზე დატული წარწერები ეპიტაფიებს წარმოადგენენ (იხ. ქვემოთ, გვ. გვ. 240—244). ამ წარწერებს ჩვენთვის ის მნიშვნელობა აქვთ, რომ მათ შემოგვინახეს საკუთარი სახელები, რომლებიც ამ 17—20 საუკუნის წინ კავკასიაში გვხვდებოდა. ასეთებია: აილიოსი, იასონი, ევზონე, პანტაკლე, გალიკოსი, გასტისი, აღიანტი, ქორეგიონი, ფარნან(?). ბევრი ამათავანი საერთოა ბერძნულ-რომაული სამყაროსათვის, მაგრამ არის მათთვის უჩვეულო, ე. ი. მხოლოდ კავკასიისათვის დამახასიათებელი სახელიც კერძოდ ფარნან, . დაწვერობის თავისებურების მხრივ ყურადღებას იპყრობს ფორმა εὐσεργεῦ (იხ. გვ. 240), სადაც ε-ს დიფთონგი ε-ს დაწვერილობით არის გადმოცემული. ეს მოგონება, რომელიც არც თუ ისე გავრცელებული იმ დროის სხვა წარწერებში, პარალელს პოულობს ჩვენშივე აღმოჩენილ ბერძნულ წარწერებს შორის (წიგნაკის იხ. გვ. 250).

III. სერაფიტის ეპიტაფიამ (იხ. ქვემოთ, გვ. გვ. 249—253) საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის ზოგი საკითხის გარკვევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. იგი თარიღდება II—III სს-ით და გვაცნობს იმ დროის არა ერთ სახელმწიფო მოღვაწეს: იბერთა დიდ მეფეს ქსეფარნუგს, პიტიახშ პუბლიკოს აგრიპას, მცირე პიტიახშ ძევაქს, ეზოსმოდვარ იოდმანგანს. წარწერაში ყურადღებას იპყრობს ტერმინები: νεσσερις παυδαξ, παυδαξ, ἐπιτροπις, βασιλεὺς μαξας. წარწერა საინტერესოა წმინდა ენობრივი თვალსაზრისითაც: მაგ., არაბერძნული ბგერების გადმოცემა ბერძნულად (მაგ., ξ- παυδαξ, Ξεφερυσου). ასახულია თვით ბერძნულ ენაში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები (მაგ., წიგნაკის, πειπαισ. არაფერს ვაზბო უფრო გავრცელებულ ნოვლებზე, როგორცაა იტალიაში, ἰ subscriptum ან ἰ adscriptum-ების მოსპობა).

IV. IV—V სს-ის იბერიის კულტურულ ცხოვრებას უქმს ჰვენს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ეპიტაფია (იხ. ქვემოთ გვ. გვ. 253—257), რომელიც გვისახელებს მხატვართუხუცესსა და ზუროთმოდვარს—აგრელი აქოლისს და მის მეუღლეს—ბევრაზურიას. თუ შეიძლება იმის დაშვება, რომ აგრელი აქოლისის უცხოეთიდან მოსული და შემდეგ აქ დამკვიდრებული ხელოვანია, მისი მეუღლე მაინც ადგილობრივი მკვიდრი ჩანს: სახელი ბევრაზურია კავკასიის კუთვნილებაა (მსგავსი სახელები დასტურდება, გაცილებით უფრო გვიანაც,

სენათში). წარწერაში ყურადღებას იპყრობს ბერძნებისათვის უცხო და თან ბერძნულად შექმნილი ტომინი *ἀρχιῤαρχῆς*. ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინ ჩვენში ყოფილა თანაპლებობა მხატვართუხუცესისა, რომლის აღსანიშნავად ბერძნულად წერისას ხელოვნურად შეუთხზავთ ტერმინი<sup>1</sup>.

V. დამწერლობის თვალსაზრისით ერთმანეთის მონათესავედ შეიძლება ჩათვალოს ატენის (იხ. გვ. 192), ვაშნარისა (იხ. გვ. 111) და სეფეთის (იხ. გვ. 90) წარწერები და მე მათ დაახლოებით თანადროულად მივიჩნევ<sup>2</sup>, დაახლოებით VII—IX სს-ით ვათარილებ. ეს წარწერები შინაარსით განსხვავებულია: ატენის წარწერაში ცალკე პირთა სახელები არ ჩანს. ეს არის მიმართვა უფლისადმი, რომელმაც ყოველი უწყის, რათა ის შეეწიოს მონათათვის. სეფეთის წარწერაში მონა ფილოქტისტე წმ. სტეფანეს მიმართავს. აქ საყურადღებოა წმ. სტეფანეს ხსენება; თუ წმ. სტეფანეს სახელობის ტაძრები გვიან ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელი არ არის, სამაგიეროდ ასეთები ადრე ფეოდალურ საქართველოში საკმაოდ ხშირად გვხვდება, და გვხვდება, გარდა იბერიისა, სამეგრელოს ამ ნაწილშიც. ვაშნარის ძალიან დაზიანებულ წარწერაში საინტერესოა ორი სიტყვა *παρθεναρη* (საქალგებო) და *πατριῤῆς* (ნათლისღება). ამის მიხედვით ნათელია, რომ წარწერა ეკლესიის კედლიდან არის ჩამოვარდნილი და რომ ამ ეკლესიას ჰქონდა ზოგი ისეთი განყოფილება, როგორც არის საქალგებო<sup>3</sup>, თუ სანათლაგი, ან ორივე ერთად.

ეს წარწერები ცალკეული ენობრივი ნიშნებით განსხვავდება ერთიმეორისაგან, მაგრამ მათი ამოკვეთის წანერა და საერთო სტილი უწყველად მსგავსია.

VI. დაახლოებით ამავე დროისა უნდა იყოს ნოსირის წარწერა, რომელიც მართალია ქვაზე არ არის ამოკვეთილი (აგურზეა და აძლენად ყველა ჩვენ წარწერათა შორის სრულიად განცალკევებით დგას), მაგრამ მაინც ამ ჯგუფში შემაქვს, რადგან, ჯერ ერთი, საწყრი მასალისა და წარწერის გამოყვანის ტექნიკის მიხედვით იგი უფრო ამ ჯგუფს განეკუთვნება, ვიდრე სხვას, ხოლო შემდეგ, მისი დანიშნულება იმგვარივეა, როგორც ზემოთ (V) და ქვემოთ მოყვანილი წარწერებისა. ის ეკლესიის კედელში იქნებოდა ჩადგმული რომელიმე მოღვაწის მიერ, რომელიც თავისი ბრომის საზღაურად მაკხოვარს შეწყალებას სთხოვდა.

ზემოთ მოყვანილი წარწერებისაგან განსხვავებით ნოსირის წარწერა (იხ. გვ.გვ. 86—87) გამოყვანილია გაკრული, არც თუ მაინცადამაინც ლამაზი მთავრულით. არ ვიცი, საწერი მასალით აიხსნება თუ შემსრულებლის ინდივი-

<sup>1</sup> საქართველოს ტერიტორიაზე დაცულ უძველეს ბერძნულ წარწერებს, ვფიქრობ. განეკუთვნება ბიჰენტიის ძეგლიც (იხ. გვ. 7), როგორც ეს ნახაზე ჩავს. მაგრამ რადგან წარწერა თვით არ მინახავს და ვარაუდობ სხვათა ჩანახაზით, მის შესახებ აქ სიტყვას არ ვაგოძღვებ.

<sup>2</sup> ლიპის წარწერა (შემკვეთი სახელისა ΘΕΟΠΙΣΤΟΣ) დაახლოებით ამ დროისა უნდა იყოს (იხ. ქვემოთ, გვ. 300). შეიძლება დაახლოებით იმავე დროით დათარიღდეს დმანისისა და ბონისის მონოგრამები AΩ (იხ. ქვემოთ, გვ. 293).

<sup>3</sup> შუად. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების „მიმომხილველი“ I (1926), გვ. 56.

დულური თვისებით, მაგრამ წარწერაში უხვად მოიპოვება ახალი, ნუსხური-საკენ გარდაშავალი დამწერლობის ელემენტები.

VII. ახალი ათონის (ანაკოფიის), სიმონ კანანელის ტაძრის ბერძნული წარწერები (ორ სხვადასხვა ადგილას) დაახლოებით IX—X სს-ით უნდა დათარიღდეს. ამ წარწერათა მთავრულ შრიფტში უფრო მკაფიოდ ჩანს ის ახალი ელემენტები, რაც ბერძნულმა ანბანმა ამ დროისათვის დაიმკვიდრა (ა, ო, ც). ამას გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე დაცულ ბერძნულ წარწერათა შორის ეს ძველი პირველია, რომელშიც ეხედავთ შემდეგ ასე გავრცელებულ (და განსაკუთრებით კი ფრესკულ წარწერებში ხშირად დადასტურებულ) ფრაზას—*Ἰησοῦς Χριστός, υἱαῦ, ταυῖσι ἁγριότητος*<sup>1</sup>. წარწერა იმითაც იქცევა ყურადღებას, რომ მასში არის საინტერესო შემოკლებანი, რომელთა საკმაოდ პირობითური გაშიფვრა ჯიქეთის მიტროპოლიტის გიორგის (?) სახელს გვაწვდის (იხ. ქვემოთ, გვ. გვ. 19—20).

VIII. ახალი ათონის (ანაკოფიის) ივერიის მთაზე დაცული სულ ოციოდე სანტიმეტრის სიგრძის, მაგრამ ვრცელი (17-სტრიქონიანი) ბერძნული წარწერა თარიღიანია—929 წლისაა (იხ. გვ. 22—23). მასში ყურადღებას იპყრობს: ასოების არაჩვეულებრივი წმინდა და ფაქიზი გამოსახვა, ზოგი ასოს თავისებური მოხაზულობა (მაგ., ψ=†), ზოგი ნორმის დარღვევა (მაგ. *Ευααααααα*—მაშაკაცის სახელად) და საერთოდ გავრცელებული ლოცვის თავისებური ვარიანტი. კიდევ უფრო საინტერესოა „ულირსი მონის, ეესტათი პრესბიტერის, მწერლის (თუ მხატვრის)“ მოხსენიება.

IX. XI სს-ს შუაწლებით აქვთ სპეციალისტებს დათარიღებული ახალი ათონის (ანაკოფიის) თედორე ტირონის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი წარწერა (იხ. ქვემოთ გვ. 22), რომელიც გარდა თედორესი, იხსენიებს არქიეპისკოპოს მიქაელსაც. იმავე სპეციალისტთა მიერ არქიეპისკოპოსი მიქაელი გაიკვივებულია კონსტანტინეპოლელ პატრიარქ მიქაელ კერულარუსთან (1043—1059 წწ.). ამ დროისათვის აფხაზეთში კონსტანტინეპოლელი პატრიარქის მოხსენიება სრულიად კანონზომიერია: 1032—1073 წლებში ანაკოფია ბერძნულის ხელშია, ისინი აწარმოებენ აქ მშენებლობას და აკეთებენ შესაბამის წარწერებსაც.

X. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში 1046 წლით დათარიღებული, ახალი ათონის (ანაკოფიის) ორი წარწერიდან მარტო ერთია ადგილზე და მეორე კი დაკარგულია, მაინც მეტისმეტად თვალსაჩინოა მათი შინაარსეული, ხოლო აღწერილობის მიხედვით აგრეთვე პალეოგრაფიული, ნათესაობა (იხ. გვ. გვ. 24—29). თუ ეს ორი წარწერა ერთისა და იმავე შენობის კუთვნილება არ ყოფილა, ნათ მიხედვით ეკლესიის (ან რაღაც სხვა ნაგებობათა) მაშენებელნი თუ შენამკობელნი ერთი და იგივე პირები ჩანან: ყოველშემთხვევაში, თედორე ბალანტის, კასის მსედარამთავრის სახელი, ორივეგან

<sup>1</sup> ქვაზე ასეთი წარწერა (I C X C v i x α δ) გვაქვს თბილისის ე. წ. ლურჯ მონასტერშიც. მაგრამ იგი უფრო გვიანდელია, თამარის ხანით თარიღდება (იხ. ქვემოთ გვ. 291). კიდევ უფრო გვიანდელია წინააღმდეგობის დაცული მსგავსი წარწერა (იხ. ქვემოთ გვ. 200).

იხსენიება. ამ წარწერებში დატული მასალა საინტერესო და ახალი ცნობაა აფხაზეთის საამშენებლო ისტორიისათვის. ამას გარდა, ეს წარწერები მხარს უჭერენ და ამბობენ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, რომელთა მიხედვით 1046 წლის დასაწყისში ბაგრატ მეფე და მისი ჯარი იბრძვიან ანაკოფიისათვის, რომელიც ბერძნებს უჭირავთ; საომარი ოპერაციები შემდეგ საამშენებლო სამუშაოებს იწვევს (დაწვრილებით იხ. გვ. გვ. 27—28).

XI. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დატულია ყუბანიდან ჩამოტანილი ორი, პალეოგრაფიულად შექველად მონათესავე და შინაარსობლივად დაკავშირებული, დათარიღებული ძეგლი. ორივე წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევებიდანაა. ერთის თარიღი არის 1468 წ. მეორე წარწერის ის ადგილი კი, სადაც თარიღი ყოფილა, ამჟამად დაზიანებულია. ლიტერატურაში დატული ცნობით, აქ „1588 წ.“ წერებულა. ძნელია თქმა, თუ რამდენად სანდოა ეს ცნობა. სამაგიეროდ ეს მეორე წარწერა შინაარსით უფრო მდიდარია: მონაღვთისა ბატონი გიორგი პიუპერტი მოხსენიებას ითხოვს. პიუპერტი საინტერესო სახელია და ამ წარწერის გარდა სხვაგან არსად გვხვდება. პალეოგრაფიული ნიშნები (კრის მანერა, ასოების ვერტიკალურ ხაზებზე ჰორიზონტალური, მხოლოდ ორნამენტის მნიშვნელობის მქონე, შტრიხების დართვა) ამ ორ წარწერას საერთო აქვს. მეორე წარწერის ცენტრში არის ჯვარცმის სიმბოლური გამოსახულება მონოგრამებითურთ (იხ. ქვემოთ გვ. გვ. 245—249).

XII. საქართველოს ტერიტორიაზე XIX ს-ის რამდენიმე ბერძნული წარწერაც გვაქვს; ყველა თარიღიანია. დირბის წარწერა 1815 წლისაა და საფლავის ქვაზეა ამოკრილი (იხ. გვ. გვ. 187—188). კაცისა—1854 წლისაა და ეკლესიის კედელზეა ჩადგმული. ის ძეგლის რესტავრაციის შესახებ მოგვითხრობს. მასში საინტერესოა დაწერილობა  $\text{C} - \text{ასო C-სთვის}$  (იხ. გვ. 168). ორივე წარწერა კუთხოვანი მთავრულია.

ნუსხურია ლიხნის 1918 წლის წარწერა (იხ. გვ. გვ. 8—10) და ზემო-ხოდაშენის 1836 წლის წარწერა (იხ. გვ. გვ. 328—329). ლიხნის წარწერა გიორგი შარვაშიძის ეპიტაფიას წარმოადგენს და ლამაზი ნუსხურითაა ნაწერი. გიორგი შარვაშიძის სახელზე უფრო საინტერესოა წარწერაში დატული მეორე, დამკვეთის, სახელი — გიორგი მ. სკარდანასი, რომელიც ყოფილა „ლიკონიდან“ (? ლიხნიდან).

ზემო-ხოდაშენის წარწერა მაშენებელის (არქიმანდრიტ კესარიოსის) ღვაწლს აღნიშნავს. მასში დამწერლობის მხრივ საინტერესოა გ—ნოხაზულობა, რაც მ-სათვის არის გადმოყენებული და ქართული თ-ს ბერძნული თ-ით გადმოცემა. ლიხნის წარწერის ფონეტიკიდან აღსანიშნავია ის, რომ ქართული „შ“ გადმოცემულია ბერძნული თ-ით ( $\text{Σχῆμασῆς}$  — შარვაშიძე) და ქართული „ხ“ ბერძნული x-ით ( $\text{Αχαιοσ}$  — ლიხნი).

წარწერა ფრაგმენტულია, აკლია მარცხნივაც და მარჯვნივაც. ასოები ლამაზად მოხაზული და კუთხოვანია. იხმარება განკვეთის ნიშანი (№ 657). ასოთა მოხაზულობიდან ყურადღებას იპყრობს Μ, Η, Α, Ε, Ω (№ 658). ამ ნიშნების მიხედვით და წარწერის სხვა თარიღიან წარწერებთან შედარებით, დათარიღება III საუკუნით შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ წარწერა ფრაგმენტულია, დაახლოებით გასაგებია მისი შინაარსი. კონსტრუქციაა ცოტა თავისებური: მოსალოდნელი იყო  $\alpha\nu\delta\epsilon\sigma\tau\eta\sigma\alpha\ \epsilon\nu\epsilon\rho\iota\zeta\eta\upsilon\ \alpha\nu\delta\rho\iota\alpha\upsilon\tau\alpha$  (ე. ი. აღვმართე კეთილისმყოფელს ქანდაკება, (აქ კი გვაქვს: აღვმართე კეთილისმყოფელი ქანდაკებად...)  $\phi\alpha\rho\nu\alpha\rho\eta$ ... არც საკუთარი სახელია ცნობილი ასეთი ფორმით და არც საზოგადო სახელი. ვ. ლატიშვიცი ფიქრობს, რომ ამომკერვლს შეეშალა და ნაცვლად ბოსფორის წარწერებში გავრცელებული სახელისა— $\phi\alpha\rho\nu\alpha\chi\eta\varsigma$  ან  $\phi\alpha\rho\nu\alpha\chi\iota\varsigma$  ამოსკრა  $\phi\alpha\rho\nu\alpha\rho\eta$ -ო<sup>1</sup>. ამ ხასიათის შეც-

<sup>1</sup> В. В. Латышев, IosPE, v. II. p. 207, № 399. 1890.

დომე სხვა აქ არ გვაქვს, ისე რომ ამ შემთხვევაშიც ნაკლებ სავარაუდებელია უბრალო შეცდომა. წარწერა აღმოჩენილია ანაპაში 1874 წელს, ის უნდა იყოს ფარნარნის (?) ქანდაკების კვარცხლბეკის წარწერა<sup>1</sup>.

4. საქ. მუზეუმის ისტორიის განყოფილების ეპიგრაფიკულ ძეგლთა საცავში № 33 არის ანაპაში ნაპოვნი ბერძნულ-წარწერიანი მარმარილოს ფილაქანი, რომლის ზემო ნაწილში გამოსახული არიან ორნი—მარჯვნივ არის მამაკაცის ფიგურა, მარცხნივ გაცილებით უფრო მომცრო—ქალისა. ერთიანად ფილაქანი კარგად არის დაცული, ისევე, როგორც გამოსახულებათა ქვემოთ მოთავსებული ბერძნული წარწერა. პირველი სტრიქონი უფრო წერი-

ΠΑΝΤΑΚΛΗΣ  
ΓΑΔΙΚΕΙΟΥ  
ΑΝΑΡΙΑΣ ΧΑΙΡΕ Α, Σ.

№ 659

№ 660

№ 661

ლად არის ნაწერი, მეორე—უფრო მსხვილად, მესამე კიდევ უფრო მსხვილად (№ 660): παντακλης| γαδικεϊου| χαιρε, ე. ი. Παντακλης Γαδικεϊου, χαιρε—პანტაკლე გადიკეოსის ქე. მუვილობი.

წარწერა საფლავზედა ქვისაა. ქალი (ალბათ მეუღლე) უკეთებს ქმარს საფლავზედა ქვას გამოსახულებებით და წარწერით. ასოთა მოხაზულობებიდან უზრადლებას იქვეყნს Α, Σ (№ 661). ა. ამირანაშვილი იმის გამო, რომ ეს წარწერა „ერმიტაჟში“ დაცულ ერთ ძეგლს მოაგონებს, ათარილებს ამას ქრისტეს დაბადების დროით, ან I ს-ის I ნახევრით. თვით ჩვენი წარწერა ასე ზუსტი დათარიღების საშუალებას არ იძლევა, იგი ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს ასოთა მოხაზულობის მიხედვით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> წარწერა გამოცემული ჰქონდათ ფ. ბ რ უ ნ ს (Записки Общества Истории и Древностей, т. IX, стр. 421—422. 1874), აქედან გადმობეჭდილი ჰქონდა პომიკალთესკის (Сторошник... стр. 35, № 57), ლატოშევის (იხ. წინა გვერდზე შენიშვნა № 1) და ამირანაშვილის: Греческие надписи Музея Гruzия... стр. стр. 197—198. უ ვ ა რ ო ვ ა (Museum Caucasicum V, стр. 194 № 100) ამ წარწერას მცხეთიდან ჩამოტანილად მიიჩნევდა და იძლევა სლოგოვიოვის წაკითხვას: „В честь благодетеля Фарнария... я поставила статую... პომიკალთესკის „კრებულში“ ასეთი ტექსტია დადგენილი: ἀρχετορα ἀσβρι ἀρχιμὴ μνη| χαιρε. ἰσ τῶ... ხოლო ა. ამირანაშვილი კითხულობს ბოლო ნაწილს: τμηνης χαιρε. μνημης χαιρε და τμηνης χαιρε ორივე თანაბრად შეიძლება, შეიცვლება მხოლოდ თარგმანი: იჭნება არა „მოსაგონებლად“, არამედ „პატივსაცემად“. რაც შეეხება II სტრიქონის შევსებას: ἀσβρι ἀρχιμ, ვერც ამის საწინააღმდეგოს ვიტყვით კატეგორიულად, რადგან წარწერაში ჩანს (№ 659) და უკანასკნელი ხაზი შეიძლება იყოს ნებისმიერი ასო, რომელსაც ერთი ვერტიკალური ხაზი სჭირდება.

<sup>2</sup> წარწერა გამოცემული აქვს: ა. ამირანაშვილი: Греческие надписи Музея Гruzия: საქართველოს მუზეუმის შიგნით, IV, გვ. გვ. 196—197. ძველი გამოცემების შესახებ იხ. იქვე, გვ. 197.

5. საქართველოს მუზეუმის ეპიგრაფიკულ ძეგლთა საცავში ინახება ანა-პიდან ჩამოტანილი მარმარილოს ფილაქნის ფრაგმენტი № 9 [რომელიც უვა-როვას შრომაში № 103-ით არის აღნიშნული (Mus. Cauc. გვ. 195)¹].

ΓΑΣ ΤΕΙΣ ΚΑΙΑΔΕ  
ΟΙΧΟΡΗΓΙ ΩΝΟΣΧ  
ΠΡΟΣΘΕΜΕΝΗΔΥΝΕΓ ΩΙΦ  
ΣΥΜΒΙ ΩΙΚΟΥΡΙΔΙ ΩΙΤΕΚ  
ΝΥΝΔΕΜΟΙΕΙΣ ΑΙΔΑΟ  
ΣΕΜΝΗΝΘΥΓΑΤΕΡΑΚ  
ΘΑΥΜΑΣΙΟΥΣΠΑΤΡΑΣΜ<sup>2</sup>  
ΑΙΔΙΟΥΤΥΧΟΜΕΝΚΗΔ<sup>3</sup>

№ 662

ესაა საფლავზედა ქვა, საკ-მაოდ დაზიანებული, დარჩე-ნილია მარცხენა ნაწილი, რომლის მარჯვენა კიდე-ზე ჩანს ამოჩუქურთმებუ-ლი ფიგურები, ერთი, უფ-რო პატარა — მთლიანად, მეორე, უფრო მოზრდილი— ნახევრად (ვერტიკალურად). მარცხენა ნაწილი უჭირავს წარწერას (რომლის მარჯვე-ნა ბოლოებს ეს გამოსახუ-ლებები ფარავს, ან შეიძლე-ბა გრძელდებოდა წარწერა რელიეფის მარჯვნივაც). წარ-წერის ხელი ერთი შეხედვი-

თაც ძალიან მოგვაგონებს აქვე ზემოთ მოყვანილ „პანტაკლეს“ საფლავზედა წარწერას (შდრ. აქვე, გვ. 242). იგი ასე იკითხება (№ 662): γαστει; αα; αει; οι χερηγίανος χ| πρὸσθε μεν ἦδυν εγώ τφ| συμβίαι; αουριδαι; τει; γαυ; συν δε μοι ει; αιδαι| σεμνην θυγατερα χ| θυμασιου;σ πατρα;σ μ| αιδίου τυχημεν κηδ.

ΟΧΥΜΑΣΙΟΥΕΠΑΤΡΑΣΙ

№ 663

წარწერა შეავსო ვ. ლატო-შევმა: I—II სტრიქონი არის ჩვეულებრივი მიმართვა მიცვალე-ბულებსადმი, ხოლო დანარჩენი 6, მისი აღდგენით, ელევას წარ-

მოადგენს. მომყავს ვ. ლატოშევიცის მიერ აღდგენილი ტექსტი:

Γαστει; αα; 'Αει[μαντος?].

οι Χερηγίανος χ[αίρετε].

Πρὸσθε μὲν ἦδυν ἐγώ (:) ε[χαιδρῶ; Γαστει; ῥίον ζῆη]

συμβίαι; αουριδαι; τει[γα δυο προσιπών].

Νυν δε μοι ει; 'Αιδαι [δὸμον φίλος ἔπαετ' ἀδελφός];

σεμνην θυγατέρα χ[τημ' ἀφει; γαυετῆ]

Θαυμασιου;σ πατρα;σ μ[μυσῦνοι; ἔργμα;σ φδω;σ].

αιδίου;σ τυχ[ο]μεν κηδ[ε;σ ἀφότερο:].

¹ აქ სწორია, რომ ძეგლი ტრაპიზონიდანაა ჩამოტანილი და მოცემულია სოლოვიოვის, სინამდვილეს მეტრისმეტად დაშორებული, წაკითხვა: «страны Иона положенную ввннтель-ному живущему вместе помощнику... Аида уважаемую дочь».

² კომიძალოვსკის (Сборник, стр. 35) ეს სტრიქონი აქვს: (№ 663).

³ კომიძალოვსკის (Сборник... стр. 35) ტექსტში ΧΘ არა აქვს.

თარგმანი იქნება: „გასტის და აღიმანტე, სორეგიოსის ძენო, მშვილობით. მე, გასტისი უწინ ნათლად, ტკბილი ცხოვრებით ვცხოვრობდი, დაუტოვე ორი შვილი კანონიერ თანამეცხედრეს. ესლა კი ჰადესის სახლში გამოჰყვა მე საყვარელი ძმა. მან მშვენიერი ასული საუნჯედ დაუტოვა მეუღლეს. საოცარი საქმეებით ვბაძავდით სამშობლოს ვაკაცებს, ორივემ დავიმკვიდრეთ სამარადისო დაკრძალვა.“

Α, Ε, Σ, Ω, Υ

№ 664

ლია ნორმები კლასიკური მართლწერისა<sup>1</sup>:

როგორც ჩანს, წარწერა 2 ძმის (გასტისისა და აღიმანტეს) ეპიტაფიას წარმოადგენდა. ჯერ გარდაცვლილა გასტისი და შემდეგ აღიმანტე. გარდაცვლილები ახალგაზრდანი ჩანან. სახელებს, გასტისისა და ხორეგიონს, სპეციალისტები ბოსფორის წარწერებში არა ერთგზის დადასტურებულად მიიჩნევენ.

6. საქ. მუზეუმის ისტორიის განყოფილების ეპიგრაფიკულ ძეგლთა საცავში ინახება ამჟამად უნომროდ ერთი ნახვრეტებიანი ქვა, რომელიც უყაროვას შრომაში (Mus. Cauc. V, стр. 195) № 109-ით არის აღნიშნული (მხოლოდ აქ ბერძნულ წარწერაზე არაფერია ნათქვამი), ხოლო ა. ამირანაშვილის შრომაში № 5-ით. ქვაზე აღრე მთლიანი რელიეფი იქნებოდა იოანე ნათლისმცემლის, ამჟამად თავი წამტვრეულია, სხეული ჩანს, გამოსახულების მარჯვნივ ჩაქრილია ბერძნული წარწერა (№ 665):  $\text{I}\omega\ \sigma\ \pi\epsilon\pi\epsilon\rho\iota\mu\sigma'$ , ე. ი.  $\text{I}\omega\delta\alpha\upsilon\nu\eta\varsigma\ \sigma\ \pi\epsilon\pi\epsilon\rho\iota\mu\sigma'$  იოანე წინამორბედი.


არც რელიეფი და არც წარწერა მალალ ხელოვნებას არ მოწმობს. წარწერაში ყურადღებას იპყრობს: შემოკლება:  $\text{I}\omega$ ,  $\pi\epsilon\pi\epsilon\rho\iota\mu\sigma'$ , ლიგატურა  $\pi\epsilon$  (№ 666), ქარაგნის ნიშანი - და შემოკლების ნიშანი<sup>1</sup>.

ყველა ეს ნიშანი ახასიათებს გვიან-ბიზანტიური ხანის ფრესკულ წარწერებს (მარტო შემოკლება  $\text{I}\omega$ —აღრე საუკუნეებიდანვე გვხვდება). ა. ამირანაშვილი წარწერას და მთლიანად ძეგლს XV ს-ით ათარიღებს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> წარწერა შეტანილია ი. პომილიოვის კრებულში (გვ. გვ. 35—36), მოკვებული ტექსტი აღუდგენლად ფოტოკოპირების მიხედვით და შემდეგ მისი წაითხვა:  $\text{I}\omega\delta\alpha\upsilon\nu\eta\varsigma\ \kappa\alpha\iota\ \pi\epsilon\pi\epsilon\rho\iota\mu\sigma'$ .. და დანარჩენი ისევე. როგორც ჩემ მიერ მოყვანილ ვარიანტში, ბოლო 2 სტრიქონი გაზრდილი არაა (იხ. წინა გვერდზე ჩემი შენიშვნა). წარწერას თარგმანი არა აქვს დართული. წარწერა გამოყვანილია აქვს ე. ლარიონის ორჯგულ:  $\text{I}\omega\delta\alpha\upsilon\nu\eta\varsigma\ v. II, p. 22\beta$  № 419. 1890 г. და Заметки по греческой эпиграфике: Известия Российской Академии Истории Материальной Культуры, т. II, 1922 г. стр. 82—83. წარწერა ვ. ლარიონის აღდგენითა და თარგმანითურთ შეტანილი აქვს თავის შრომში ა. ამირანაშვილის, Греческие надписи Музея Грузии: საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, გვ. გვ. 189—190.

<sup>2</sup> А. Амيرانашвили, Греческие надписи Музея Грузии.. стр. 197. შდრ. Museum Caucasicum, V, стр. 195. № 109.

7. საქართველოს მუზეუმის ისტორიის განყოფილების ეპიგრაფიკულ ძეგლთა საცავში № 32-ით ინახება კირქვაზე გამოკვეთილი გამოსახულება (ჰორელიეფი) წმ. გიორგისა ცხენზე. ჰორელიეფის მარცხნივ და მარჯვნივ არის ღრმად ჩაჭრილი ბერძნული წარწერა (№ 667): *ο αγιος γεωργιος εστας ,εξ ος, ე. ი. ს. ἄγιος Γεωργιος, ἔστας 6976—წმიდა გიორგი, წელსა 6976 (—5508 = 1468).*



№ 667

როგორც ვხედავთ, წარწერა თარიღიანია (1468 წლისა). იგი ჩამოტანილია ყუბანიდან და მიჩნეულია წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კარებზე და გამოსახულებად. თარიღი, ალბათ, ეკლესიის აშენებაზე მიუთითებს. წარწერაში საინტერესოა: ლიგატურები *οσ, ετ* (№ 668), ასო *ι-ს* ჰორიზონტალური შტრიხი. *ε-ის* ხმარება *ა-ის* მაგიერად: *γεοργιος*. იგი მნიშვნელოვანია ჩვენთვის, როგორც თარიღიანი წარწერა და ამდენად სხვა უთარილო წარწერებისათვის შესადარებელი და ამოსავალი<sup>1</sup>.

8. საქართველოს მუზეუმის ეპიგრაფიკულ ძეგლთა საცავში № 120-ით ინახება კირქვის საკმაოდ დაზიანებული ფილა (ახლა კიდევ საშად გატეხილი), რო-

<sup>1</sup> წარწერის შესახებ ცნობები მოგვეპოვება: Уварова... стр. 193: „127. Изображение Св. Георгия на коне, поражающего дракона, с греческою надписью так-же из Бугаешкои области“. ი. ჰომიალოვსკის კრებულში (გვ. გვ. 4—5) არის ცნობა ამ წარწერის შესახებ. მოტანილია პროფ. დესტუნისის წაკითხვა: *αγιος Γεωργιος ε[σ]τας [Χριστος] Δ[ε]σ[τ]υ[ν]ος [κ]ρι[σ]του[ς]?* და რაც არ შეუფერება სინამდვილეს. ა. ამირანაშვილის შრომაში (Греческие надписи Музея Грузии... стр. стр. 193—200) მოკეულება ეს წარწერა თავისი ფოტოსურათითურთ.


მელზედაც შუაში მოთავსებულია ჯვარი (რელიეფურად და ორნამენტით) და აქეთ-იქით ჩაქრილი ბერძნული წარწერით. ეს ქვა იმავე წარმოშობისაა, რაც წინა. ე. ო. № 7: ჩამოტანილია ყუბანიდან, წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევებიდან. ასოების სტილი საერთო აქვს ამ ორ წარწერას. წარწერა ასე იკითხება (№ 669):

Χ, Γ, λ

№ 668

...ου δ.. λου του θ' γεωργίου: πωπερτι: αφεντι μνη: αυγ... του αγι... και ενδ... ξο... εγαλομαρτυρος γεωργίου: us τιν εκ'αλισιαν შუაში: ΙϚ ν'α'α φπας /// φ τι πρ.. (αδ τι πγ)..., ე. ო.

„μνήσθητι: κύριε τού δούλου τού θεού Γεωργίου Πωπερτι: αφέντι μνη: αύγούστω... τού άγιού και ένδόξου μεγαλομάρτυρος Γεωργίου εις τήν εκκλησίαν



№ 669

.....'Ιησους Χριστος νικη, φαινει πτσι Χριστου φως, τόπος κρανίου παραδει-  
σος γέγονε“.

თარგმანი: მოხსენე, უფალო, მონა ღვთისა ბატონი გიორგი ჰიუპერტი თვისა აგვისტოსსა... წმიდისა და სახელოვნისა დიდმოწამისა გიორგის ეკლესიასა... იესუ ქრისტე, ძლევა. უნათებს ყოველთა ქრისტეს ნათელი. ადგილი თხემისა სამოთხე ყოფილა.

თავის დროზე წარწერას შუაში ქვემოთ კიდევ 3 სტრიქონი ხლებია, რაც ახლა სრულიად არ ჩანს და არც ლიტერატურაში არის საღმე მოყვანილი.

წარწერის გარჩევის დროს ვსარგებლობდი აღრინდელი პუბლიკაციე-

ბოთ: ი. კომპალოვსკის კრებულში მოტანილით<sup>1</sup>, ა. ამირანაშვილის გამოცემით<sup>2</sup> და მის მიერ დამოწმებული ვ. ბენეშევიჩის ზოგიერთი გა-

<sup>1</sup> „Второй камень с рельефным изображением креста, открытый близъ склепа, имеет по обеим сторонам греческую надпись в девять строк и внизу креста три строки. Разбитый ломом рабочего, он лишился с левой стороны части второй и последующей строки; с правой—первых трех строк и на кресте—первой и части второй строк. Сверх того надпись высечена с ошибками в приписании, что и затрудило перевод, за точность которого не ручаемся. Вот он: „в память раба Божия Георгия Пиперия Владетеля (отец) Мипилия. Святому славному великомученику Георгию в церкви“.. (№ 670). В кресте читается обычно: ΝΙΚΑΙ τ. с. νικα̅ и внизу непопятые буквы:

ა) ΟΥΙ	τ.ε. [τ] ο̅ς δ[ο̅ς]	δ) ΤΟΥΑΓ	τ.ε.	τοῦ ἀγ[ίου]
ΛΟΥ	λου	ΚΑΙΕΝΙ		καὶ ἐνδ[ο̅ς]
ΤΟ	το[ῦ]	С		ς[οῦ]
ΘΥΓ	θ(ε)ῦ Γ	ΕΓΑΛ		[τ] εγ[αλ] -
ΕΟΡΓ	εορχί	ΟΜΑΡ		ορ[α]ρ -
ΟΥ: ΙΥΠΕΡ	ου... ὑπ̅ερ	ΤΙΡΟ		τιρο.
Ι: ΔΦΕΝΤ	.. ἀφ̅έν[ου]	ὍΓΕΟΡΡΟ		ὁ Γεοργ̅ίου-
ΜΙΜΙ....		Υ: ΥΣΤΙΝΕΚ		υ̅ ὑ̅ τιν̅ ἐκ-
		ΚΚΛΙCΙΑΝ <sup>ο̅</sup>		κκλ:δίαν

№ 670

Надписи могут быть переданы: а) «(Помняи Госпеди) раба Божия Георгия.. владыку... б) „святого и славного великомученика Георгия в церковь“. (зб. зб. 4—5).

<sup>2</sup> „Надпись читается: [Μνήσθητι	τοῦ ἀγίου
τ]οῦ θεοῦ	καὶ ἐνδο̅ς
λου [Ι'С]	ξο̅υμ
τοῦ φ' π'	εγ[αλ]
θ̅ ὀ Γ Ν' Ι ζ φ Κ' Α	ομ̅ίρ
εορχί τ πρ	τιρο
ου... ΠΙΥΠΕΡ ἄ ς	ς Γεοργ̅ίου
ΤΙ: ἀφεν̅τη [Χ'С]	υ̅: υ̅σ τιν̅ εκ
μινι αβγ...	κκλ̅οίαν

В углах, образованных пересечением конопов креста—буквы, означющие дату фл ас—1586 (от Р. X.). На риевике, взданном в Дрепности Московского Археологического Общества и у Помяловского, буквы эти не отмечены. Дата эта служит, очевидно, окончанием текста, вырезанного в левой части плиты.

[Μνήσθητι τ]οῦ θεοῦ [Ι'С] του̅ θεοῦ Γεοργ̅ίου Π' ΥΠΕΡΤΙ ἀφεν̅τη, μην̅ι αβγ... αητ. τοῦ ἀγίου] καὶ ἐνδο̅ς[υ μ]εγαλομ̅αυτρος Γεοργ̅ίου εἰς τιν̅ ἐκκλ̅οίαν. „[Помняи] раба Божия Георгия ΠΙΥΠΕΡΤΙ (?) властителя, в мес. авг... 1586. Святого и славного великомученика Георгия в церковь“.

На концах креста обычно: Ἰησοῦς Χριστὸς νικα̅.

Что же касается букв, помещенных в квадратах в центре креста χφ τπρ то они обозначают, очевидно, как предполагает проф. В. Н. Бенешевич, Χριστὸς φέλιται τὸν πρ̅ο-ομ̅εγκόντα (или προσφέροντα). (საქართველოს მუზეუმის შრომები, IV, зб. зб. 200—202).



შიფრით. რამდენიმე საკითხი მაინც რჩება საექვო და მოითხოვს დამატებით გარკვევას. წარწერის მარცხენა მხარეს რომ ეწერებოდა: *μνησθη: ἄρχε τῶν θανάτων τῶν φαντασμάτων*,—ეს სადავო არ უნდა იყოს. ამის შემდეგ მოთავსებული 2 სიტყვა: Π:παρεια ἀφεντι—ერთგვარად აღიქვება გამომცემლებს, Π:παρεια-ს სტოვებენ ტრანსკრიპციის გარეშეც კი, ხოლო ἀφεντι (ἀφεντι)-ს თარგმნიან: В.л.хетель-власнители-ად. Π:παρεια იკითხება მეტისმეტად შკაითოდ და უნდა ვითქვოდ, რომ ეს საკუთარი სახელია ამ დროისათვის გავრცელებული თუ არა, ამ წარწერით მაინც დამოწმებული ყუბანის მხარისათვის (უფრო ზუსტად—ბელორეჩენსკაია და ხანსკაია სტანიცებს შორის, სადაც იღვანის ეკლესია, რომლის ნანგრევებიდანაცაა №№ 7 და 8 წარწერიანი ქვები). სხვა, რა სახელი იმალება ამ ბერძნული გადმოცემის ქვეშ (ცნობილია, რომ ამ დროისათვის π-თი ხშირად გადმოსცემენ ბგერა ბ-ს, ხოლო τ-თი თ-ს.), რაც შეეხება ἀφεντι-დაწერილობას, ვფიქრობ, რომ, რადგან ბოლო იოტას შუა შტრიხი აკლია, შეიძლება აქ ვიგულისხმოთ რაიმე სხვა დაბოლოება და თვით სიტყვა გააზრებულ იქნეს ἀφῆντις→ἀφῆντις-ად, რაც ახალ ბერძნულში ნიშნავს „ბატონს, მეუფეს, მფარველს, მამას“.

საექვოდ მეჩვენება ჯერის ირგვლივ და თვით ჯვარში ჩაწერილი ასოების გაშიფვრა: თარიღადაა მიჩნეული ირგვლივ მოთავსებული 4 ასო: ἀφκ (დალაგება ჩემი არაა). მართალია, ისინი იძლევიან 1586 წელს (ასეთი განლაგებით) და შეიძლება ვითქვოდ, რომ ამა და ამ წელს მიიცვალა რაღაცა ღვაწლდამღები გიორგი პიუპერტი (თუ ბიუბერტი) და ეს აღინიშნა ნაგებობაზე წარწერით; მაგრამ ვიცით, რომ *μνησθη: ἄρχε τῶν θανάτων τῶν φαντασμάτων*—ი. თარიღის აღმნიშვნელი თვე მარცხენა ნაწილზეა, მის ქვემოთ, სადაც მოსალოდნელი იყო წლის აღნიშვნა, ადგილი დაზიანებულია და მის მარჯვნივ ოდესღაც კიდევ 3 სტრიქონი წერებულა, სადაც ასევე შეიძლებოდა წელიწადის მოხსენება. რაღა ჯვარს ჩაუწერეს ასეთი განლაგებით (ჯერ ქვემოთ, შემდეგ 2 ასო ზემოთ და ბოლოს IV ისევე ქვემოთ) თარიღის აღმნიშვნელი ასოები? თანაც, მეტისმეტად მონათესავე ძეგლზე (№ 7) თარიღი მოცემულია „დასაბამითგან სოფლისა“, აქ კი გვაქვს ქრისტეს შობიდან (ეს კიდევ ნაკლები საფუძველია დაექვებისთვის). ამ დროისათვის, ე. ი. გვიანი ბიზანტიური ხანისათვის საკმაოდ გავრცელებულია ჯვარცმის სიმბოლური გამოსახულება: ხატია ჯვარი და მას აქეთ-იქით სხვადასხვა ასოები უწერია. ჩვენს ტერიტორიაზე, საქართველოში, ფრესკათა შორის ძალიან ხშირად გვხვდება ასეთი რამ და შეძლებისდაგვარად (ა. პაპადოპულო-კერამევის ერთი წერილის მოშველიებით<sup>1</sup>) ასეთი წარწერები გაშიფრული მაქვს. ხომ არ არის ამ ყუბანურ წარწერაზედაც მოთავსებული ასეთი რამ? *Ἰησοῦς Χριστός, ναῖ* და შემდეგ: (დაუშვათ): φ π (ე. ი. φάινει ἄν φανῆσαι παῖσι—უშუქებს ყოველთა), α σ (ἀρχῆ—σχαρπῆς—საწყისია ჯვარცმა, ἄν ჯვარი), და ამათ შესავსებლად შიგ ჯვარში ჩაწერილი 4 ასო: χ φ (φῶς χριστός—ნათელი ქრისტესი) და τ π (რაც შეიძლება იყოს τχ πγ—კარგად

<sup>1</sup> А. Попадопуло-Карамевс, Палеографические заметки: Записки Импер. Русск. Арх. общества, II, 2. стр. 139.

არ ჩანს 2 ლიგატურა მიინც—ე. ი *αβ* *αβ* *αβ* *αβ* *αβ*—ადგილი თხემისა სამოთხე ყოფილა). რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო საყურადღებოა წარწერა თავისი თარიღით, ვიდრე ტრაფარეტული ჯვარცმას სიმბოლური გამოსახულებით, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემი გაგება ამ ცალკეული ასოებისა უფრო მართებულია.

( I, Υ, Τ) Δ, Α. Α (ორივე არა δ) Ε, C, M, I, Υ, Τ, λ (ξ).

№ 671

№ 672

წარწერას, რომელიც ჩემის აზრით XV ს-ეს განეკუთვნება (№ 7 წარწერის თარიღის მიხედვით), ან XVI ს-ეს, როგორც მას ათარიღებს ა. ამირაჩანაშვილი, შემდეგი ნიშნები ახასიათებს: მარცხენა ნაწილი წარწერისა ისეა ჩაჭრილი, რომ ზემოთა სტრიქონები უფრო მსხვილი ასოებითაა შესრულებული, ქვემოთა თანდათან უფრო წვრილით და უკანასკნელი ბევრად უფრო პატარა ზომის. მარჯვენა მხარის წარწერა უფრო თანაბარი ასოებითაა გაკეთებული, ჯვარზე IC და ΝΙΚΑ მსხვილი ასოებითაა დაწერილი, დანარ-

ΝΙ ΚΑ

წ და Ἰ (= π ρ ა ნ η ς)

№ 673

№ 674

ჩენი ასოები პატარებია. ასოებს კუთხეებში წერტილები უხვით. რამდენიმე ასოს (ι, υ, τ) აქვთ გარდიგარდმო შტრიხი (№ 671)<sup>1</sup>. ასოები საერთოდ კუთხოვანია. ასოთა მოხაზულობიდან ყურადღებას იპყრობს α, β, ε, σ, μ, ι, υ, τ, ξ... (№ 672). იხმარება ვერტიკალური წერტილები: და; იხმარება ქარავმის ნიშანი -, მახვილის ნიშნები: ', ' და '. სიტყვა ν:αξ-ს (რომელიც ორადღა გაყოფილი) აქვს ორი ნიშანი ზემოთ (№ 673): ქარავმის ნიშანი ორივე ნაწილზეა. არსად სწვრივია ფშვინვის ნიშანი. ლიგატურებიდან გვხვდება στ, τρ ან τϕ (№ 674): შემოკლებებიდან გვხვდება: ϕσ', ΙϚ (XϚ ახლა სულ აღარა ჩანს) და ის ცალკეული ასოები, რომლებიც ჯვარში სწვრივია. არის იტაციზმის შემთხვევები: μνι, μϕαλιμϕαρτοις, υξ (= εიξ), τϕ (= τϕ) ελλ:α:αϕ. სახელი Γεώργιος ორივეჯერ სწვრივია ო-ით, ე. ო. ა-ის მაგივრად ნახმარია ო.

ყველა ამ ნიშნით ყუბანში მოპოვებული და საქართველოს მუზეუმში დაცული ეს წარწერა ახლოს დგას გვიან-ბიზანტიური დამწერლობის ძეგლებთან.

9. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამოფენაზე არის 1940 წლის შემოდგომაზე (უფრო ზუსტად 24 ნოემბერს) არმაზის ხეთან თხრისას

<sup>1</sup> გარდიგარდმო შტრიხი გვიან ფეოდალურ ხანაში ძალიან გავრცელებულია. კანტიკუნტად გვხვდება ადრე ქრისტიანულ წარწერებშიც. მაგ., V—VI სს კვაპოუსულ წარწერებში: ასეთია ὁ შდრ. T. B. Mitford, Some new inscriptions from early christian Cyprus, Byzantion, XX, 1950, გვ. გვ. 160—161.

აღმოჩენილი სტელა, რომელზედაც ამოკრილია ორენოვანი წარწერა, ზემოთ ბერძნული, ხოლო ქვემოთ ე. წ. არმაზული დამწერლობით შესრულებული. ბერძნული ნაწილი ასე იკითხება (№ 675):

ΣΗΡΑΠΕΙΤΙΣ ΖΗΣΟΥΧΟΥ  
 ΤΟΥ ΝΕΩΤΕΡΟΥ ΠΙΤΙΑΣΟΥ  
 ΘΥΓΑΤΗΡ ΠΟΥ ΠΛΙΚΙΟΥ ΑΓΡΙΠΠΑ ΠΙΤΙ  
 ΑΣΟΥ ΥΙΟΥ ΥΙΩ ΔΑΜΑΝΓΑΝΟΥ ΓΥΝΗ  
 ΤΟΥ ΠΟΛΛΑΣ ΝΕΙΚΑΣ ΠΟΙΗΣΑΝΤΕΣ  
 ΕΠΙ ΤΡΟΠΟΥ ΒΑΣΙΛΕΩΣ ΒΗΡΩΝ  
 ΜΕΓΑΛΟΥ ΣΗΦΑΡΝΟΥ ΓΟΥ ΔΕ  
 ΘΑΝΕ ΝΕΩΤΕΡΑ ΕΤΩΝ ΚΑ  
 ΗΤΙΣ ΤΟ ΚΑΛΛΟΣ ΑΜΕΙΜΗΤΟΝ  
 ΕΙΧΕ

№ 675

σηραπειτις ζηουαχου  
 του νεωτερου πιτιαξου  
 θυγατηρ πουπλικιου αγριππα πιτι  
 αξου υιου ιωδμανγανου γυνη  
 του πολλας νεικας ποιησαντος  
 επιτροπου βασιλεως βηρων  
 μεγαλου ξεφαρνουγου δε  
 θανε νεωτερα ετων κα  
 ητις το καλλος αμειμητον ειχε

წარწერა ასე წაიკითხება: Σηραπειτις, Ζεουαχου του νεωτερου πιτιαξου θυγατηρ, Πουπλικιου Ἀγριππα πιτιαξου υιου Ἰωδμανγανου γυνη, του πολλας νεικας ποιησαντος επιτροπου βασιλεως Ἰβηρων μεγαλου ξεφαρνουγου. Ἀπέθανε νεωτερα ετων 21, ητις το καλλος αμειμητον ειχε.

თარგმანი იქნება: „სერაპიტი, მცირე პიტიახუსის ძევიკის ასული, პიტიახუს ჰელიკონს აგრძნას ძის, იბერთა მეფის დიდი ქსეთარნუგის მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეფოსმოდორის, იოდმანგანის მეუღლე-გარდაიცვალა ახალგაზრდა, 21 წლისა, რომელსაც ჰქონდა უბადლო სილამაზე“.

ტექსტთან დაკავშირებით რამდენიმე გარემოება იპყრობს ყურადღებას: სრულიად ჩვეულებრივი და გაერცელებული სიტყვა ნეωტერიჲ გვხვდება ორჯერ: პირველად ის ეხება პიტიახუს ძევიკს, ხოლო მეორედ—მის ასულს, 21 წლის ქალს სერაპიტს. სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობაა: უფრო ახალი, უფრო ახალგაზრდა, უმცროსი (შეპირისპირებით პრესენტერიჲ-თან—უფროსი. Xen. An. I, 1; Pl. Phaedr. 277 c). 21 წლის ქალის მიმართ, ცხადია, ეს

სიტყვა ნიშნავს „უფრო ახალგაზრდას“. ე. ი. ძალიან ახალგაზრდას, მაკრამ როცა საქმე ეხება მის მამას, პიტიახშის ის უკვე ვერ იქნება „უფრო ახალგაზრდა“ და „უმცროსი“ თავისი ასაკის მიხედვით. მსჯელობისათვის მასალას გვაწვდის იმავე სტელაზე მოთავსებული არამახული დანწევრობით შესრულებული წარწერა, რომლის ქართული თარგმანი ასეთია: „მე (ვარ) სერაფიტნი, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა, — ძღვევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოასნომოურისა ხსენებულ მეფისა — ძისა აგრითა ეზოასნომოურისა ფარსმან მეფისა. ვაება ვაებისა. ის რაც (= ის ვინც) იყო... არა დასრულებული [ე. ი. ახალგაზრდა?] და იმდენად კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არავინ იყო [მისი] ნსგავსი სილაბაზით. და გარდაიცვალა 21 წლისა“<sup>1</sup>.

ბერძნული და არამეული ტექსტების შეჯერებით ასეთ რეალურ ვითარებასთან გვაქვს საქმე: ფარსმან მეფის მოხელეები არიან: ძველ-პიტიახში და პუბლიკიოს აგრიბა (პიტიახში თუ ეზოსნომდვარი)?<sup>2</sup> აგრიბას ვაგი — იოდმანგანი თვით არის ქსენარნუგ მეფის ეზოსნომდვარი (და მას ცოლად ჰყოლია ძველ-პიტიახის ასული სერაპიტნი). წარწერის ამოკრის დროს, ჩანს, მეფეა ქსენარნუგი (ფარსმანი გარდაცვლილია). გარდაცვლილი მეფის პიტიახში და 21 წლის შვილის მამა ვერ იქნება ახალგაზრდა კაცი (ისე ახალგაზრდა, რომ ამის შესახებ სპეციალურად აღინიშნოს). ჩვენ უნდა ავიღოთ სიტყვა „უმცროსისა“ — მისი მნიშვნელობა, რომელიც ასაკს კი არ გამოხატავს, არამედ სინტირეს, ეოქვათ, მდგომარეობის მხრივ. „მცირე“ და „დიდი“ ხომ საერთოდ აღინიშნავს არა მარტო ასაკობრივ, არამედ მდგომარეობით შეფარდებასაც. მართალია, ვაცილებით უფრო გვიანდელია, მაგრამ ძველი ქართული ენის კუთვნილებაა ევრემ მცირის მიერ თარგმნილი „ამბროსი მედიოლანელის ცხობება“ (XIII ს-ის ხელნაწერი A 90), სადაც ასეთი აღვნიშნები გვაქვს: დედა მცირისა უვალენტინიანესი, ბერძნ.—*ἡ δὲ ἡ ἐξ οὗ τῆς Οὐαλεντινιανῆς μητρὸς*—M 88 B. 13. (შეპირისპირება: დიდი უვალენტინიანე—*μεγὰρ ὁ ὕψιστος*. — ამისი მეუღლე იუსტინა, ხოლო *ἡ ἐξ οὗ Ὀβελῆς*. — მცირე უვალენტინიანე — იგივე პირი ამისი დედაა). (შდრ. *ἡ ἐκ τῆς ἑσχατίας* — ათენის მუზეუმიდან. BCH 1927. VII—XII. p. p. 319—321).

ამ წარწერასთან დაკავშირებით დგება საკითხები თვით საქართველოს ისტორიის I საუკუნეებისათვის: რას ნიშნავს „მცირე (უმცროსი) პიტიახში“ და პირდაპირ „პიტიახში“, რას გულისხმობს სიტყვა *ἐξ οὗ τῆς* „ეზოასნომდვარი“ (ე. ი. რა შედიოდა იოდმანგანის ფუნქციებში, გაერცლებული ნიშნელობა ამ ტერმინისა — მეურვე; გამგებელი ქონებისა და მამულებისა, თუ კიდევ სხვა რამ) და ბოლოს თვით პიროვნებათა საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული ტექსტი ენობრივი მონაცემებით სინდელეს არ წარმოადგენს, ხოლო არამეული გეშეელის ზოგი საკითხის გარ-

<sup>1</sup> თარგმანი მომყავს გ. წერეთლის შრომიდან: არმაზის ბილინგვა. თბილი. ი. 1942 წ. გვ. 16.

<sup>2</sup> ს. ჯანაშიას აზრით (შდრ. აქვე, გვ. გვ. 260—262) ძველ-პიტიახში მეუღლე არის კარპაკი, ძევახისა და კარპაკის ქალიშვილი იყო სერაფიტნი. ძველის მეორე იყო აგოლევე ჩანს ანაბრუკ პიტიახში: საქართველოს ძვ. ისტ. ძეგლები (ვახ. კომუნისტი, 1941. 1. VI. № 127).

კვევაში, ეს საკითხები ღიად უნდა დავტოვოთ ან გადმოვცეთ ის ვითარება, როგორც წარწერის პირველ მკვლევრებს აქვთ<sup>1</sup>.

Ε, C, O, Μ, Λ

№ 676

Ξ და Ξ

№ 677

3. ინგოროყვას შრომაში: „მოქცევაჲ ქართლისაჲ და იბერიის მეფეთა სია“ გვ. 316 მოპყაეს ასეთი ცხრილი: სრულიად იბერიის მეფე ფარსმან II—თანამეფე არმაზელი პიტიახში კოსს პუბლიკი აგრიპა, I—II სს-ის მიჯნა. შემდეგ სრულიად იბერიის მეფე—ფარნუქ I (იგივე ხსე-ფარნუგ, ბერძნული ქსეფარნუგი)—თანამეფე არმაზელი პიტიახში—არმაზაერი—110-იანი წლები. შემდეგ 120-იანი წლებისათვის—სრულიად იბერიის სეფე—ამაზასპ I—თანამეფე არმაზელი პიტიახში—ადერუცი“ და სხვა. ჩვენი წარწერით თანამიმდევრობა სრულიად იბერიის მეფეთა ფარსმანისა და ქსეფარნუგ II ფარნუკისა ცხადია; ისიც ცხადია, რომ პიტიახშია აგრიპა, ბერძნული წარწერით არ ჩანს ვისი, არამეფულით—ფარსმან მეფისა, ქრონოლოგიის საწინააღმდეგოს წარწერა არათერს იძლევა: აზას ასაბუთებს წარწერაში ხმარებული მეტისმეტად მომრგვალებული ასოები E, C, O, M, Δ (№ 676), ძალიან სტაბილური Ξ, ζ-ის მოხაზულობა (№ 677), აღუნიშვნელობა ასპირაციისა და მახვილის აღვილებისა, ბოლოს, იტაციზმი (Σηραπειταις = Σηραπειταις, νειχας = νιχαις, αμαμητου = αμαμητον), ε და η-ს აღრევა (Σηραπειταις და მისი მსგავსი სახელები გვხვდება სხვა წყაროებში ε-ით: Σεραιπαις—Preisigke, Namenbuch... SB I 2660. Heidelberg, 1922. Ζησαιχου—პარალელურად იხმარება Ζεσαιχου || Ζεσαιχου) და კლასიკური სა-დიფთონგის გადმოცემა ηჟა დაწერილობით. გვ. 240-ზე მოტანილ ნიმუშში—σεσερჟჟჟ იგივე მდგომარეობა გვაქვს. ძველ ბერძნულში (დაახლ. IX—IV სს-ში) ეს გამოითქმოდა, ალბათ, როგორც ეჟ, შემდეგში ეს უ გადაიქცა გამოთქმაში ე-დ. რა საშუალებაა ბერძნულში ე-ბგერის გადმოსაცემად? ბიზანტიურ ეპოქაში გამოიყენება β, ამაზე აღრე კი ο || υ (შდრ. ზემოთ მოტანილი Ουαλεστυ:αυός = ვალენტინიანი, Ου:αταρ = ვიქტორი და სხვა). ამგვარად, წარწერა დაახლოებით II საუკუნით უნდა დათარიღდეს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ტერმინი *σεστεροι* სხვა წარწერასთან დაკავშირებითაც ვამხდარა საკანთო: ე. წ. ნელიზოვის ყორღანში აღმოჩენილ ნივთზე წერებულა *σεστεροι*, წარწერის შესახებ სემიონოვი ჯერ წერდა: „какой-то Диадумен, по прозванию Хрис, покладая свою должность (он был вероятно поваром) упомянутую кастриюю оставил в наследие своим „младшим“, т. е. бывшим помощникам“... (ე. ი. *σεστεροι* არის *მლადში*, ე. ი. უმცროსნი). ერთი წლის შემდეგ იგივე ავტორი იძლევა ამ წარწერის ასეთ თარგმანს: „Diadumenos, der Sohn des Chrysos, hat den Nachfolgern gestiftet, als der Hausverwalter Theophilos war“ ( *σεστεροι*—არის *Nachfolger*—ე. ი. მიმდევრები, მემკვიდრეები...). *sb. H. Новосадская, Автандиаш епиграфика в СССР за 20 лет: ВДИ 1938. 4 (5), стр. стр. 210—211.*

<sup>2</sup> სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი ძველის აღმოჩენამ ცხოველი ინტერესი დაბადა სპეციალისტთა შორის. არმაზის ბილინგვას (როგორც მას უწოდებენ) ეძღვნა არა ერთი შრომა. ს. ყაუხჩი იშვილი თავის გამოკვლევაში ბერძნულ ტექსტს ასე თარგმნის (ოვით ბერ-

10. საქართველოს მუზეუმის გამოფენაზე მოთავსებულია 1938 წლის ოქტომბერში მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ბერძნულ-წარ-

ძნული ტექსტი არ მომყავს, რადგან მისი წაკითხვა ეჭვს არ იწვევს და ყველა ავტორს ერთნაირად აქვს: „სერაპიტი. ასული ახლანდელის პიტიაზის ძეგლისა, მეუღლე იბერთა მეფის [დიდი] ქსეფარნუგის მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეპიტროპოსის იოდანანისა, პიტი ან პუბლიკიოს აგრიპას ძისა, გარდაიყვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 21 წლისა, მქონებელი უხადლო სილამაზისა“. შემდეგ მოცემულია ენობრივი თავისებურებებისა და ეპიგრაფიკული ნიშნების განხილვა და ტერმინი „ეპიტროპოსის“ შინაარსის გარკვევა (=მმართველი, მეფის მონაცვლე) („არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები“: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, № 1—2. თბილისი, 1941 წ. გვ. გვ. 171—175). საქამათო გამოთქმა „ახლანდელი პიტიაზში ძეგახი“: სიტყვა *ახλανε* დაახლოებით იძლევა „ახლანდელის“ გაკეთებას, მაგრამ არამეული ტექსტის მოშვლებებით და ოვალური ვითარების გათვალისწინებით უფრო მეფის, ფარსიანის, მოხელე ძეგაკი ახლანდელი პიტიაზში ვეღარ გამოდის. რომ არ იყოს არამეულ ტექსტში აღნიშნული, რომ ფარსიან მეფის პიტიაზშია ძეგაკი, შეიძლება იმის დაშვება (მარტო ბერძნულის მიხედვით), რომ ახალ მეფეს ქსეფარნუგს ჰყვებოდა იმის დაშვება (მარტო ბერძნულის მიხედვით). ა. შანიძის სპეციალური მიზანი არ ყოფილა წარწერების გამოკვლევა, მას აინტერესებდა ძველი ქართული ტერმინის, ენობრივი უფროსის, ისტორია. არმაზის ბილინგვა ამ სიტუაციისათვის მდიდარ მასალას იძლევა და რადგან ამ დროისათვის ძველი ახლად აღმოჩენილი იყო, ამიტომ ა. შანიძემ მოგვცა თვით წარწერების საკუთარი წაკითხვებიც. ჩვენთვის საინტერესო ბერძნული ნაწილისათვის იგი ასეთ თარგმანს იძლევა: „Серапита, дочь нового пиллaxи Зеваха, жена Подмангана (сын пиллaxи Публикия Агриппы), победоносного (букв. одержавшего много побед) прокуратора великого грузинского царя Ксепарнуга, скончалась молодой, 21-го года, имея неподражаемую красоту“. ბერძნული *ἐπιτροπος*-ის (procurator) ქართულ შესატყვისობად „ეზოასმოდღარი“ მიანიხი („Данные греческо-пехавинской библии из Армаза для истории терхана езоасмодлар-и Эпихропос-и в древне-грузинском“: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, 1—2, 1941 წ. გვ. გვ. 181—187). თარგმანი ყურადღებას იქცევს გამოთქმა: „нового пиллaxи Зеваха“, რასაც ავტორი გვერდით უძენებს არამეულის „მოლოდო პილლახია“-ს. ზემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძველზე ძეგლის მიმართ „*αιουσι*“ და „*μοιοδοσι*“ მართებულად არ მიმანიხი. გ. წერეთელი მაშასობს საკითხს უძველეს სპეციალური გამოკვლევა: „არმაზის ბილინგვა“ (ქართული გამოცემა 1942 წ. რუსეთში გამოცემა—1941 წ.). შრომაში ძირითადია არამეული ტექსტის გარჩევა-დადგენა, მაგრამ რადგან ავტორი აოკვევს სხვა საკითხებსაც (მაგ., მოქმედი პირები, ისტორიული მნიშვნელობა და სხვა), ამიტომ იძლევა ბერძნული ტექსტის საკუთარ თარგმანს: „სერაპიტი. ასული ზევას მეორისა პიტიაზისა, მეუღლე პუბლიკიოს აგრიპას პიტიაზის ძის იოდანანისა, ივერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის მრავალთა გამარჯვებათა მომპოვებელი ეპიტროპოსისა. გარდაიყვალა ახალგაზრდა, 21 წლისა, მქონებელი უხადარბებელი სილამაზისა“ („არმაზის ბილინგვა“—გვ. 17). პირველად აქ არის ეფექტიანი პიტიაზად გამოყვანილი და დასაძულა ასეთი საკითხი: თუ სომხოსა და სხვა მუხობულ ქვეყნებში ყოი ინსტიტუტი მკორე და დიდი პიტიაზებისა, ხომ არ იყო ასეთი რამ საქართველოში (გვ. 35 და შტ.). ავტორს ტერმინი *ἐπιτροπος*—„ეზოასმოდღარი“ გაერკულებული სპ.რუსული ტერმინის, სპასპეტის, სპ.სატყვისად მიანიხი (დასახ. შრომა, გვ. 44 და შტ.). იხ. ამ შრომის რეცენზია: ა. მ. ნიკ. გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა: მნათობი, 1942 წ. № 9. გვ. გვ. 135—141. არმაზის ბილინგვას (და სხვა სხვა წარწერას, რომელიც საქართველოშია აღმოჩენილი) სპეციალური გამოკვლევა უძღვნა H. S. Nyberg-მ—„Quelques inscriptions antiques decouvertes récemment en Géorgie“ (Ex. Ernan Rudbergiano, qui est Erant vol. XLIV. scorsum expr. Gotoburgi 1946). გვ. 233-ზე იძლევა ბერძნული ტექსტის თარგმანს: „Serapitis, fille de Zevax le plus jeune (ou: le second quant à son rang?) pillaxe, femme du fils du pillaxe Publicius Agrippa, lodmanganos, qui a remporté beaucoup de victoires, procureur au du

წერიანი ქვა (ქვა ორალაა გატეხილი, ნატეხები ერთიმეორის გაგრძელებას წარმოადგენენ). წარწერა ასე იკითხება (№ 678):

ΑΥΡΑΧΟΛΙΣΑΡΧΙΖΩ	აურ. ახოლის არჩიჯა
ΓΡΑΦΟΣΚΑΙΑΡΧΙΤΕ	გრავოს კაი არჩიტე
ΚΤΩΝΕΝΘΑΔΕΚΙΜ	კτων ενθαδε კიμ
ΜΕΤΑΤΗΣΣΥΝΕΥΝΟΣ	მეტა της სუნეუოს
ΜΟΥΒΕΥΡΑΖΟΥΡΙΑ	5. მუ ბურაჯურია...
ΑΞΙΩΔΕΤΟΥΣΦΙΛΟΥ	აჯივ დე თუს ფილუს
ΚΑΙΠΑΡΟΔΙΤΑΣΕΠΕΙ	კაი პაროდიტას ეპეი
ΒΛΕΨΗΝΤΑΣΑΛΛΗΛΩΝ	ბლესჰინტას ალელων
ΓΑΡΣΙΝΑΨΗΤΙΣΕΠΕΙ	გარ სინა ჰის ეპეი
ΜΙΡΡΙΟΣΤΑΟΣΤΕΟ	10. მირიოს ტა ოსტეო
ΨΙΣΘΕΛΗΣ	.ტის ზელის...
ΨΕΘΗΜΩΝ	...მეფ ჰემონ
ΤΕΓΕΝΟΧΗΤΕΑΛ	ტე გენოს ჰტე ალ
ΞΕΝΟΣΔΩΣΙΑΠΟΛ	ჯენოს დვასი აპოლ
ΙΑΝΕΝΤΗΑΝΑΣΤΑΣΙ	15. იან εν თე ანასტასი

№ 678

წარწერა ასე უნდა წაიკითხოთ: Αὐρ[ήλις] Ἀχόλις ἀρχιζαγράφος καὶ ἀρχιτέκτων ἐνθάδε κειμῖται μετὰ τῆς συνένου μου Βευραζουρίας. ἀξίω δὲ τοὺς ψι-

grand roi des Ibères Ksepharnougos—elle mourut jeune, âgée de 21 ans; laquelle avait une beauté incomparable". გვ. 237-ზე წერია: ὁ νεώτερος πριγκίπης = kas biṭaxš „sa traduction grecque est erronée“, ხოლო 242 გვ-ზე გულისხმობს რა ადრიანეს დროს (117—138 წწ) და ითვლიანწინებს ფალაურ (როგორც თვითონ უწოდებს) ტუქსტს, ამბობს: „Avant cette époque ἐπίτροπος désignait un administrateur privé ...biṭaxš et ἐπίτροπος désignait aussi le grand vizir“. ამგვარად, ნიბერგი სვამს ყველა იმ საკითხს, რაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში იდგა და, როგორც ვხედავთ, მათ გადასაჭრელად ახალს ვერაფერს უმატებს.

λους και παροδίντας ἐπιβλέψειν τὰς ἀλλήλων... ἔνα μήτις ἐπι μαρασται ἄσπε μῆ  
τις θελήσει μεσ' ἡμῶν εἶτε γένος εἶτε ἄλλος ζήνοσ, δῶσαι ἀπολογίζαν ἐν τῇ ἀνασ-  
τάσει: [70A].

თარგმანი იქნება: ავრელი აქოლისი, მსატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აქ  
განვისვენებ ჩემ მეუღლე ბევრანურიასთან ერთად. ვთხოვ მეგობრებსა და გამყოლებს,  
რომ უფრო ნუგლონ ერთმანეთის... (აღბათ — საქმიანობას) დაახლოებით შეათათასამ-  
ლე (წელი უნდა იგულისხმებოდეს — თ. უ.), ისე რომ თუ ვინმე მოინდომებს  
ჩვენთან ერთად (დასაფლავებას—?) ან (ჩვენი) ტომისა ან სხვა უცხოელი, პასუხი აგოს  
თავისი აღდგომისას.

[C.E] (C.E) (μ,Θ,ω) ψ-τ Η  
№ 679 № 680 № 681 № 682 № 683

როგორც ვხედავთ, წარწერა არის ავრელი აქოლისისა და მისი მეუღ-  
ლის ეპიტაფია.

წარწერის ასოთა მოხაზულობაში ყურადღებას იპყრობს σ და ε, რომ-  
ლებიც ორნაირი გვხვდება: ხან აბსოლუტურად მრგვალი (№ 679), ხან  
კუთხოვანი (№ 680). ასევე მრგვალია: μ, θ, ω (№ 681). თავისებურია ψ (№  
682). არა გვხვდება მახვილისა და ასპირაციის ნიშნები. არც ქარავმის ნიშა-  
ნი გვაქვს: შემოკლება მარტო ერთია: Αυσ. (=Αύρηλις), გვერდზე წერტი-  
ლით აღნიშნული (ΑΥΡ.)<sup>1</sup>. ლიგატურა გვხვდება მხოლოდ ერთი (4 და 11 სტრი-  
ქონებში № 683). საკმაოდ ხშირია იტაციზმი: χιμ (=χιμα); ეπει... (ἐπι:); ეπει-  
βλεψηγ (=ἐπιβλέψειν); μ:ρρισται (=μαρ:ισται), ητε (εἶτε), ὄσασ: (ὄσασει); ἀνασται:  
(ἀναστασει). α-დიფთონგი ε-თი ჩანს გადმოცემული: (χιμ:ε); არეულია σ და  
ω-ს ხმარება: ὄσασ (=ἄσασ). ყურადღებას იპყრობს μ:ρ:ισται-ში ორი ρ (თუ  
სწორია ჩემი აღდგენა μαρ:ισται).

ეს ენობრივი ნიშნები გვიან-რომაული ხანისთვის არის დამახასიათებ-  
ელი. თარიღის მეტი დაზუსტება შეიძლება უკანასკნელი სტრიქონის მიხედ-  
ვით: ლაპარაკია განკითხვა-პასუხის გებაზე აღდგომის დროს, ე. ი. ძეგ-  
ლი აშკარად ქრისტიანული ხანისაა. ამგვარად, ავრელი აქოლისის საფლავზე-  
და წარწერა ჩვენი წელთაღრიცხვის IV, ან შეიძლება მის მომდევნო საუკუნეს  
ეკუთვნის<sup>2</sup>.

<sup>1</sup> სახელებისათვის *Αύρηλιος*, *Αύρηλία*—ჩვეულებრივია შემოკლება *Αυσ* და *Αυ* (შდრ.  
კვიპროსის მასალებს, T. B. Mitford, Some new inscriptions from early christian Cyprus:  
Byzantion, XX, 1950, გვ. 173).

<sup>2</sup> წარწერა გამოცემული აქვს ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ს (მცხეთა-სამთავროს ახლად აღმო-  
ჩენილი ბერძნული წარწერა: აკადემიის მთაბზე, IV, 6. 1943 წ. გვ. გვ. 577—584). ბერძნულ  
ტექსტს ასე წარმოვიცდგინეს: *Αύρηλις Ἀθόλις ἀρχιεργάρος και ἀρχιεπίσκοπος ἐν τῇ αἰ-  
μαί μετὰ τῆς σπασσῆσθ μου Βεσπασιανῆς ἀξίω δὲ τῆς φύσεως καὶ παροδίντας ἐπιβλέ-  
ψειν. ἔνα μήτις ἐπι... τὶς θελήσῃ μεθ' ἡμῶν εἶτε γένος εἶτε ἄλλος ζήνοσ, δῶσαι ἀπολο-  
γίζαν ἐν τῇ ἀναστασει τῶσ*. თარგმანი ასეთია: „აქ განვისვენებ მსატვართ-უხუცესი და ხუროთ-  
მოძღვარი ავრელი აქოლისი, ჩემი მეუღლეთურთ, ბევრანურიათურთ, ვთხოვ მეგობრებსა და



სახელი აგრელი აქოლისი (Αὑρήλιος ἢ Αὑρήλις, Ἀχάλιος ἢ Ἀχάλις) ბერძნულ-რომაული სამყაროს კუთვნილებათ, მისი პირველი ნაწილი მაინც საქმაოდ გავრცელებულია როგორც დედა საბერძნეთსა და რომში, აგრეთვე პერიფერიებში (შდრ. The greek inscriptions in the Fitzwilliam Museum—p. 15 Jonia, a. Magnesia on the Sipylus... Third century A. D.. Αὑρήλιος; Τράφω... საფლავზედა წარწერა მოთავსებული: The Journal of hellenic studies, volume LXII, 1942, London, სტატია F. M. Heichelheim-ისა), მაგრამ ეს გარემოება სრულად არ გულისხმობს იმას, რომ აგრელი-აქოლისი, ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი, უეჭველად ბერძენი თუ რომაელი კაცია. ბერძნულ-რომაული პირთა-სახელები ხომ საყოველთაოდ გავრცელებული იყო საქართველოში, განსაკუთრებით ქრისტიანობის მიღების შემდეგ. კაცს ჰქვია ბერძნულ-რომაული სახელი, მის მეუღლეს ადგილობრივი არა ბერძნული სახელი, ორივენი ცხოვრობენ საქართველოში, დაკრძალული არიან სამთავროში და ექვს გარეშეა, რომ კაცი აქაური ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი იყო, აქაურ საქმეს აკეთებდა. აგრელი აქოლისი წარმოშობით რომ არ ყოფილიყო ქართველი, თავისი მოღვაწეობით მაინც ქართველი იყო.

ამ გარემოებაზე ყურადღებას ამახვილებს 12—14 სტრიქონების *ἐνε ψένος ἐνε ἀλλος ἔνεος...* ψένος ნიშნავს: გვარი, ტომი, თესლი... *ἀλλος ἔνεος*—სხვა უცხოელი. აშკარაა, რომ შეპირისპირება გვაქვს: აგრელი აქოლისისა და

გამეღლებს ყური უგდონ [...], რათა არაიენ დაქსიანოს?... თუ ვინმე [გაბედავს დასაფლავებას] ჩვენთან ერთად, ან ჩვენი ტომისაგანი ან სხვა უცხოელი, პასუხს აგებს თავისი აღდგომის დროს". შემდეგ გარჩეულია წარწერის ეპიკრაფიკულ-ენობრივი თავისებურებები, პინარისი და მოყვანილი ტერმინები. დადასტურებულია, რომ ტერმინი *ἀρχιερατικός* არ გვხვდება ბერძნულ დამწერლობაში XII ს-მდე. საბერძნეთში არ ყუილა ისეთი თანამდებობა და წოდება, რომელსაც შესაბამებოდეს ტერმინი *ἀρχιερατικός* და რომ ეს ტერმინი (მისი ცალკეული ნაწილები—*ἀρχ* და *ἐρατικός* ბერძნულია) შექმნილია ადგილობრივი, ქართული საპირობისათვის. ეს გარემოება (რომ IV—V საუკუნეებისათვის საქართველოში „მხატვართუხუცესის“ თანამდებობა არსებობს) ფართო პერსპექტივას უსახავს ხელოვნებათმცოდნეობა: IV—V სს-ში საქართველოში განვითარებულია მშენებლობა (ტერმინი *ἀρχιτέκτων*), მხატვრობა, ჩანა, არის ხელოვან-ხელოსანთა ბრიგადები და არსებობენ მათი უფროსები—არქიტოგრაფები. ს. ყ ა უ ხ ი ი შ ვ ი ლ ი ქალის სახელს, ბევრაზურისას, ჰიპოთეზურად გვეუღწი უყვენებს ქართულ „ბევრულს“ და ავრელი აქოლისის მეუღლე ადგილობრივ მცხოვრებად მიიჩნია. ვ. აბაქვი შრომაში „არამახის ბილინგვის გარწემო“ აკეთებს ასეთ შენიშვნას „აღლწორად მიგვაჩინა ჩვენ აგრეთვე დედაკაცის სახელი *Βεραδίστορα* IV საუკუნე. ბერძნულ წარწერისა, რომელიც მცხეთა-სამთავროშია ნაპოვნი... შდრ. ოს. დიგ. ბევრ-ხორა „მრავალმეტყველი“ სიტყვებისაგან ბევრ-ბევრი და ხორაურ, ზუზუნ—„ლაპარაკი“ (ძეცნ. აკადემიის ნოაბე, V, № 8. 1944 გვ. 823 შენიშვნა).

ჩემის მტრე შემიძლია დავუმატო ოს. რომ ნაკავი სახელი, მაგრამ მამაკაცისათვის გამოყენებული, გვხვდება „სენაუ საისტორიო ძეგლებში“ (პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა ს გამოცემა, 1941 წ.) გვ. 97: XIV—XV სს. აქტი სეტის კევიდან: „ამის თაუსდებად მოგუიციემა პირველ ღვრთი, კაცთაგან: თვლილი გვლიანი, ბეერაზ ბეჩიანი, შახსი დედლორიანი...“. XIII ს.-ის მეორე ნახევრის ძველი „შატანე სუანეთისა კრებისა“—გვ. გვ. 124 და 129 გვხვდება სახელი ბეერაზ ბეჩიანი. ანგვარად სახელი „ბევრაზ“ და „ბევრაზურიც“ ჩვენი სამყაროს კუთვნილებათა და არა ბერძნულ-რომაული (შდრ. პაპესა და ბებტელის საკუთარ სახელთა ლექსიკონებს).



ჩანს, ბექდიდანაა ამოვარდნილი. იგი აღმოჩენილია 1939 წელს, სამთავროში. ქვას ფუძეთაგან პატარა წრიულ წახნაგზე აქვს ბერძნული წარწერა ორ სტრიქონად. ანაბექლებზე წარწერა ასე იკითხება (№ 686):  $\epsilon\sigma\tau\chi\iota$ , ე. ი.  $\epsilon\sigma\tau\chi\iota$ — ზედნიერი იყავ.

ასოთა მოხაზულობიდან ყურადღებას იქცევს კუთხოვანი  $\epsilon$  (E) და  $\sigma$ -ის 2 მოხაზულობა: V და I', რაც დამახასიათებელია ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის. გვაქვს იტაციზმიც  $\epsilon\sigma\tau\chi\iota$ , ე. ი.  $\epsilon$  გადმოსცემს  $\epsilon$ -ს.

HX  
EVT API  
YXI CT L =  $\epsilon\sigma$ .

№ 686                      № 687                      № 688

ეს გეგმა შესწავლილია მ. მაქსიმოვას მიერ. იგი მიუთითებს მრავალ სხვა ანალოგიურ წარწერებზე და ნიეთს ათარილებს III საუკუნით<sup>1</sup>. ნიეთი მას საჩუქრად მიაჩნია და, მაშასადამე, წარწერა—გამოთქმულ სურვილად.

3 საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში № 336-ით დაცულია ბაიერნისეული გათხრების დროს სამთავროში მოპოვებული ოვალური შუშა წითელი ფერისა ბრინჯაოს მწვანე რგოლით. ცალგვერდზე ხატია ნიქე (?), პირზე ჩაპკრილია ბერძნული წარწერა სამ სტრიქონად. წარწერა ასეთია (№ 687):  $\eta\chi\alpha\rho\iota\sigma\tau\epsilon$  = [ქაჩაძეთაძე, ე. ი. ეზიარე (ან—მაღლიერი იყავ). წარწერა საინტერესოა ენობრივად: გავრცელებული ფორმა —  $\epsilon\chi\alpha\rho\iota\sigma\tau\epsilon\alpha$  — მოცემულია ახალბერძნული ფლორიტით:  $\chi\alpha\rho\iota\sigma\tau\epsilon$ ; ჰაძი და კის შრომაში დამოწმებულია ფორმები: ( $\epsilon$ ) $\chi\alpha\rho\iota\sigma\tau\epsilon\alpha$ , ( $\epsilon$ ) $\chi\alpha\rho\iota\sigma\tau\epsilon\alpha$ , ე. ი. ისეთი, სადაც  $\epsilon$  მოცვეთილია და ამისი გამოთქმა არის:  $\nu\kappa\alpha\rho\iota\sigma\tau\epsilon$ ,  $\nu\kappa\alpha\rho\iota\sigma\tau\iota\alpha$ . ე. ი. კლასიკური დროის ეწ დიფთონგი, შემდეგ გააქცეული ევ-ად, ბოლოს გამოითქმის იგ და ვ-დ<sup>2</sup>, ჩვენს შემთხვევაში  $\nu$  (რომელიც ალბათ ვ-დ გამოითქმოდა) გადმოცემულია  $\eta$ -თი. იტაციზმისეულია სოვლენა ბოლოში  $\iota$ -ს ხმარებისა— $\eta\chi\alpha\rho\iota\sigma\tau\epsilon$ . ნახმარია ლიგატურა (№ 688).


ნიეთი, როგორც ხელოვნების ნიმუში, შესწავლილია ა. ზახაროვის ნიერ და რომაული ხანისად არის ჩათვლილი<sup>3</sup>. თუ სიტყვა  $\epsilon\chi\alpha\rho\iota\sigma\tau\epsilon$ -ს „ზიარების“ მნიშვნელობით გავიგებთ, ნიეთი ქრისტიანული ხანის ძეგლად უნდა მივიჩნიოთ და ყოველ შემთხვევაში ჩვენს ტერიტორიაზე არა უადრეს IV ს-ისა ნოსხედრილად.

<sup>1</sup> M. И. Максимова, Геммы из некрополя Микеты—Самтавро: მუზეუმის მოამბე, XVI B. 1950 წ. გვ. 257.

<sup>2</sup> შდრ. G. H. Hatzidakis, Einleitung in die neugriechische Grammatik, 1892, S. S. 255, 345.

<sup>3</sup> A. Zakharow, Gemmen und Siegel des Museums Georgtens: მუზეუმის მოამბე, V, 1930 წ. გვ. 253. წარწერა აქ ვარჩეული არ არის. გადმოცემულია მხოლოდ ასეთი ფორმით: HXAPICTI. ამ ნიეთზე უნდა იყოს ლაპარაკი ი. პომილოვსკის კრებულში (Сборник... стр. 69), სადაც ბაიერნის შრომის მიხედვით მოყვანილია წარწერა ასეთი სახით: HX API B/ წარწერა არც აქაა ვარჩეული. თ, რომელიც თავისებური ლიგატურით არის წარმოდგენილი, არც ერთგან სწორად არ არის გაგებული.

4. საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში № 350-ით დაცულია სამთავროში მოპოვებული ბაიერნისეული განათხარი ბრინჯაოს ბეჭდის ნატეხი. ბრინჯაოს ფირფიტაზე არის ბერძნული ლიგატურა (№ 689). ნივთი უნახავს



ა. ზახაროვს, რომელიც მას რომაული ხანით ათარიღებს ლა ბერძნული ლიგატურა მიაჩნია მონოგრამად<sup>1</sup>. წარწერა მართლაც მონოგრამას უნდა წარმოადგენდეს და კერძო პირის სახელი უნდა იყოს მასში დაფარული. ასოთა მოხაზულობა (№ 690) ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეებზე მიუთითებს<sup>2</sup>.

5. საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში № 645-ით არის ნაყიდი გემმა. ეს არის მწვანე ფერის ქვა (ე. წ. *мыльнистый камень*), რომელსაც პირი ბრტყელი აქვს, ხოლო დანარჩენი ნაწილები—მრუდე. ქვა ვახერხეტილია (ყაითანზე სატარებლად). ბრტყელ პირზე გამოსახულია მალაქქედინი მამაკაცი პროფილში, სახის გასწვრივ სიგრძეზე ამოკრილია ბერძნული წარწერა. იგი ანაბეჭდზე ასე იკითხება (№ 691): + *αμεαν*, ე. ი. + *AMEAN* — ქ. ანელი. წარწერა საკუთარ სახელს უნდა აღნიშნავდეს. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გემმებზე გვხვდება სახელები: *Αναναηλ*, *Αναηλ*, *Αναελ*<sup>3</sup>. კუთხოვანი ასოები რომაული ხანისათვის არის დამახასიათებელი. გამოსახულების მარცხნივ ნიშანი + ქრისტიანულ ხანაზე უნდა მიუთითებდეს. სპეციალისტები ნივთს IV—V სს-ით ათარიღებენ.

6. საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში № 300-ით არის სამთავროში, ქალის სამარხში, 1940 წელს აღმოჩენილი გემმა. ესაა რკინის ბეჭდის ნატეხი ოვალური იასპის ქვით, მასზე შუაში გამოსახულია ძროხა, რომელსაც სწოვს ხბო. ძროხის მარცხნივ ხეა, რომლის ფოთლებიც ძროხაზე არის გადმობრილი. ქვემოთ არის ბერძნული წარწერა, რომელიც ანაბეჭდის მიხედვით ასე იკითხება (№ 692): *Κουακ*, ე. ი. *Kouak* — კოაკ. უნდა გამოხატავდეს ბკერა ე-ს (შდრ. ზემოთ — *εισαρχεου*, *ζησιαρχεα*). კოაკი (ან კუვაკი) საკუთარი სახელი უნდა იყოს. ფეიქრობ, სახელი არის ქალისა, იმის გამო, რომ ნივთი ქალის სამარხში არის ნაპოვნი. ამას გარდა, სახელი თავისი აღნაგო-

<sup>1</sup> A. Zakharov, Gemmen und Siegel des Museums Georgiens: მუზეუმის მოამბე... V, 1930 წ. გვ. 263. № 164.

<sup>2</sup> მონოგრამები შდრ. G. Schlumberger, Sigillographie de l'empire Byzantin, Paris, 1884.

<sup>3</sup> იხ. Philologus. LXIX (1910), გვ. 56.

ბით ჰგავს მეორეს — კარპაკს (კოვ-აკ, კარპ-აკ), რომელიც აქვე, არმაზის-ხევის ერთ-ერთი სამკაულის წარწერაში იხსენიება (იხ. აქვე, ქვევით). კოვაკი ბერძნულ-რომაული სახელი არ არის. სახელი კარპაკი ნიბერგს ირანული წარმოშობისად მიაჩნია<sup>1</sup>. კოვაკი თუ ირანული არაა, ყოველ შემთხვევაში აღნ. სამყაროს კუთვნილება ჩანს.

დამწერლობის მიხედვით წარწერა მაინცდამაინც რელიგიური არ არის, მაგრამ ზოგი ასოს მოხაზულობის მიხედვით (A, X) იგი I საუკუნეებში შეიძლება დათარიღდეს. მისი ასოების მოხაზულობა უფრო არქაულია, ვიდრე სხვა არმაზული გემმებისა. ამასვე მოწმობს ა-ის გამოყენება ვ-ის გადმოსაცემად (და არა ზ-სი ან კიდეც სხვა ასოსი).

მ. მაქსიმოვა სხვა ნივთებზე განიხილავს ანალოგიურ სიუჟეტს: ილია ცხოველთა ცხოვრებიდან, სახელდობრ, ხბოიანი ძროხა გამოსახული იყო კრეტის ხელოვნების ძეგლებზე (II ათასეულში), ძვ. წელთაღრ. VIII ს-ში ასირიის მეფის სასახლეში რელიეფის სახით, VII—VI სს-ში ამიერკავკასიაში ბრინჯაოს ფურცლებზე და შემდეგ ძველ-ბერძნულ გემმებსა და მონეტებზე VI ს-დან მოკიდებული. საბეჭდავებზე ამ გამოსახულების გვერდით შეიძლება კიდეც პატრონის სახელიც წერებულყო<sup>2</sup>. ყველაფერ ამის საფუძველზე შეიძლება დაისკვნას, რომ გაერთელებული სიუჟეტი ამოკრილია ჩვენს ძეგლებზე და ზედ დართული აქვს პატრონის საკუთარი სახელი — კოვაკ. თანმხლები ინვენტარი, რაც ამ გემმასთან ერთად არის აღმოჩენილი, ქალის სამარხისათვის არის დამახასიათებელი<sup>3</sup>.

7. საქართველოს მუზეუმის № 8 სეიფში  $\frac{a40}{I4\text{ზ}}$  ინახება 1940 წლის

შემოდგომაზე არმაზის ხევთან, ე. წ. ასპავრუკის სამარხში, აღმოჩენილი ოქროს ქამრის ბალთა, რომელშიც ჩასმულია გემმა (მასალა — ალმანდინი) ორდ აღამიანის გამოსახულებით. გამოსახულებათაგან (ანაბეჭდზე) მარცხნივ არის კაცი, ხოლო მარჯვნივ — ქალი, რომლებიც ერთმანეთს უყურებენ. ირგვლივ არის წარწერა (№ 693): *Καρπας ζεσαχης ζοη μου*, ე. ი. *Καρπας, Ζεσαχης ζαη μου* კარპაკი, ძევაკი ჩემი სიცოცხლე (ამ გემმაზე ნაწილი წარწერისა პოზიტიურად არის ამოკვეთილი — *ζεσαχης ζοη μου* — ხოლო *καρπας* — ნეგატიურად (რატომ? კარპაკის საბეჭდავი ხომ არ იყო თავის დროზე?). ქალის გამოსახულებასთან სწერია *Καρπας*, ხოლო კაცის გამოსახულებასთან *Ζεσαχης*, ამ უკანასკნელი სახელის გაგრძელებაა *ζοη μου*, ე. ი. ეს გამოთქმა ეხება მეორე პირს, ძევაქს.

საფიქრებელია, რომ ეს არის ცოლ-ქმარის გამოსახულება და ცოლი,

<sup>1</sup> Nyberg, Quelques Inscriptions antiques découvertes récemment en Géorgie: *Eran*. vol. XLIV, 1946, გვ. 231.

<sup>2</sup> М. И. Максимова, Стеллянные многогранные печати, найденные на территории Грузии: *ენიშის მოამბე*, X, 1941 წ. გვ. გვ. 84—85.

<sup>3</sup> იხ. სამთავრო S უბანი, 1940 წ. 4/X, კრამიტყუთი № 242. საველე დაფორის № 2218.

კარპაკი, თავის ქმარს, ძვეაქს ასეთი ეპითეტით ნიიხსენიებს<sup>1</sup>. ნიბერგის განსაზღვრით სახელი კარპაკი პირველად აქ გვხვდება, მაგრამ ირანული წარმოშობისა ჩანს<sup>2</sup>.

ენობრივი მონაცემებიდან ყურადღებას იპყრობს სიტყვა ჯეი, დაწერილი ომიკრონით. აქ გვაქვს შემთხვევა ი და ა-ს ხმარების აღრევისა, რაც შეიმჩნევა



№ 693

ჯერ კიდევ გვიან-ატიკურ წარწერებში, მაგრამ განსაკუთრებით ხშირია 100 წლის მახლობელი ხანებიდან და უპირატესად უმახვილო მარცვლებში. შემდეგ და შემდეგ უფრო ხშირია ი/ა-ს პარალელური ხმარება. ასობის მოხაზულობა (№ 694: Μ, Ι, C, E) რომაულ ხანაზე მიუთითებს. თუ ამას გარდა მხედვე-

Μ, Υ, C, E,

№ 694

ლობაში მივიღებთ გ. წერეთლის მოსაზრებას, რომ ბილინგვის ძვეაქი და გემმის წარწერის ძვეაქი ერთიდაიგივე პიროვნება შეიძლება იყენენ<sup>3</sup>, უფრო დაზუსტდება ამ წარწერის თარიღი: იგი II ს-ის განეკუთვნება<sup>4</sup>.

8. 1940 წლის 21 ოქტომბერს არმაზის ხევთან წარმოებული გათხრების დროს ასპავრუკის სამარხში აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი, რომელშიც თვლად ჩანს მულია სარდიონის ქვის გემმა მამაკაცის ბიუსტის პროფილში გამო-სახულებით და სამ მხარეზე ბერძნული წარწერით. ეს არის საბეჭდავი.

იგი დატულია საქართველოს მუზეუმის № 8 სეიფში,  $\frac{1}{18}$ <sup>40</sup>, მისი წარწერა

იკითხება ასე (№ 695): *ΑΣΠΑΣΡΟΥΚΑΙΣ ΠΑΡΑΧΕΙΡΑΣ, Ε. Ο. ΑΣΠΑΣΡΟΥΚΑΙΣ ΠΑΡΑΧΕΙΡΑΣ*—ასპავრუკი პარაქაში. სპეციალისტთა ყურადღება მიექცა ფორმა—*ΑΣΠΑΣΡΟΥΚΑΙΣ*-ს. ს. ყაუხჩიშვილი იმოწმებს ჰაძიდაკის ცნობილ ნაშრომს და მიუთითებს იმაზე, რომ „რომაელების გავლენით ბერძნულ პირთა სახელებში *ΑΣ* ბოლოკიდურის ნაცვლად დამკვიდრდა *-ΙΣ* ბოლოკიდური: მაგალითად, *ΑΣΠΡΩΝ*, *ΚΡΑΤΩΝ*, *ΕΥΣΤΑΤΩΝ* ნაცვლად ფორმებისა *ΑΣΠΡΩΝ*, *ΚΡΑΤΩΝ*, *ΕΥΣΤΑΤΩΝ*. ჩვენს წარწერაშიც ასეთივე ხასიათისაა *ΑΣΠΑΣΡΟΥΚΑΙΣ*, ნაცვლად ფორმისა


<sup>1</sup> ს. ჯანაშიამ გამოსთქვა მოსაზრება, რომ შეიძლება კარპაკი და ძვეაქი ასპავრუკ ერისთავის შობლები ყოფილიყვნენ (გახ. კომუნისტი, 1941 წ. 1. VI. № 127 „საქართველოს ძველი ისტ. ძეგლები“). ამ აზრს იმეორებს გ. ლომთათიძე („არქ. გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, 1945).

<sup>2</sup> Nyberg, Quelques Inscriptions antiques... გვ. 231: „*Καρπας* signifie évidement „la belle“.

<sup>3</sup> გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 34.

<sup>4</sup> წარწერა პირველად გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა „არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები“: მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2, 1941 წ. გვ. გვ. 169—170.

'Ασπαρσιαις<sup>1</sup>. ნიბერგი Ἀσπαρσιαις უეკეოდ ირანულ სახელად მიიჩნევს და ადასტურებს ზემოთ მოყვანილ მსჯელობას: ადრე ბერძნულში გვექნებოდა ფორმა 'Ασπαρσιαις, ხოლო შემდეგ რომაულ ხანაში—'Ασπαρσιαις<sup>2</sup>. ამგვარად, სახელი თავისი ფორმით რომაულ ხანაზე მიუთითებს. ასოთა მოხაზულობა (№ 696) ამ თარიღს ადასტურებს. წარწერის დასათარიღებლად მასალას გვაწვდის თვით სამარხის ინვენტარი: სხვა ნივთებს შორის იქ იყო I, II და III საუკუნის რომაული ოქროს მონეტები, ამგვა-



№ 595

( I . O . C . Y )



№ 696

№ 697

რად, ასპერუე პიტიაზის წარწერა ახ. წ. I საუკუნეების კუთვნილია<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ს. ყაუხჩი შვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები: მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, № 1—2, 1941. გვ. 169.

<sup>2</sup> H. S. Nyberg, Quelques inscriptions antiques... გვ. გვ. 230—231.

<sup>3</sup> არ შეიძლება ამ წარწერიან გეგმასთან დაკავშირებით არ გავიხსენოთ პარიზის ნაიკონალური ბიბლიოთეკის მედალონთა განყოფილებაში დასტული ერთი ბეჭედი, რომლის ანაბეჭდი (გადიდებული სახით) საქართველოს მუზეუმის გამოფენაზედაც არის მათავსებული და რომელსაც არა ერთმა სპეციალისტმა მიაქცია ყურადღება. ბეჭდის თვალი წარმოადგენს გეგმას, რომელზედაც ამოკრილია მამაკაცის პროფილი და ირგვლივ ბერძნული წარწერა (№ 697): *οὐσας πιτισίου Ἡρώων Καρχηδαν*, ე. ო. *Οὐσας πιτισίου Ἡρώων Καρχηδαν*—უშა პიტიაზისი კარქედონის იბერთა. როგორც ვხედავთ. ნივთი ჩვენს სამყაროდან არის და ენათესავება ქართველი პიტიაზების სამარხებში აღმოჩენილ ნივთებს და წარწერებს. საჭიროა განვიხილოთ ამ წარწერის ხოვითი მკვლევართა მოსაზრებები: პ. პეტერსი იძლევა მის შემდეგ თარგმანს: „აშუშა პიტიაზისი კოლხელი იბერებია“ (Analecta Bollandiana, I, წმ. fasc. III—IV, p. p. 274—276, 1935). პ. ინგოროყვა წარწერას ასე გვიხსნის „უშა პიტიაზისი იბერთა—კარქედონის (ე. ო. კლდეკარის პიტიაზისი, წინაპრისტიანი ნანოს მოლეაწე) (მუხეუმის მოამბე, XI—B, 1941 წ. გვ. გვ. 297—298 „ძველი ქართული მატიაზე დოქტევაჲ ქართლისაჲ და ანტიკურთა ხანის იბერთა მეფეთა სია“). ექ. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ სახელი ბერძნულად მოკლდება, მაგრამ მისი პირველი ასოები—არასოდეს ამიტომ წარწერაჲ ასე თარგმნის: „უშა, პიტიაზისი იბერთა—ქართლელთა“ (მნათობი. 1948. № 8, გვ. გვ. 99—100: „როდის შეიძლება იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“). უკანასკნელად, სპეციალურად ამ წარწერის საკითხს შრომა მიუძღვნა კ. აკელიძემ: „აშუშა პიტიაზისი ბეჭდის წარწერის გაგებისათვის“ (ლიტერატურული ძიებანი, V, 19.9. გვ. გვ. 125—132), სადაც ისტორიკოს სებოსის ცნობაზე დაყრდნობით (სებოსის ირანის სასანიდთა დინასტიას კარქედონისად თვლის) იძლევა წარწერის ასეთ თარგმანს: აშუშა პიტიაზისი კარქედონის (ე. ო. სასანელთა) იბერებისა. მას გამოთქმა „სასანელთა იბერთა“ ესმის ისე, რომ ამ დროს არსებობდა მეორე იბერიაც—სახელდობრ, რომაელთა. ამის მიხედვით წარწერაში მოხსენიებული აშუშა მას მა-

9. საქართველოს მუზეუმის № 8 სეიფში  $\frac{540}{IV 30}$  არის არმაზში ქალის სამარხში 1940 წ. აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი (ქალისა). შიგ ჩასმულია სარდონის ვიწრო გრძელი თვალი, რომელზედაც არის მხოლოდ ბერძნული წარწერა. შესრულებული პოზიტიურად და არა საბეჭდავად (№ 698): *Ζεαζχης*—ქეაქი. ასოების მოხაზულობა (№ 699) რომაულ ხანაზე მიუთითებს. დანატებითი ინვენტარი და საერთოდ სამარხი იმავე დროით თარიღდება, რომლითაც ასპერუქის სამარხი, ე. ი. დაახლოებით II საუკუნით. იმ ხანაში ეცხოვრებ პიტიახშოა ქალს უტარებია ბეჭედი „ძევაქის“ წარწერით („ქევაქი“ მისი ქმარი, მამა ან შვილი იქნებოდა).

10. 1940 წელს არმაზში, ქალის სამარხში, რომელიც დაახლ. III ს-ის მიწურულთ თარიღდება (ე. ი. უფრო გვიანდელია, ვიდრე ზემოთ განხილული ნივთების შემცველი სამარხები), აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი აკურული რკალცთა და თელით. თვალზე გამოსახულია საყურაინი მამაკაცის პროფილი, ხოლო გამოსახულების ქვემოთ არის სამი ასო, რომელიც ანაბექლზე ასე იკითხება (№ 700): *Ζα... ძვ...*

ΖΕΥΑΧΗC

( E, Y, C ).

ΖVI

X

№ 698

№ 699

№ 700

№ 701

მესამე ასო საქმაოდ საეჭვოა, ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ მესამე ასო არის *χ* და, მაშასადამე, აქაც სწერია სახელი „ძევაქი“ (ძექ). მაგრამ მეტისმეტად ვერტიკალური ხაზი *χ*-სას არ ჰგავს (ამ დროის წარწერებში *χ* სხვა სახისა გვაქვს (№ 701). ნივთი დატულია საქართველოს მუზეუმის № 8 სეიფში №  $\frac{540}{II 9}$ .

11. 1940 წლის ნოემბერში, არმაზის ხევთან, ე. წ. ბერსუმას სამარხში, რომელიც არქეოლოგოსთა მიერ III ს-ის დასაწყისით არის დათარიღებული, აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი პრაზემის ქვით, რომელიც ინახება საქართველოს მუზეუმის № 8 სეიფში, №  $\frac{540}{III 12}$ . ქვაზე ამოკრილია მამაკაცის პროფილი, ხოლო ქვემოთ წვრილი ასოებით და არა ღრმა კრილით შესრულებულია ერთ სტრიქონად წარწერა, რომელიც ანაბექლზე ასეთია (№ 702): *ΙΙζταυ* პლატონი.

აჩნა IV ს-ის მეორე ნახევრის პიტიახშად და არა ვასქენის მამად, რადგან V საუკუნეში იბერიაში უკვე ორმეფობა არ არის. წარწერაში მოხსენიებული პიტიახში ავტორის აღმ. ამიერკავკასიის გამგებლად ზიანია, ხოლო სპარსეთის იბერიის პიტიახშის ბეჭედზე ბერძნული წარწერა იმის მომასწავებლად, რომ მოსახლეობას კრისტოიანულ-კულტურული და პოლიტიკური მიზრეკილებები ბერძნების მიმართ მეტი ჰქონია, ვიდრე სპარსელების მიმართ.



როგორც ვხედავთ, წარწერა გამართული კლასიკური ორთოგრაფიითაა შესრულებული. წარწერის დასათარიღებლად გამოდგება α (ჩატეხილი ჰორიზონტალური შტრიხით) და ω (მაღალი შუა ხაზით), რაც ახ. წ. I საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი.

ΠΛΑΤΩΝ

№ 702

როგორც პორტრეტი, ასევე წარწერაც სტილის მიხედვით განსხვავდებიან არპაზში აღმოჩენილი სხვა გემებისაგან. როდესაც გეგმა პორტრეტულია, და ახლავს წარწერა, პირველ რიგში მოსალოდნელია, რომ ეს წარწერა იქნება გამოსახული პირის სახელის აღმნიშვნელი და ორივე ერთად კი მფლობელს ეხება. ამავე დროს, გეგმაზე მოთავსებული წარწერა შეიძლება ამომჭრელის სახელსაც აღნიშნავდეს. ამ შემთხვევაში გარკვეული აზრის ქონა მე პირადად მიჭირს. მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ 1951 წლის მარტში წაკითხულ მოხსენებაში პლატონი მჭრელის სახელად მიიჩნია.

ბ. ნაჩნარაპი სხპაღსხპუ ნიპ / ეზუპ

1. საქართველოს სახელმწიფო ნუბეუმის № 8 სეიფში №  $\frac{540}{III I}$  დატულია ვერცხლის ლანგარი, რომელიც აღმოჩნდა 1940 წლის ნოემბერში, არმაზის ხევიან, ე. წ. ბერსუმას სამარხში.

ლანგარს ქუსლს ირგვლივ პუნქტით ამოჭრილი აქვს ბერძნული წარწერა



№ 703

ΜΑΚΕΔΟΝΙ

№ 704

7 f

№ 705

(№ 703): *εγω βασιλευς φα δαδεχαρια δελτα μακεδονιαν βερσουματιας ην μακεδονι* — *βερσουμα*-ს ქვეშ არის ამოკაწრული ძალიან მკრთალად და დაუდევრად (და არა იმ ხელით, რომლითაც პუნქტირით შესრულებული): Μακεδόνι: — (№ 704).

ქუსლის შუაშიც არის ამონაკაწრი ნაშნები(№ 705), რომლებიც აშკარად ბერძნული არ არის. პ. ინგოროყვას ისინი ქართულად მიაჩნია<sup>1</sup>.

<sup>1</sup> პ. ინგოროყვა შრომაში „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა“ ამ ნახაზში „ბ პ კ“ ქართულ ასოებს კითხულობს და იძლევა მათ ორგვარ გაგებას: „ბერტულმ პიტიაზში ქართლისაჲ“ ან „ბერტულმ პიტიაზში ქარძამის ძმ“ (ენიშკის მოამბე, X, 1941 წ. გვ. გვ. 411—417).

ბერძნული წარწერა ასე წაიკითხება: 'Εγώ βασιλεύς Φίλ(αμάου) Αχμήης ἐγγραμμάτιον Βερεσάμαξ βασιλέην—მე მეფე ფლავიოს დადესმა მივეძღვენ ბერსუმ, პიტიახში (იგულისხმება—ეს ლანგარი).

სიტყვა *Μαξεβάνι* უნდა იყოს სახელი *Μαξεβάν*, ან *Μαξεβάνι*; მიცემით ბრუნვაში, ე. ი. როგორც მიეძღვნა ნიეთი ბერსუმას, ასევე მიეძღვნა, თუ ეკუთვნოდა ის მაკედონიოსს. *Μαξεβάνι*. როგორც დავინახეთ, წაწერია სრულიად სხვა ხელით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებელია ამ ორი წარწერის სხვადასხვა დროით დათარიღება. შესაძლებელია ერთ დროს შესრულდა ეს წარწერები, მაგრამ სხვადასხვა სტილით. არამცთუ წარწერებში, ხელნაწერებშიც A—ასეთი სახით ჩნდება ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე და ვრცელდება I—II სს-ში (მდრ. Gardthausen... Taf. 1).

ძირითადი, საგულდაგულოდ შესრულებული ბერძნული წარწერის მიმართ აღსანიშნავია: შემოკლება ΦΙ და მიცემით ბრუნვაში გამოტოვება ἔσχυς-εσχυ-εσχυ-ისა. ასოთა მოხაზულობიდან ყურადღებას იქცევს მიდრეკილება სი მრგვალისაკენ (№ 706). შემოკლების შტრიხი / სახით. წს ეხედვით ამ მოხაზულობისას I ს-ში, ასევე უნდა ითქვას სხვა ასოების ნიშართაც. ამ ნიშნების მიხედვით წარწერა ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. თვით სამარხი 251 წელზე აღრინდელი არ არის, მასში აღმოჩე-

## Α, Β, Γ, Δ, Ε, Ζ, Η, Θ


№ 706

ნილი მონეტების მიხედვით. თვით ბერძნული წარწერებიც დაახლოებით ამ დროისა (III ს-ის დასაწყისისა, ან II—ს-ის მიწურულისა) უნდა იყოს. საინტერესოა წარწერაში დასახელებული პიროვნებები: ნიეთის მბოძებელი ჩანს ფლავიოს დადესი, ალბათ იბერიის მეფე, მფლობელი — ბერსუმა პიტიახში (ვიღაა მაკედონიოსი? ბერსუმას შემდეგი დროის მფლობელი ამ ნიეთისა თუ იგივე ბერსუმა?). წარწერის პირველი გამომცემელი, ს. ყაუხჩიშვილი, წერს: „თუ მიხედვლობაში მივიღებთ იმას, რომ Αχμήης-ში ης ჩვეულებრივი ბოლოკიდურია პირთა სახელებისათვის, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართულად ეს სახელი იქნებოდა „დადი“, რაც მოგვაგონებს ძველი ქართველი ნეფეების სახელებს: თრ-დატი, მირ-დატი, ბალ-დადი... რაც შეეხება „ფლავიოსს“, ...განსაკუთრებით ფლავიუსთა დინასტიის დროიდან მას მიიკუთვნებდნენ ფლავიუსთა გვარის კეისრების პატივისმცემელი ან მათ მიერ დავალებული პირები“<sup>1</sup>. მართალია, ფლავიუსთა გვარი რომში 70—95 წლებში მეფობდა, მაგრამ შესაძლებელია, რომ სახელი „ფლავიოსი“ II—III სს-ის მოღვაწეს, იბე-

<sup>1</sup> ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები: ნეცნ. აკადემიის მოამბე, II, 1941 წ. გვ. გვ. 170—171.

რიის მეფე—დადეს რქმეოდა<sup>1</sup>. ნიბერგი სახელ დადეს-ის ასეთ ეტიმოლოგიას არ იზიარებს, მაგრამ საკუთარს არ იძლევა<sup>2</sup>.


სახელი „ბერსუმა“ (რაც პიტიახშს ეწოდება) ქართული სინამდვილისათვის ამ წარწერამდე უცნობი იყო. როგორც აღნიშნავენ სპეციალისტები<sup>3</sup>, ესაა სირიული სახელა Bar Saumā და ნიშნავს „ძე მმარხველისა“. როგორც ვხედავთ, ქართველ პიტიახშებს ხშირად ჰქვიათ სხვადასხვა წარმოშობის სახელები (ბერსუმა, ასპავრუცი, პუბლიკიოს აგრიპა...), მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ უცხო სახელის მატარებელი მაინცდამაინც უცხოელი იყო. პ. ინგოროყვა სახელ „ბერსუმას“ კითხულობს „ბერსუმად“ (ძველ ქართულში დამოწმებული სახელის „ბარსომი“ და „ბარაცმანის“ ანალოგიით, მაგრამ ისიც გასარკვევია „ბარსომი“ და „ბარაცმანი“ რა წარმოშობისა და ეტიმოლოგიისა არიან). სახელი „ბერსუმა“ ბერძნულშივე გვხვდება მეორე ფორმით: Βαρσαυμαζ (შდრ. Byzantion, 1944, v. XVI, fasc. I, p. 39, № 146: Βαρσαυμαζ παρθεναρεος αα: ἀρχιμυσηνης—ე. ჰონიგმანის წერილში). ამგვარად, სირიული Bar Saumā (ფშვინიერი s-თი) ბერძნულად გადმოიცემა Βαρσαυμαζ || Βαρσαυμαζ—ფორმით).



№ 707

I

№ 70a



№ 709

2. 1938 წელს სამთავროს ჩრდილო უბანზე, № 24 ქვაყუთში, აღმოჩნდა მინის ფიალა, რომელიც ახლა საქართველოს მუზეუმის გამოფენაზე არის მოთავსებული. ნივთი დაზიანებულია. შუაში გამოსახულია ფარშევანგი, ირგვლივ არის გეომეტრიული ორნამენტი, ხოლო სულ გარეთა წრეზე—ბერძნული

<sup>1</sup> პ. ინგოროყვა წერილებში: „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა“ (ენიშკის მოამბე, X, 1941, გვ. გვ. 411—427) და „...მოქცევაჲ ქართლისაჲ და იბერიის მეფეთა სია“ (მუზეუმის მოამბე, XI B, გვ. გვ. 289—291) ამ თასის წარწერებს 70—96 წლებით ათარიღებს და ყველაზე ძველად მათ შორის ბერძნული. პუნქტირით შესრულებული წარწერა მიაჩნია. ფლაგიოს დადეს იგი საპატიო სახელად თელის, ხოლო ამ მეფის ნამდვილ, ქართულ სახელად მიაჩნია „ქართამი || ქარამი“ („ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაჲნი“ მოქსენებელი მეფე). რა თქმა უნდა. შეიძლება რომ პირველი საუკუნის ნივთი III ს-ის სამარხში მოხვდეს, მაგრამ ბერძნული წარწერა არ ატარებს აუცილებელ დაღს I საუკუნისას.

<sup>2</sup> H. A. Nyberg, Quelques inscriptions antiques... გვ. გვ. 231—232 „Βαρσαυμα est le nom syriaque bien connu Bar Saumā“—გ. წერეთლის მოხსენება „არმაზის წარწერები და ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემა“, 1948 წ.

ასობებია (№ 707). წარწერა ასეთი უნდა იყოს:  $\alpha\zeta \zeta\eta\dots \eta\zeta \epsilon. \omicron. \alpha\zeta, \zeta\eta\mu\epsilon$  დალე ივოცნლე. ყურადღებას იპყრობს მოხაზულობა  $\zeta$ -სთვის (№ 708) და იტაციზმი:  $\zeta\eta[\sigma]\eta\zeta$ . ხელნაწერებში ასეთი  $\zeta$  დადასტურებულია ჩვენ წელთაღრიცხვამდე საუკუნეებში (შდრ. V. Gardthausen, Griechische Palaeographie, II. 1913. Taf. 1), რაც შეეხება შინს და სხვა მაგარ საწერ მასალას, ისინი მეტ კონსერვატიულობას იჩენენ და გაცილებით უფრო გვიან შევხვდებით ასოთა ადრინდელ მოხაზულობებს. ვ. ლატიშევი კერჩის ერთ შინს კურკელს, რომელსაც დიდი მსგავსება აქვს ჩვენს მასალასთან (არა სიოვეტის მიხედვით), IV ს-ით ათარილებს. მის მიერ დამოწმებულ ნივთზე (№ 709) არის წარწერა, რომელიც ისეთივეა, როგორც სამთავროდან მოტანილი შინის კურკლისა, აქ უკეთ იკითხება:  $\alpha\zeta \zeta\eta\mu\epsilon$  (ე. ი.  $\alpha\zeta, \zeta\eta\mu\epsilon$ )<sup>1</sup>. ჩვენი წარწერა დაახლოებით იმავე დროისა უნდა იყოს, რა დროისაც კერჩის კურკელია.


კურკელი, როგორც წარწერიდან ჩანს, სასმისი უნდა იყოს<sup>2</sup>.

3. საქართველოს მეზუემის არქეოლოგიის განყოფილებაში არის დაცული ნივთი <sup>2-23</sup><sub>25</sub>, აღმოჩენილი 1920 წელს მცხეთაში, სამთავროს მონასტრის უბანში. ეს არის ბრინჯაოს (თუ თითბრის?) სქელი და მოზრდილი მედალი. შედარებით კარგად დაცული.

ას გამოხატულია დიდებული თაყი ორივე მხარეზე გასწვრივი ბერძნული წარწერით (№ 710):  $\alpha\psi\alpha\sigma\sigma\eta \mu\epsilon\sigma\eta \eta \alpha\alpha\alpha\mu\epsilon$ , ე. ი.  $\alpha\psi\alpha\sigma\sigma\eta \mu\epsilon\sigma\eta, \eta \alpha\alpha\alpha\mu\epsilon$ —ანტინოეს, ღმერთს, სამშობლო; RS გამოხატულია ჰერმესი წყუყუნის ჯო-



№ 710



№ 711

ხით, რომლის ვერდით თავდახრილი ხარი დგას, მის წინ მოჩანს მაღალი მცენარე, ზემოთ კი ვარსკვლავი. აქაც ორსავე მხარეს არის წარწერა (№ 711):  $\alpha\delta\rho\iota\alpha\sigma\alpha\dots \mu\iota\psi\alpha\dots \alpha\psi$ , ე. ი.  $\alpha\delta\rho\iota\alpha\sigma\alpha\psi$  |B:| $\mu\iota\psi\dots$  აღრიანეს ზოიფინ....

<sup>1</sup> В. В. Матышев. Сборник греческих надписей христианских времен из Южн. России, СПб. 1896. стр. стр. 119—120. § 114. табл. XII.

<sup>2</sup> ნ. უკრელის ძეგლებში სამთავროში აღმოჩენილი შინის კურკელი ფარშევანგის გამოსახულებით (იხედება „მიომოხილველი“ ტ. II) ამ ნივთს IV—V სს-ით ათარილებს (იხედვით სამარხის სხვა ინვენტარსაც). ეს მოსახრება სარწმუნო სხვა მით უმეტეს მაინც, თუ გავიხსენებთ იმას, რომ ასეთი კურკლები გავრცელდა ექპატისტული დანიშნულებით, ე. ი. ქრისტიანობასთან დაკავშირებით.

ნიეთი პირველად გამოქვეყნებული აქვს ს. მაკალათიას; იგი წერს, რომ ეს არის ცნობილი ბითვინიელი კაბუკის ანტინოეს გამოსახულებიანი მედალი, ე. ი. 130 წლის შემდეგ მოკრილი ნიეთი და მას ატარებდნენ ჩვეულებრივ ადრიანე კეისართან კეთილგანწყობილებაში მყოფნი და მისი გულისმომგებით დანტერესებული პირნი. ავტორი ამ მედალის ჩვენს სამარხში მოხვედრას მართებულად ხსნის: დაახლოებით ამ დროს რომში მოგზაურობს ფარსმან მეფე დიდი ამალით, ლებულთა უხვ საჩუქრებს. შესაძლებელია, ეს მედალიც კეისართან მეგობრობის ნიშნად ამალის წვერის კუთვნილება იყო<sup>1</sup>.



ანგვარად, ნიეთისა და მისი წარწერის თარიღი ვიცით—ისაა დაახლ. II ს.ს შუა წლებისა.

დაწერილობის თვალსაზრისით საინტერესოა ა-ის ხმარება ი-ის № 712 მაგიერად: ანუ: აჟაა.

ერთი გარემოება საყურადღებო: როგორც ცნობილია, ანტინოე იყო ბითვინიელი და რატომ არის წარწერაში ადრიანესთან ბითვინია? ტექსტი საერთოდ სრულიად გასაგებია: ღვთაებრივ, ღმერთებთან გათანაბრებულ ანტინოეს ნიუძღვნა ეს მედალი სამშობლომ (ე. ი. ბითვინიან?).

4. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში №  $\frac{17-25}{1}$  ინახება თეთ-

რი გარეგნულად საწონის ფორმის, ყურგახერეტილი ქვის საბეჭდავი. იგი პატარა ზომისაა. ქვედა, წრიულ წახნაგზე არის ჩაკდებული მონოგრამა, რომელიც ამჟამად იისფერია. მონოგრამა უფრო ბერძნულსა ჰგავს (№ 712): თითქოს Θ და Γ. განყოფილებაში დაცულ კატალოგში (1925 წ. გვ. 104) სწერია: რომ ნიეთი, პირადი საბეჭდავი, არის სოფ. ფაშიანთიდან. არქეოლოგებს იგი ელინისტური ხანისად მიაჩნიათ.

5. 1949 წლის 25 მაისს რუსთაველაში მტკვრის მარჯვენა ნაპირას წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს მეორე თხრილში აღმოჩნდა რბილი ქვის მოვავალი საბეჭდავი (№ 713), რომლის დიამეტრი დაახლ. 9 სმ უდრის. ირგვლივ ამოჩუქურთმებული აქვს ორნამენტი, შუაში ტოლმკლავებიანი ე. წ. ბოლნური ჯვარი, ხოლო ორნამენტსა და ჯვარს შორის ირგვლივ—ბერძნული წარწერა<sup>2</sup>. ანაბეჭდზე წარწერა ასე იკითხება (№ 714): ფეიქრობ, წარწერის მიმართულების გარკვევაში დაგვეხმარება ზედ გამოსახული ჯვარი, რომელსაც

<sup>1</sup> ს. მაკალათია, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის: საქ. მუზეუმის მოამბე, IV, 1928. გვ. გვ. 177—180. მოყვანილია 178 გვ.ზე ბერძნული წარწერებიც: ANTINOON II HATPIC (ღვთაებრივ ანტინოეს მისი სამშობლო... ΑΠΡΑΝΩΝ ΒΕΘΥΝΙΩΝ (ადრიანეს ბითვინია)—ეს მეორე წარწერა მე ბართებულად გადმოცემულად არ მიმაჩნია: I სიტყვა აშკარად არის Adrianoთ, რაც შეეხება II-ს, ია ძალიან არის გადასული, მაგრამ მაინც ჩანს, რომ ეწერებოდა ΒΕΘΥΝΙΩΝ.

<sup>2</sup> ნიეთი დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში. წარწერა დასამუშავებლად გადმომცა რუსთავეის არქეოლოგიური თხრების ხელმძღვანელმა გ. ლომთათიძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

ფუძე მიქცეული აქვს ჟღი—ჯგუფისაკენ, ამისმიხედვით გაირჩევა 2 სიტყვა: ერთი ზემოდან მარცხნივ — *აღუჟა*, ხოლო მეორე — *აჟაღჟ*. ასოები არა ან პრიინციპის მიხედვით არის ყველა სწორად დაწერილი: პირველ ოთხეულში ა: სწორადაა, ხოლო *აჟ*—უკუნა. *აჟ-ჯგუფშიც* *ა* გადასაბრუნებელია.



№ 713

თუ ჩემი გაშვივრა სწორია, წარწერა უნდა იკითხებოდეს: *აღუჟა აჟაღ-ღმთა*—საფარველი მწვერვალისა. ე. ი. ნივთი, რომელიც წარმოადგენს საბეჭდავს, გამოიყენებოდა სამეურნეო ხასიათის ნაგებობათა, თუ კურტელთა (მაგ., ქვევრების, როგორც ვარაუდობს—გ. ლომთათიძე) დასაბეჭდად და ზედ ეწერებოდა—საფარველი მწვერვალისა (ქვევრის თავი; თუ წერი, მისით იბეჭდებოდა).

ბერძნული წარწერის მიხედვით (*ა*, *ჟ*-ს მოხაზულობა, სიტყვათა შენაკლება, მახვილისა და ფშინიის ნიშნების გამოყენებლობა) ნივთი შეიძლება VI—IX სს-ით დათარიღდეს. დაახლოებით ასევე ათარიღებს გამთხრელი გ. ლომთათიძე საბეჭდავის შემცველ ფენას.

ნივთზე გვაქვს ქართული წარწერაც. ეს არის *აჟ-სექტორზე*, პოზიტიური ამონაკაწრი: *აჟ-სექტორზე* კიდევ არის რამდენიმე ასო, რაც არ ირჩევა. შესაძლებელია სახელი თემესტიოსი (?—შდრ. მცხეთის ჯვრის მონასტრის წარწერას). ქართული წარწერა სხვა ხელითა და ტექნიკით არის შესრულებული.

## ღ. ნარნარები სამღვდელთმსახურო ნიშნებზე

შემდეგი ჯგუფი ბერძნული წარწერების შემცველი ნიშნებისა, ეს არის ქრისტიანული სამღვდელთმსახურო ნიშნები, რომლებიც დაცული არიან: ძირითადად, „ნეტების“ მუზეუმში—მცირე ხელოვნების განყოფილებაში (სეიფი № 3), ხოლო რამდენიმე ნიჭი არის საქართველოს მუზეუმში.

1. საქ. მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში დაცულია № 2: 7: ს. ა. 33 1938 წ. (?) გულარეხში ნაპოვნი პატარა ზომის ხატი (3 სმ X 2,8 სმ). ზედ არის ამოჭრილი მარიამი ყრმით. მასალა თითქოს თეთრი ქვაა. ზედ ასეთი წარ-

ΕΙΥΛ

ΘΥ  
HP

IC X

№ 715

წერებია (№ 715): მ<sup>რ</sup>ს მ<sup>რ</sup>ჟ IC X<sup>რ</sup>-  
გვაქვს ლიგატურები (№ 716). პალეო-

ST  
H

DKP

ΦΙΣΟ

№ 714

HP, X

№ 716

გრაფიული ნიშნებით წარწერა დაახლ. XIII ს-ისაა.

2. საქ. მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში № 16—25/11 დაცულია ხის ჯვარი, რომელზედაც ამოჭრილია ჯვარცმა და წმინდანთა გამოსახულებები.

HP  
HP

№ 718

HP  
HP

№ 719

საჯვარედინო ნაწილი მოტეხილი აქვს, მოჩანს ზედ ბერძნული წარწერები (შდრ. ისტორ. განყ. კატალოგი, გვ. 105). ამ ხის ჯვრის ნაშთის ზემო ნაწილი პრიზმის ფორმისაა. ორ მოპირდაპირე წახნაგზე არის სიგრძეზე ოთხ-ოთხი პატარა ამოკვეთილი ხატი. ერთ მხარეს, ზემოდან მეოთხე ხატზე, რომელიც წარმოადგენს ჯვარს (ჯვრის აქეთ-იქით თითო კაცი დგას და ეს კაცები ერთმანეთს უყურებენ) სწერია (№ 717): IC XC OTH+, ე. ი. Ἰησοῦς Χριστός. ὁ τόνος τῶν Χριστῶν (?) იესუ ქრისტე. აღი-


ლი ქრისტესი. ზემოთა ხატების ქვემო არშიებზე სწერია: ICXCNKΑ, ხოლო მეორე მხარეს: ICXCNIK/// ე. ი. 'Ιησους Χριστους, νικη—იესუ ქრისტე, ძლევა. სხვა ორი მოპირდაპირე წახნაგი უხატებოა, აქ მხოლოდ თითო ასო სწერია. ერთ მხარეზე არის Π, Γ (№ 718), παρθεναςος γεγονε —სამოთხე ყოფილა, ხოლო მეორეზე Μ, Γ,



№ 720



№ 721



№ 722

(№ 719), ე. ი. Μωσωνος σταυρος—მოსეს ჯვარი. ან შეიძლება ეს არის წმინდანების სახელების დასაწყისი ასოები: Ηαηλως (ან Ηετρεος), Γαβριელ (ან—Γεωργιος), Μιχαηλ, Στεφανος. წარწერების მიხედვით ხატი დაახლოებით XVI ს-ისა უნდა იყოს.

ICXC NIKA

№ 723

KIITPXP

№ 724

3. საქართველოს მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში დაცულია № 1—27  $\frac{42-16}{9}$  ა 1506 ბრინჯაოს ჯვარი წარ-

წერით (№ 720) I NBI. ე. ი. 'Ιησους

Ναζαρετης βασιλεუს 'Ιουδαϊων—იესუ ნაზარეველი მეუფე ჰეროთაჲ. ჯვარი წერილი და გრძელია და ზედ გამოსახულებები არ არის, წარწერა ამოკაწრულია. ამავე მხარეს ქვემოთ ამოკაწრულია გამოსახულება. ბერძნული წარწერა თავისი ტიპით გავრცელებულია გვიან ხანაში: XVI—XVII სს-ში (შდრ. ისტორიის განყოფილების კატალოგი, გვ. 115).

4. მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში დაცულია სამი სხვადასხვა ზომის, მაგრამ ერთი ტიპის ჯვარი, თითბრისა. ზედ სამივეზე გამოსახულია ჯვარცმა. ხოლო კუთხეებში სხვადასხვა ხატებია და ზედ ბლომად რუსული

წარწერები. მათი №№:  $\frac{26-26}{219}$  ა 1510,  $\frac{42-16}{24}$  ა 1481 და 34.  $\frac{42-16}{24}$  და

34-ს ქრისტესთან აწერია: IC XC. სამივე ჯვარცმაზე ქრისტეს შარავანდში სწერია ო ან ასი. 26—26/219-ს დამატებით კიდევ იესუს ფეხთით აწერია (№ 721): νικη ძლევა, κρηνης τρηνας აფილი ოხმისა. ფეხების ქვემოთ რომ სწერია (№ 722), ეს უნდა იყოს Μιχαηλ და Γαβριელ მიქაელი გაბრიელი (თუ ეს ასოები რუსული არაა).

ამ წარწერების მიხედვით ნივთები XVIII—XIX სს-ისა უნდა იყვნენ.

5. საქართველოს მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში №  $\frac{42-16}{23}$  ა 1480




არის სპილენძის ჯვარი ვანიდან<sup>1</sup>. ზედ ორივე მხარეს ამოკაწრულია ადამიანები შარავანდით. ერთ მხარეს თითქოს არის ჯვარცმა; მის ხელებქვეშ სწერია (№ 723): Ἰησοῦς Χριστός, υἱὸς θεοῦ ქრისტე, ძლევა. მეორე მხარეს ადამიანის თავზე სწერია (№ 724): I... ΤΡΑΧΡ. ნიეთი XVI—XVII სს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

ΓΡΗΓΟΡΙ

№ 725

6. საქართველოს მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში № 30 ა 15 დაცულია ტრაპიზონიდან მოტანილი ენკოლპიონის ნაწილი, სპილენძისა. ზედ ამოკაწრულია შარავანდიანი ქალი, მის თავზე არის ასევე ამოკაწრული წარწერა (№ 725): γρηγοριε, რომ გამოსახულება ქალისა არ იყოს, მაშინ ვიფიქრებდი, რომ აქ სწერია მამაკაცის სახელი Γρηγοριε—გრიგოლი (შესაძლებელია ქალსაც პრქემოდა Γρηγοριε).



№ 726

არის წარწერა, რომლის ნაწილზე ცალკეული ასოები ირჩევა (№ 726). ეს მთლიანი სიტყვა (?) თუ გამოთქმა ექვს იწვევს. შეიძლება იყოს არა ფაჰაიძე, არამედ +APVOC (№ 727), ან +ΔΣΤΥOC (№ 728). შესაძლებელია ეს უკანასკნელი უფრო იყოს: +შაჰაიძე—ქ. ქალაქისა...) წარწერას ვერ ვარჩევ. დამწერლობის თვალსაზრისით აღინიშნება α და υ (№ 729): ამავე დროს მრგვა-

+APVOC

№ 727

+ASVOC

№ 728

A, V

№ 729

C, O, E

№ 730


Z.

№ 731

ლი σ, ο, ε (№ 730). გვხვდება ლიგატურა (№ 731). შუაში მოთავსებული μ სახელის დასაწყისი ასო უნდა იყოს. გამოსახული იქნებოდა, მაგალითად, მთავარანგელოზი მიქაელი და M მის სახელს გამოხატავდა.

<sup>1</sup> ქალაქის, რომელშიც ნიეთია შეხვეული, ასე აწერია: „Μεδαλιή χρυσή για μοшей из Вава“.

ამის ქვემოთ მოყვანილი ბერძნულ წარწერიანი-ნივთები (უპირატესად ხატები) დაცული არიან „მეტეხის“ მუზეუმის მცირე ხელოვნების განყოფილებაში (სიეფი № 3). სპეციალისტთა აზრით, ყველა ის ნივთი, რომელზედაც



№ 732

№ 733

№ 734

მქენება ლაპარაკი, ქართული ხელობისა (გარდა ორი ხატისა, რომელთაც ცალკე გამოვყოფ). მათზე არის ბერძნული წარწერები, ჩვეულებრივ აღნიშვნა იმ პირისა, რომელიც არის გამოსახული. წინასწარ უნდა შეინიშნოს, რომ ეს ბერძნული აღნიშვნები X—XI სს-იდან იწყება და დაახლოებით XV—XVI სს-მდე გრძელდება. სულ ადრეულ და გვიანდელ ხატებზე ეს წარწერები ქართულად არის შესრულებული<sup>1</sup>.

წარწერები ასეთია:

8. ლეჩხუმი. A 29. X—XI სს-ის წმ. გიორგის ვერცხლის ხატი. წმ. გიორგი ზის ცხენზე და სთურგნის დიოკლეტიანე კეისარს. ხატს აქვს წარწერა (№ 732): ο γεωργιος, η. ο. σ (გეორგი) ἱεραρχος—წმ. გიორგი, წარწერა განართული ბერძნულით არის შესრულებული (ბიზანტიურისათვის დამახასიათებელი და ამ დროისათვის მოსალოდნელი მონაცვლეობა ი და ა-სა აქ არ გვხვდება).

9. ლეთისმშობლის ხატი, ვერცხლისა, ოქროში ნაფერი, XI საუკუნისა, ქვემოთ ორსტრიქონიანი ასომთავრული (ქართული) წარწერა. იგი სოფ. მღვიმიდან არის ჩამოტანილი, რაჰის ერისთვის რატის მეუღლის რუსუდანის მიერ არის შეკვეთილი. ზემოთ აწერია (№ 733): ἰησ ὁ θς.

10. XI ს-ის იოანე ნათლისმცემლის ხატი, ვერცხლისა, მოოქერილი. იმავე მღვიმის მონასტრიდან და რაჰის ერისთვის შეკვეთილი. ქვერთა არწია მოტეხილი აქვს (და მასზე იქნებოდა ქართული წარწერა). ხატს აწერია (№ 734): ὁ εὐδ ὁ πατρς. ἰωαννης ἱεραρχος—წმიდა იოანე ნათლისმცემელი.

წარწერაში არის საინტერესო ლიტურგიკული (№ 735). გვხვდება შემოკლებები: Ος (=ὁ.ა.), Ιω (=ἱωαννης), πατρς (=πατριος). გვაქვს შემოკლების ნიშნები (№ 736).

11. მაცხოვრის ხატი, ჩამოტანილი მღვიმიდან, ვერცხლისა, მოოქერილი, XI ს-ისა. რაჰის ერისთვის რატის მიერ არის შეკვეთილი. ზემოთ აწერია: Ἰς

<sup>1</sup> ნივთების დათარიღება ხელოვნებათმცოდნეთა ეკლესიით. წარწერების მასალა ვრცელი მ.ჯგულობის საშუალებას არ იძლევა. რაიმე პრინციპული სხვადასხვაობა ახრთა არ იხილება ნივთის ხელოვნებათმცოდნეობისა და პალეოგრაფიის მიხედვით დათარიღებას. ბერძნული წარწერები, ჩვეულებრივ, სტანდარტულია და რელიგიური თავისებურებები მათ იშვიათად ახასიათებთ.

X<sup>7</sup>C. ქვემოთა არშიაზე ქართული წარწერაა. ქვემოთ, გადაშლილ ევანგელზე არის წარწერა (№ 737), რომელიც ზოგი მკვლევარის მიერ ბერძნულად არის მიჩნეული (№ 737)<sup>1</sup>; ნაწერის საერთო შთაბეჭდილება — ბერძნულია. დაკვირვების შემდეგ ჩანს, რომ ბევრი ასო იქბერძნულია, მაგრამ არის ქართული და სომხური ასოებიც და, ამას გარდა, უამრავი ლიგატურები. საერთოდ ცნობილია, ხატებზე მოთავსებულ გადაშლილ სახარებებზე რა სწერია ხოლმე, მაგრამ არც ეს შველის ამ წარწერის გარჩევას. ა. შანიძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ენა ამ წარწერისა უცხოა, უცხოა მისი დამწერლობაც<sup>2</sup>. სამივე ეს ხატი — ლეთისმშობლისა იოანე ნათლისმკემლისა და მაცხოვრის, ერთ კომპლექტს (ვედრების კომპოზიციისას) უნდა შეადგენდნენ.

⊙, ო, ႁ

№ 735

~ ლ —

№ 736

12. • № 61. იმერეთის ვარძიდან ჩამოტანილი ხატი, ლეთისმშობლისა, ვერცხლი-

ԻՐՄՏ	ԱՄԿՈՒԿ
Ի ԿԱՄԿ	ԲԵՒՆԵՐԻ
ՈՒՄԿԵՐ	ԵՆԱՓՐԻ
ՑԻԿԻԿ	ԽՈՒՄՅԵ
ԱԿԵՅՏ	ՔԵՎԻԿ

№ 737

~ ႁ ႁ

№ 738

~ ႁ ႁ

№ 739

სა. ირვლავ მინანქრების მედალიონებით. ხატი XV ს-ისაა, შიგ ლეთისმშობლის ფერწერა XIX ს-ისა, ხოლო მინანქრები — VIII ს-ისა. მედალიონები

<sup>1</sup> Н. Ковдаков - Д. Бакрадзе, Описание памятников..., стр. 146.

<sup>2</sup> А. Шапидзе, Ново-открытый алфавит кавказских абхазцев и его значение для науки: еნიქის შიამბე, IV, 1. 1938 წ. გვ. გვ. 1—68, სახელდობრ, მღვიმის ხატის წარწერაზე გვ. გვ. 57—60.

ერთაშად ბერძნული წ.წერის იერი აქვს, მაგრამ ბერძნული არ ჩანს ნინოწმინდის ტაძრის კედლის წარწერა (შდრ. ქვემოთ), რომელიც, კიდევ განსწავლდება და ემსგავსება ამ ხატის წარწერას (შდრ. ა. შანიძის დასახ. ნაშრომი, გვ. გვ. 54—56).

1744 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის პოოფესორს, ე. მინსს (E. Minns) წაუკითხავს ეს წარწერა ბერძნულად, როგორც ცნობილი ადგილი იოანეს სახარებიდან (8.12: *† ἐξ ἡς ἡμεῖς τὸν θεὸν ἔχοντες, ὁ ἀναστὰς ἐκ τοῦ νεκροῦ ἔστιν ὁ θεὸς καὶ ὁ υἱὸς τοῦ πατρὸς, ἀλλ' ἕξου ἐκ τῆς ἁγίας τριῶν*): „ჰ. მე ვარ ნათელი სთფლისა, რომელი შემომდგავს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისა“.

წაკითხვა თავისთავად ძალიან საინტერესოა, მაგრამ საეკვოდ მეჩვენება. ერთი და იგივე ასოს გამოსახატავად, რამდენიმე ნიშანია აღებული (შდრ. მაგალითად ω I-სა და III სტრიქონში მარცხნივ და I სტრიქონში მარჯვნივ, ან ε II და III სტრიქონში მარცხნივ და II, III, IV და V სტრიქონში მარჯვნივ და სხვა).

ეს ცნობა გადმომტა პროფ. ა. შანიძემ, რიპუვისაკ პატივეცემულ მკვლევარს დიდ მადლობას მოვხსენებ.



დაყირა არის ბუდეში ჩასმული). ამავე ხატზე უნდა იყოს ლაპარაკი ΚΗ.ΙΑ κοιν-Βακραδζε, στρ. στρ. 85—86 და ექ. თაყაიშვილი, არხ. ნოზბ. II, 140 გვ. აქ კიდევ მოტანილია ასეთი წარწერა: ΠΡΕΠΗΚΟΟΣ, რაც ახლა არ ჩანს. ხატს ზურგზე აქვს (№ 744): 'Ιησους Χριστους ιουδ.

15. № 1179. პატარა ხატი, ღვთისმშობელი ყრმით, ზემოთ კიდევ ერთი გამოსახულებმა ქართული წარწერით (№ 745), ხომ არა სწერია—„სერო... ე. ი. გამოსახულება ხომ არაა იოსების? მარიამსა და იესუს აქეთ ბერძნული წარწერები (№ 746).

16. კაცხიდან ჩამოტანილი ქრისტეს ხატი, XII ს-ის დასაწყისისა. მარცხენა მხარის გასწვრივ არის ქართული წარწერა. იესუს გამოსახულებას აქვთ იქით აწერია: Ι C X C. IC—გაფუჭებულია ცოტა.

17. იესუ ქრისტეს ხატი XII ს-ისა, კაცხიდან. ვერცხლისა. ზემოთ ვერცხლზე არის წარწერა: Ι C X C კვემოთ, გადაშლილ სახარებაზე და ირგვლივ მოთავსებულ კედურ მედალიონებზე არის ქართული წარწერები.

18. წილკნის ღვთისმშობელი, ჩვილდღი, X ს-ისა. ენკაუსტიკაა. ყრმის თავზე სწერია (№ 747): Ι ζ ρ χ—'Ιησους Χριστους—მარიამთან (№ 748): მუჲ ნმ, ე. ი. მუჲჲჲ მჲჲჲ—წარწერები შესრულებულია საღებავებით. საინტერესოა სახელთა II ნაწილების დაწერილობა: ρχ და ნმ—სახელი Χრისტოს—შემოკლებულია არა გავრცელებული სახით Xc, არამედ Xρ და ამისი თანრიგი, ისევე როგორც სიტყვისა მჲჲჲ—(მჲ)—შებრუნებულია.

ირგვლივ არის მინანქრებიანი და ნაქედი მედალიონები. ნაქედზე ქართული წარწერებია, მინანქრებზე—ბერძნული. ზემოთა ფენაში არის მედალიონები, წარწერებით (№ 749): ὁ Θεὸς πατὴρ—თეოდორე. აქ გვაქვს შემთხვევა ὁ და ω-ს ხმარების აღრევისა.

Ο Μ  
Δ Ι  
Α Α  
~  
~

№ 750

Ο Ἰ  
Ν Μ  
Τ

№ 751

ϫ  
ΜΡ ΘΥ

№ 752

მარცხნივ არის (№ 750): ὁ θεὸς πατὴρ, ე. ი. ὁ θεὸς πατὴρ—ღმთიანე.

მარჯვნივ არის (№ 751): ὁ πατρ... μ, ე. ი. ὁ πατρὸς θεὸς—პატრიარქი. ამ ხატიდან არის ავარნილი და აქვე სეიფში ინახება XI ს-ის მინანქარი წარწერით (№ 752): მუჲჲჲ მჲჲჲ—ღვთისა.


19. გელათიდან ჩამოტანილი მაცხოვრის ხატი XI—XIII საუკუნისა. ირგვლივ აქვს მედალიონები, ზოგი მათ შორის მინანქრიანია. მედალიონთაგან ზოგს ქართულად აწერია, ზოგს ბერძნულად. თვით ხატს აწერია X C. მარჯვნივ კუთხეში რელიეფური მედალიონია წარწერით (№ 753—755): 1) ὁ θεὸς πατὴρ (?)—წმ. გვრიტი.

2) ὁ θεὸς, Ἰησους (?)—წმ. ეობი.


3) (ქართული მინანქარი) 4) ო მყ:აჲ B... მჟღ წჳიღა ზ....

5) (არ ირჩევა). ამ ხაზზე (მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ) მარტო ერთია მინანქარი, დანარჩენები სულ რელიეფებია, მაგრამ ცუდად იკითხება.


მარცხნივ ერთს (ანუამად ზემოდან III-ს) აქვს ბერძნული (?) წარწერა, ეს მედალიონი ნაქედია. წარწერა არ ირჩევა. ქვემოთ შუაში არის მინანქარი

1. 


№ 753

2. 

№ 754

4. 

№ 755




№ 756

ბერძნული წარწერით (№ 756): *ε γεαρρηαε, ე. ი. ὁ Γεαρρηαε*—გიორგი. ამ სიტყვაში არის *ε* და *α-ს* აღრევისა და იტაციზმის შემთხვევები.




№ 757



№ 758

20. XII—XIII საუკუნის ვერცხლის ხატი. თვით ხატი აღრე ლეთისმშობლისა ყოფილა, მერე იოანე ნათლისმცემელია შიგ მოთავსებული (XVII ს-ის ფერწერა).



№ 759

.ხატი აღრე ხოფს ეკუთვნოდა, ხოლო მერე თბილისში ზუგდიდიდან იქნა ჩამოტანილი. კუთხეებში აწერია *მწყ ჳა*. ამ ხატის შესახებ აქვს ცნობა ექ. თაყაიშვილის (არხ. მოგზ. II გვ. 146).

21. ცაგერიდან ჩამოტანილი მაცხოვრის ხატი, XIII ს-ისა. ვერცხლის, ქვებით მოქედილი. კუთხეებში აქვს: *I'C X'C*.

22. XIII ს-ის ხატი ონიდან (?), ვერცხლის მთლიანად, გამოსახულია წმ. გიორგი (ვერცხლისაა და არა ნახატი);

არგვლივ რელიეფური მედალიონებია. ყველას ქართული წარწერები აქვს, გარდა ორისა (№ 757—758):

23. სუჯუნდანი ჩამოტანილი ხატი, XIII ს-ისა, ნაქედი. გამოსახულია წმ. გიორგი. ნაქედი მედალიონებია ქართული წარწერებით. წმ. გიორგის ორსავე ენაზე აქვს წარწერა (№ 759): *ὁ ἁγ:αε Γεαρρηαε* წჳიღა გიორგი.

როგორც ვხედავთ, წარწერაში (რომელიც კლასიკურ ორთოგრაფიას იცავს) გვაქვს spiritus-ის აღნიშვნაც კი.


ამ წარწერას იხსენიებს ექ. თაყაიშვილი (არხ. მოგზ. II, გვ. 23). იგი ასეთი სახით მოჰყავს: Ο ΑΓΙΟΣ ΓΕΩΡΓΙΟΣ. და ამბობს, რომ „ძრიელ ძველი უნდა იყოს“.



№ 760



№ 761



№ 762

24. ე. წ. ანჩის 'ხატი. იგი 5 ეპოქას განასახიერებს: ენკაუსტიკა—VII ს-ისა (ე. წ. ხელითუქმნელი მაცხოვარი), ცენტრალური ნაწილი, ნაქედი, ბე-



№ 763

ΗCΤΟΥ - ΩCIC

№ 764

ჭა 'ოპიზარს ეკუთვნის (ე. ი. XII ს-ისა), კარებების შიგნითა ნაწილი—XIV საუკუნისა, ნაქედი, გარეთა ნაწილი კარებისა XVII ს-ისა და თვით ენკაუსტიკის ირგვლივ და ქვემოთ წარწერიანად—XIX ს-ისა.

ΗCΤΑΥ

ΡΩCIC

Ι  
Δ  
Ε  
Ο  
Υ  
Ω  
C  
Ρ

Ι  
Δ  
Υ  
-  
Π  
C  
Υ

Ι  
Δ  
Ε  
Ο  
Υ  
Ω  
C  
Υ

Ι  
Δ  
Υ  
-  
Ω  
C  
Υ

№ 765

№ 766

გარეთა კარებზე, რომელიც XVII ს-ში არის დომენტი კათალიკონის ბრძანებით მოქედლი, შემდეგი ბერძნული წარწერებია: კომპოზიციასი „ღვთისმშობლის მიძინება“ ქრისტეს შარავანდში არის (№ 760): ω αϵ, ე. ი. ἁ τω—ანო. ამის ქვემოთ არის „საიდუმლო სერობა“, სადაც იესუს შარავანდში აქვს ο αϵ—ანო. მეორე კარებზე (იმავე XVII ს-ის ნაწილში) არის კომპოზიციები: „იერუსალემში შესვლა“ და „თომასგან ხილვა“. ორივეგან იესუს შარავანდში აქვს (№ 761). α αϵ—ანო. საყურადღებოა ϵ-ს დაწერილობა და α-ც-ს მაგიერად (α=ϵ), ეს გავრცელებული წარწერა სხვაგან ამ სახელ-

არ გვხვდება. კარების შიგნითა ნაწილზე (რომელიც არის XIV ს-ის ნაწმუშე-  
ვარი) შობის კომპოზიციას აქვს წარწერა (№ 762) *სქპ მან*. ნაღლის ღების  
კომპოზიციასი სწერია I<sup>o</sup> X<sup>o</sup> მეორე პარებზე (იმავე XIV ს-ის ნაწმუშეკარ-  
ში) არის კომპოზიცია ჯვარცმა. ჯვრის თავზე სწერია (№ 763). I<sup>o</sup> X<sup>o</sup>. ირ-  
გვლივ არის ბერძნული და ქართული წარწერები (№ 765) *ჟე აჯანათაჟე-  
ჯვარცმა. მან ა ანან; თაა—აი ჰე შენი მანა ჟე სქპ; თაა—აი ჯეა შენი* (იხე  
19,26—27)<sup>1</sup>.

ამ წარწერათა მიმართ აღსანიშნავია:  
საერთო ქარაგმა I<sup>o</sup> X<sup>o</sup>-სთვის (№ 767)  
მუკ-ისათვის თავისებური ლიგატურა (№ 768),  
იტაციზმი: (-ჟ).

IC XC

№ 767

ჟ

№ 768

ჟე აჯანათაჟე  
ჯვარცმა

IC აჯანათაჟე

№ 769

25. XV ს-ის ოქროს ხატი, მარიამი ყრმით. ზედ არის ამოკაწრული  
(უა არა ამოჩუქურთმებული) ბერძნული წარწერა (№ 769): *სქპ მან I<sup>o</sup> X<sup>o</sup>*.

MH · ΘV · IC · XC · ო ა ო  
O ო

№ 770

26. XV ს-ის ვერცხლის ნაქედი ნაჩუქურთმევი ჯვარი (ე. წ. სადგურის,  
ჩხარის ან თბილისის)<sup>2</sup>. ცენტრალურ ნაწილში არის ვედრების კომპოზიცია.  
ქრისტე ზის, მარცხნივ (მაყურებლისათვის) არის მარიამი, მარჯვნივ — იოანე,

<sup>1</sup> ეს წარწერა მოყვანილი აქვს ი. პონიალოვსკის (Сиринск... стр. стр. 69—70)  
ასეთი სახით (№ 764): ИСТОУОСІС ИСТОУ ОСІС... (რასაც ხსნის [XIV] *портб (серебряный)*  
დანარჩენი აღუსნელად მოკეცეს (№ 766). როგორც ვხედავთ, წარწერა მთლად ზუსტად არ  
არის მოყვანილი. ამ ხატთან დაკავშირებით შდრ. Brosset, Rap. V, p. 29. Иоссеаи-  
и П. И. Тихлинск... стр. стр. 27—28. პლ. იოსელიანს ხატი ბერძნული წარმოშობისად  
მიანიხა, აღნიშნავს, რომ ბერძნული ასოები მოჩანს, მაგრამ არაფერი ისტორიული წარწერა  
არ არისო.

<sup>2</sup> არა სპეციალურად ამ ჯვრის შესახებ, მაგრამ რუსთველის სახელობის და საღაფრობის  
კვლევისას ი. აბულაძე და ქ. შარაშიძე XV ს-ის საინტერესო, „ოდას“ აქვეყნებენ,  
რომლის მიხედვითაც გვაქვს დამატებითი მასალა თვით ჯვრის ქართული წარწერისა (სიმეონ  
შოთასძემ, სადგურის დეკანოზმა, სხვა საქმეთა გვერდით ვერცხლით შეაბეღინა წმ. გიორგის  
ხატი მესხეთის პატრონის, ყვარყვარეს ნებართვით, სპირიდონის შეწვევით, და ამ საქმეზე  
„ხელოვანთ“ სამ წელს უმუშავიათ); И. В. Абуладзе и Х. Г. Шарашидзе, К во-  
просу об имени и родстве Пуставелск... მეცნ. აკადემიის მოაზრებ., II, 7, 1941 გვ. გვ. 661—668




ასეთი წარწერებით (№ 770):  $\mu\eta$ .  $\mu\alpha$ .  $\Gamma\text{C}$ .  $\chi\text{C}$ .  $\sigma$   $\bar{\alpha}$   $\text{I}\omega$   $\text{I}\alpha\text{p}\eta\mu\alpha\zeta$   $\delta$   $\alpha\gamma\iota\alpha\zeta$   $\text{I}\omega\alpha\chi\gamma\eta\zeta$   $\delta$   $\text{p}\eta\eta\eta\mu\alpha\zeta$  (საინტერესოა სიტყვა  $\text{p}\eta\eta\eta\mu\alpha\zeta$ -ისათვის გამოყენებული დაწერილობა და ლიგატურა (№ 771). გადაშლილ სახარებაზე არის წარწერა, ჩაქდებული, ნუსხურით შესრულებული (№ 772):  $\delta\epsilon\alpha\tau\epsilon$  (?)  $\text{p}\alpha\zeta$   $\mu\epsilon$   $\text{p}\alpha\chi\tau\epsilon\zeta$   $\delta$ :  $\alpha\sigma\text{p}$ .  $\sigma\chi\tau\epsilon\zeta$   $\chi\text{I}$   $\text{p}\alpha\zeta\text{p}\eta\zeta$   $\text{p}\eta\mu\alpha$   $\nu\alpha\text{I}$   $\alpha\gamma\eta\alpha\text{I}$ ...  $\alpha$ .  $\nu\alpha\text{p}\alpha\chi\eta\text{I}$   $\eta\zeta$  — ე. ი.  $\delta\epsilon\alpha\tau\epsilon$   $\text{p}\alpha\zeta$   $\mu\epsilon$ .  $\text{p}\alpha\chi\tau\epsilon\zeta$   $\sigma\text{I}$   $\alpha\sigma\text{p}$ :  $\sigma\chi\tau\epsilon\zeta$   $\chi\alpha\zeta$   $\text{p}\alpha\zeta\text{p}\alpha\tau\epsilon\sigma\chi\tau\epsilon\sigma\text{I}$   $\alpha\chi\gamma\eta\alpha$   $\delta\epsilon\alpha\chi\alpha\text{p}\alpha\chi\alpha\sigma\alpha$   $\nu\alpha\text{I}\alpha\zeta$ . მოკლეტი ჩემი ყოველნი მაშეაღონი და რომელთა ცვრთი შიშიე გეტვრთა და მე განგისუენო თუქენ

Ⲡⲡ)

(მთ. 11, 28. ქართ. DL რედაქცია). № 773 არის ფ. № 774 არის შ. სიგ. მისთვის სხვა ნიშნებიც იხმარება. № 775 არის ჯ. არის იტალიზმი:  $\text{p}\alpha\zeta\text{p}\eta\mu\alpha\zeta$ ...  $\eta\zeta$  (- $\nu\alpha\mu\alpha\zeta$ ),  $\text{p}\alpha\zeta$  ( $\text{p}\alpha\zeta$ ). არის

№ 771 ასოთა გადასმა:  $\text{p}\alpha\zeta\text{p}\eta\mu\alpha\zeta$ ( $\epsilon$ ) $\nu\alpha\text{I}$ , იხმარება spiritus lewis spiritus asper-ის მაგიერად (ე. ი. მახვილის ნიშნები ყოველთვის თავის ადგილას არ არის. ვედრების კომპოზიციის ქვემოთ არის ცალკეული ეპიზოდები წმ. გიორგის ცხოვრებიდან (სულ 9 ფენაა, ზოგში 2—2 სახეა). ზემოდან VI ფენაში, მარჯვენა გამოსახულებაზე (დაყურებლისათვის) არის დაზიანებული სურათი (ამის მარცხ-



ნივ არის „წმა გიორგის ურმის თვალზე დაკვრა“), რომელზედაც არის ბერძნული წარწერა (№ 776). VII ფენის მარცხენა გამოსახულებაზე (წმ. გიორგის შუბებით გმირავენ) სწერია (№ 777):  $\delta$   $\alpha\gamma\iota\alpha\zeta$   $\gamma\alpha\text{p}\eta\mu\alpha\zeta$ ,

⊕ <  $\text{I}\alpha\zeta\text{K}$ ,

№ 772

№ 773

№ 774

№ 775

ე. ი.  $\delta$   $\alpha\gamma\iota\alpha\zeta$   $\gamma\alpha\text{p}\eta\mu\alpha\zeta$ —წმ. გიორგი. აქ გამოყენებულია ლიგატურა (№ 778) და სიტყვა  $\gamma\alpha\text{p}\eta\mu\alpha\zeta$  დაწერილია  $\gamma\alpha\text{p}\eta\mu\alpha\zeta$ —სახით. გვაქვს  $\alpha\gamma\iota\alpha\zeta$  და არა  $\alpha\gamma\iota\alpha\zeta$ . წმ. გიორგის ხატზე მოთავსებული ჩაქდებული წარწერები ძირითადად ნუსხურით არიან

$\alpha\sigma\text{p}$   
 $\text{p}\alpha\chi\tau\epsilon\zeta$   
 $\text{p}\alpha\chi\tau\epsilon\zeta$

№ 776

შესრულებული (მთავრულით მარტო ვედრების კომპოზიციაზე პირთა სახელებია). დამწერლობის თვალსაზრისით წარწერები გვიანბინჯანტიური პალეოგრაფიის ნიშნებს ატარებენ (ცალკეული

ასოების ნოხაზულობა, ლიგატურები, ბევრათ გადასმა, შემოკლებები). სახარების ტექსტი, რომელიც ამ ძეგლზეა დატული, ჩვეულებრივ იხმარება ქრისტეს მიერ სხვადასხვა წმინდანთა მიმართვის დროს (შდრ. მონუმენტალური ფერწერისათვის,  $\epsilon\text{p}\mu$ ... გვ. გვ. 228—229).



ბ ᄁჳიჳ ᄃჳჳჳჳ ᄄ ᄅჳჳჳჳჳჳჳჳ, ე. ი. ᄆ ᄁჳიჳ ᄇჳჳჳჳჳ ᄈ ᄉჳჳჳჳჳჳჳჳ—  
წმიდა გიორგი ძლევაშემოსილი<sup>1</sup>.

29. 1839 წ. პეპუ მეუნარგიას გაკეთებული ხატი, ლეონ დადიანის მთავრობის დროს, ქყონდიდის კუთვნილება. შუაში არის ქრისტე, თავზე ძვირფასი თვლებით მოქედლი შარავანდით, ირგვლივ ჩარჩოვს არის 14 რელიეფური მედალიონი უმეტესობა რუსული წარწერებით. ზემო ფენის მედალიონებში არის ბერძნული წარწერების შემცველი: მარჯვნივ (№ 781): ესაა მარია-

MP ΘΥ  
IC XP

№ 781

MP ΘΥ  
IC XI

№ 782

MP ΘV

№ 683

Ϣϣ ϣϣ

№ 784

გი ყრმით. მარცხნივ ასეთსავე გამოსახულებაზე სწერია (№ 782): მ<sup>რ</sup> ჰ<sup>ს</sup> IC XI მარცხნივ და მარჯვნივ ჩარჩოზე სიმეტრიულად სწერია (№ 783): მ<sup>რ</sup> ჰ<sup>ს</sup> ცენტრალურ ნაწილში გამოსახულ ქრისტეს აწერია ქართულად (№ 784) ი<sup>ვ</sup> ქ<sup>ე</sup>.

XP, XI, MP, MP

№ 785

MP ΘV

№ 785

ამ ბერძნულ წარწერებში ბოლოსდაბოლოს 2 სახელი გვაქვს და ეს ორი სახელი (შემოკლებული სახით) სხვადასხვაგვარად დაწერილი გვხვდება (№ 785).

Ⓐ O  
NI ΛA  
K O/

№ 787

Ⓐ P  
C ΓH  
O O/

№ 788

≡ T  
I  
O

№ 789

Ⓐ IAI ≡  
AT  
Ⓐ  
Ⓐ I

№ 790

30. № 974, ხოფიდან ჩამოტანილი მაცხოვრის ოქროს დასაკეცი ხატი შერგილ დადიანის მიერ შეკვეთილი (XIII ს-ის პირველ ნახევარში) თამარ მეფის სამკერდე ჯვრისათვის<sup>2</sup>. მის ზემოთა ნაწილში გამოსახულებებისა და ქარ-

<sup>1</sup> ბერძნული წარწერა ასეთი სახით: O AΓΙΟC I IΩΦΗΓΙΟC O ΤΡΟΠΑΙΙ ΟΠΟΡΟC — და მისი თარგმანი: S. George Tropaenophore—მოყვანილი აქვს ბროსეს შრომის მიხედვით (Rap. I. p. 67) ი. პომიალოვსკის (Сборник... стр. стр. 62—63). როგორც ვხედავთ სახელი Iωφηγιωჳ ზუსტად არ არის გადმოცემული.

<sup>2</sup> ამ ნივთის შესახებ ცნობები აქვს ექ. თაყაიშვილს, არხ. მოგზ... II, გვ. 151.

თული წარწერების გვერდით არის 4 მინანქარი დაახლოებით XII ს-ისა, რომლებზედაც სწერია (№№ 786—788): *μῆρ φη, ο α Νικολαιο;* ე. ი. *ὁ ἄγιος Νικόλαιος*—წმ. ნიკოლოზი, *ο α στήριος,* ე. ი. *ὁ ἄγιος Στήριος*—წმ. სტეტი. IV მინანქარზე წარწერა ჩაქრილი ყოფილა, ანუამად ჩანს მხოლოდ მარჯვენა ნაწილი (№ 789): [*ὁ ἄγιος Δομέτιος*]=ა[?]—წმ. ღომენტი.

OX	TIC	Θ	Τ		⊙	Λ	⊙	KO	M
EP	M,	ΠΕ	ΡΟ	ῙC	Χ̄C	ΠΑ	⊙	C	A
Ε			I		V		I		C
№ 791	№ 792	№ 793	№ 794	№ 795					

31. XI ს-ის ვერცხლის დასაკეცი ხატი, რომელიც აღრე შემოქმედის იყო. შიგ არის 8 ცალკეული მინანქარი: ა) (№ 790): [*ὁ ἄγιος Ἰωάννης*]=აღდგომა (გამოსახულია იესუ და მის წინ დაჩოქილი ორი ადამიანი. ადამ და ევა?). ბ) (№ 791): *ο χερουσαμ/ ὁ γαρουσαμ*—ხარება. გ) (№ 792): ⊙ *πασχι* ὁ [*ἄγιος*] *Ισάριος*—წმ. პეტრე. დ) (№ 793): *Ἰησους Χριστός*—იესუ ქრისტე.

	⊙	M	⊙	Λ		
	ΔA	I	ΙΩ	⊙		
⊙	//	AN	⊙Θ	Γ		⊙
A	//	⊙	Ε	⊙	⊙	V
N	//	I	⊙	⊙	⊙	P
			⊙	C	⊙	⊙
№ 796	№ 797	№ 798	№ 799	№ 800	№ 801	

- ე) (№ 794): *ὁ Πανσιος*—წმ. პავლე.
- ვ) (№ 795): *ὁ Κασμαξ*—წმ. კოზმა.
- ზ) (№ 796): *ὁ αγ...* (ალბათ ὁ Ἅγιος Ἰσάριος—წმ. ანდრია).
- თ) (№ 797): *ὁ δεμαχιος, ὁ δεμαχιος*—წმ. დამიანე.

საინტერესოა შემოკლებები: *ο* და *ε*-დაბოლოებებისათვის / და \ , *α*-დიფ-თონგის *ε*-თი გადმოცემა: *χερουσαμ(ός)*.

32. ვერცხლის ტრიპტიხი, შუაში ვედრების კომპოზიცია. IX ს-ისა, მარტვილიდან. ამოვარდნილია იესუ ქრისტე, მხოლოდ მარიათისა და იოანეს გამოსახულებებიანი მინანქრებია გადაჩენილი. იქითხება წარწერა: *I C X C*; *I C*—აწერია მარიათის ნაწილს; *X C*—იოანესას).

33. XVII ს-ის ხატი, მარიათი ყრმით. მიბაძევა ერთი ბიზანტიური (XVII—XVIII სს.) ხატისა, რომელიც მარტვილიდან არის ჩამოტანილი და ეხ-

ლა ანავე სეიფში იმყოფება. ამ პატარა, მიბაძვით საქართველოში გაკეთებულ ხატს ირგვლივ აქვს IX—XI სს-ის მინანქრის მედალიონები:

Ⓐ K  
Λ A  
O C

№ 802

Ⓐ

№ 803

Ⓐ T  
MA EO  
C

№ 804

მარცხენა მხარის მინანქრები.

- ა) (№ 799): ἰ ζ[γ:α:] Ἰω(ζηνης) ὁ μαιολγος წმიდა იოანე ღვთისმეტყველი (XI ს-ის მინანქარი) ლიგატურა (№ 800). შემოკლება: ἰω და α(ζγ:α:-ისათვის),  
ბ) (№ 801): ὁ σαυραζ, γ. ი. ὁ Ἰαζ:α:ς—იაროსი (?). (შდრ. მრკ. 5,22; ლკ. 8,41). ორი შემთხვევა იტაციზმისა: α-ი და α-ε.

Ⓐ Λ  
Π O  
A C  
V

№ 805

№ 806

Ⓐ

№ 807

MA Π P  
PK Ε O  
OC T

№ 808

O M  
O AP  
CH KV  
O A  
C NO

№ 809

Ⓐ  
№ 810

გ) (№ 802): ἰ ζ[γ:α:] Ἀναξ—წმ. ლუკა (XI ს. მინანქარი). გვაქვს ლიგატურა (№ 806) და A არის შემოკლებული ჯგუფი.

მარჯვენა მხარის მინანქრები:

ა) (№ 804): ἰ ζ[γ:α:] Μαρμαζ—წმ. მათე (XI ს. მინანქარი). არის ლიგატურა; O-ში ჩაწერილი α არის ჯგუფის შემოკლება. α-დიფთონგი გადმოცემულია ე-თი. რა ან რ-ს კომპლექსისათვის გვაქვს მარტო τ.

ბ) (№ 805): ἰ ζ[γ:α:] Παναζ წმ. პავლე ლიგატურაში (№ 806) α გადმოსცემს ჯგუფს შემოკლებით.

გ) (№ 807): ἰ ζ[γ:α:] Μαρμαζ წმ. მარკოზი (XI ს. მინანქარი).

ზემოთა მხარეს მოთავსებული მინანქრები:

ა) (№ 808): Παναζ—პეტრე (შემოკლების ნიშნად იხმარება /, ეს გადმოსცემს ჯ-ის მოკვეცას).

ბ) (№ 809): ἰ შ:α:ζ Μαρμαζ—წმ. მარიანე იტაციზმია: οηαζ, Μαρμαζα. ბოლოცილი და მოკვეცილია—Μαρμαζαο.

გ) (№ 811): ἰ ζ[γ:α:] Βασιλαζ—წმ. ბასილი (IX ს-ის მინანქარი). მოკვეცილია ე—დაბოლოება. იტაციზმია: Βασιλα:ς. ლიგატურაში (№ 810) α ათის ჯგუფის შემოკლებით გადმოსცემი.

ორი, X ს-ის მინანქარი არის შიგნით, მარიამის მარჯვნივ და მარცხნივ (№ 812—813).

ა) (№ 812): იესუ ქრისტე,

ბ) (№ 813): დედა ღვთისა.

ამ ხატის მინანქრების წარწერების თავისებურებები თავთავის ადგილას იყო განხილული.

34. ბიზანტიური ხატი, პატარა ზომისა, ჩამოტანილი კორცხელიდან, № 211. ესაა ცვლილით დაბატული მაცხოვარი (?), თუმცა მინანქრებს „ღვთისმშობელი“ აწე-

Ⓐ      C  
B      I  
A      Λ  
         I

№ 811

Ⓘ̄      χ̄C

№ 812

Ⓜ̄P      Θ̄V

№ 813

რია (ბერძნულად). ზედ არის წარწერებიანი მინანქრები (№ 814):  $\mu\eta\rho$   $\iota\sigma$  ზევით (№ 815):  $\text{+ } \eta \text{ } \alpha\eta\mu\text{:}\sigma\text{:}\varsigma \text{ } \alpha\eta\varsigma \text{ } \mu\alpha\tau\alpha\alpha\alpha\sigma\text{:}\alpha\text{:}$ , ე. ი.  $\text{+ } \eta \text{ } \alpha\alpha\text{:}\mu\eta\mu\text{:}\alpha\text{:}\varsigma \text{ } \alpha\eta\varsigma \text{ } \mu\alpha\tau\alpha\text{:}\alpha\text{:}\alpha\text{:}\alpha\text{:}$  — ღვთისმშობლის მიძინება.

Ⓜ̄P

Θ̄V

№ 814

$\text{+ } \eta\kappa\eta\mu\iota\sigma\iota\varsigma \text{ } \tau\eta\theta\epsilon\theta\omicron\tau\omicron\kappa$

№ 815

მარჯვენა არშიაზე (№ 816):  $\eta \text{ } \acute{\alpha}\gamma\iota\alpha \text{ } \text{''}\text{A}\eta\gamma\alpha\text{''}$  — წმ. ანა.  $\sigma \text{ } \acute{\mu}\eta\tau\epsilon\text{:}\rho\text{:}\varsigma \text{ } \text{''}\text{I}\sigma\alpha\alpha\zeta\epsilon\iota\varsigma \text{ } \text{''}$  წმ. იოაკიმო. (გვაქვს ლიგატურა (A. სიღვევა  $\acute{\alpha}\gamma\iota\sigma\text{:}\varsigma$  შემოკლებულია ა-დ. არის იტალიური:  $\eta\text{=}\iota$ ,  $\eta\text{-}\epsilon\text{:}$ .  $\sigma$  გვაქვს ა-ს მაგივრად).

HAΓIAANNA

Ⓐ  
H  
O  
A  
K  
H  
H  
M

№ 816

ქვემოთა ფენა (№ 817):  $\eta \text{ } \acute{\alpha}\gamma\iota\alpha \text{ } \text{''}\text{A}\eta\chi\text{-}\tau\epsilon\rho\iota\alpha\text{''}$  — წმ. ვატირინე. ა: — გადმოცემულია  $\epsilon\text{-}$

H      E      H  
A      K      A  
Γ      A      Γ  
H      T      A K  
A      E      N  
                         BAP  
                         BA  
                         PA

№ 817

№ 818

თი; № 818  $\eta \text{ } \acute{\alpha}\gamma\iota\alpha \text{ } \text{''}\text{B}\alpha\rho\beta\acute{\alpha}\rho\alpha\text{''}$  — წმ. ბარბაღე.  $\text{+ } \eta \text{ } \gamma\epsilon\gamma\eta\eta\sigma\text{:}\alpha\text{:}$  — შობა (: გადმოსცემს  $\eta\text{-}$ ს და  $\eta\text{-}$ ს მაგივრად გვაქვს. ორი  $\nu\text{-}$ ს მაგივრად გვაქვს ერთი).

მარცხნივ (№ 819) + ო ჯჳჳ:ჳჳჳ, ე. ი. + ო ჯჳ:ჳჳ:ჳჳჳ—ხარება. გვაქვს შენოკლება—ჳ-ისა, ჳ:—დიფთონგი ე-თია გადმოცემული, იტაციზმია (ჳ=ი-ს). ე-ის ნაგვიერად გვაქვს :- ჯჳჳ:ჳჳჳ/.

წარწერები ბიზანტიური ბერძნულის ენობრივი ნიშნების ნატარებლები არიან, ასოთა მოხაზულობიდან გამოირჩევა M და I (№ 820). რაც დაახლოებით X—XI სს-სთვის არის დამახასიათებელი.

†ΟΧΕΡΙΤΗCΗ

o)

M და I

№ 819

№ 820

35. დაახლოებით X ს-ის მიწანქრის ხატი, № 2847, შედენილი მაქუტაძე-აბაშიძისაგან. გამოსახულია ჯჳჳრცმა და აქეთ-იქით მარიაში და იოანე. ამის შესაბამისად აწერია (№ 821): 'Iჳთენს

Xჳ:ჳჳჳ—იესუ ქრისტე (ი)ბჳ ო ა:ბჳჳ ოჳჳ—აი ძე შენი იჳჳჳ ჳ მჳ(ჳჳჳ) ოჳჳ—აი ღღჳ შენი (ი-ე 19, 26—27) (ჳ, ოჳჳ)ჳჳ:ჳჳჳ—ჯჳჳრცმა.

IC XE

ΔΕΟΨΟCCOV ΙΔΟΝΗΗ, COY P  
W  
C  
C

№ 821

36. გამოხატულება ქრისტესი საღებავით არის შესრულებული, ირგვლივ ვერცხლის ჩუქურთმებით არის შემკული, აქვს წარწერები ვერცხლზე მინაწკრით (№ 822): ო ჳჳჳ:ჳჳჳჳ ჳჳჳ ბჳ? ჳჳ, ე. ი. ო ჳჳჳ:ჳჳჳჳ ჳჳჳ ბჳჳჳჳ ჳჳჳჳჳ ღღჳჳჳ ღღჳჳჳ. 'Iჳთენს Xჳ:ჳჳჳჳ—იესუ ქრისტე (უქულმაა ჩასმული). საინტერესოა დაწერილობა Δ (==ბ-ს) და η-სთვის X.

37. ო 154—ოდიშიდან ჩამოტანილი ვერცხლის ნა-

OBACIAEVC  
THCAONC

მედი პატარა ხატი, მარიაში ყრმით და წარწერით (№ 823): მჳჳ მჳ, I'ს X'ს — ასოთა მოხაზულობის მიხედვით წარწერები დაახლ. XVI ს-ისა უნდა იყოს. საინტერესოა: Y, I (№ 824) და ქარაგმისა და მახვილის ნიშნები (№ 825) (ხატს ქართული წარწერა არა აქვს).

OX

OI

M

EV

IC

XC


№ 822

№ 823

38. № 9197 თბილისური ხატი, ხეზე ფერწერა, წმინდა გიორგი ცხენზე, დაახლოებით XVI ს-ისა. აწერია მწვანე ფონზე წითლით (№ 826) ო Ⴑჳ:ჳჳჳჳ—წმ. გიორგი.

39. ო № 80 ა/ბ—იმერეთიდან ჩამოტანილი სანაწილე, XV ს-მდელი-მრგვალი, წრიული ფორმისა. ამობურთული ნამუშევარია. დიამეტრი დაახლ-


5 სმ. გარედან ერთ ნხარეს გამოსახულია წმ. გიორგი, მეორეზე წმ. დიმიტრი. ორივენი ცხენებზე არიან. აწერიათ (№ 827, 828): *Γεωργίου, Διμήτριος, γ. ο.*



*Γεωργίου-გიორგი Διμήτριος*—ღმიტრი. საინტერესოა ი-დაბოლოება (№ 829): მ-ს მოხაზულობა (№ 830), ლიგატურა *ჟჟ* (№ 831) და პატარა ასოების გაოვეა მთავრულში: *ε* და *:-სი*.



40. იმერეთიდან მოტანილი XVI ს-ის ვერცხლის პატარა ტრიპტიხი № 34. დახურულს გარედან ქართული წარწერა აქვს მთავრულად ჩაკედული:



+ ლო და ძელო კტო  
ჯი ქსნი  
ძღვა მტრთა  
შე ელენე ასლი ჩმ


ზურგი სულ სავსე აქვს ქართული წარწერით. გახსნის შემდეგ შიგნით, ჯვარცმის ქვემოთ, ჩანს კიდევ (№ 832). *Ελση η άγία*—წმ. ელენე. ...[*Κωνσταντι- νους*—კონსტანტინე.

41. № 506. ახალციხის თომა მოციქულის ეკლესიიდან ჩამოტანილი ხის ხატი, დაახლ. XVI—XVII სს-ისა, ზედ ფერწერით შესრულებულია მიქაელ მთავარანგელოზის გამოხატულება, აწერია წითელი საღებავით (№ 833): *ὁ ἀρχ Μιχαήλ*—*გ. ო. ὁ ἀρχάγγελος Μιχαήλ*—მთავარანგელოზი მიქაელი.

42. ხის სასეფისკვრე, საღებავებით მოხატული, XVII ს-ისა. უკან აქვს ჯვარცმის სიმბოლური გამოსახულება (№ 834): *Ἰησους Χριστος υιος Χρισ- τος χριστος: ἁγιος ἁγανευ πατριδειςος ὑγιουεν*. იესუ ქრისტე ძლევა. ქრისტე ახარებს. თემის ადგილი სამოთხე ყოფილა.



43. კუნდიდლის (?) ჯვარი, დაახლოებით X ს-ისა. ზედ მინანქრით გამოხატულია ჯვარცმა. ჯვარს ზემოთ აწერია IC XC, (Ἰησοῦς Χριστός -- იესუ ქრისტე). ხოლო ჯვარის მკლავებს ქვეშ სწერია ΙΑϞΟΥΙΟϞΟΥ ΙΑϞΟΥΗΜΡϞΟΥ *იჲ ო სიჲჲ ოსი ონი იჲსოჲ ოსი; ონი Ⴖ სნიჲ ოსი- აი, ძე შენი. ონი Ⴖ Ⴖსოჲ ოსი*, ლელა შენი (იწე 19, 26—27).




№ 834

- ბ) (№ 837): Ⴖ χρυσႶთαιμαჲ—ოქროპირი.
- გ) (№ 838): Δημητρηαჲ—დიმიტრი.
- დ) (№ 839): Νικαλααჲ—ნიკოლოზი.

IC XC

44. X ს-ის ჯვარი. კუნდიდლის კუთვნილი, ზედ მინანქრით გამოხატულია ორი ადამიანი (ადამ და ევა?) და ბერძნულად აწერია (№ 835): *η αγαθασηჲ* (იტაცებნით), ე. ო. *ჲ ანათასაჲ*—ადგომა.

45. X ს-ის სანაწილე ჯვრის ფორმისა. კუნდიდლის კუთვნილი. ზედ მინანქრით ცალკეული პირებია გამოხატული შესაფერი წარწერებით: ა) (№ 836) *μ ηρ μ* ს საინტერესოა ამ გავრცელებული შემოკლების ასე დანაწილება.




46. კუნდიდლის სანაწილე, X საუკუნისა, ჯვრის ფორმისა არის და ორსავე მხარეზე წარწერებიანი რელიეფური მედალიონები აქვს. წარწერები მინანქრით არის შესრულებული: პირზე აწერია (№ 840): *Μιχαηλ* მიქაელი IC XC იესუ ქრისტე, *Ⴖნი Ⴖ სნიჲ ოსი, Ⴖნი Ⴖ Ⴖსოჲ ოსი- აი, ძე შენი, აი, ლელა შენი* (იწე 19, 26—27), *Γαβრიელ* — გაბრიელი. სიტყვა *სნიჲ*—სწერია *საჲ* — ფორმით. არის ლიგატურები: *η* და *ΗΜΗΡ*. ზურგზე აწერია (№ 841): *μαμααჲ* (α—დიფთონგი გადმოცემულია *ჲ*-თი), *λαααჲ*, *σαააჲ* (თავისებურია *ა*-ის დანწერილობა. ბოლოკიდური *ჲ* მოკვეცილია), *μαααჲ*.





დ) (№ 850) მს, ე. ი. [მრჩეპ] შინ [დედა] ღვთისა.

52. ი № 197, დაახლოებით XVI საუკუნის ნივთი, რომელსაც ზედ აწერია, რომ სოლომონ მეფის გულსაკიდა ხატი იყო. გარეთა ბუდე ვერცხლია,



№ 851

ა, ხ, ჯ

№ 852

შიგ დევს ძვლის ფირფიტა, რომელზედაც ამოკრილია 9 სიუეტი. თვით ფირფიტა პატარაა, გამოსახულება პატარა, მაგრამ მკაფიო. გამოსახულებებს ზემოთ ამოკვეთილია წარწერები, რომლებიც ბერძნულად მიაჩნიათ<sup>1</sup>.

### ღურჯი მონასტერი

ღურჯი მონასტერი მდებარეობს თბილისში, საჯაიას ქუჩის ბოლოს, რუსული (იოანე ღვთისმეტყველის სახელობის) ეკლესიის გვერდით. იგი XII — XIII სს-ში არის აშენებული და მერე არა ერთჯერ შეკეთებული<sup>2</sup>. სამხრეთ ფასადზე, შესასვლელი კარების თავზე არის 9-სტრიქონიანი ქართული წარწერა (მთავრული)<sup>3</sup>, რომლის შუაში მოთავსებულია ჩუქურთმებისგან გამოკვანილი ჯვარი, რომლის ზემოთაც არის ბერძნული წარწერა (№ 851): IC XC NIKA. ეს წარწერა (ისევე როგორც ქართული) ჩაჭრილია მოსალოდნელი ქარაგმის ნიშნები არა აქვს (თუ უკვე წაშლილია). წარწერა XII — XIII სს-თა მიჯნისაა. ნიშნულობის მხრივ ნიშნულთაგანია ასოები: ა, ხ, ჯ (№ 852)<sup>4</sup>.

<sup>1</sup> წარწერები ან სტილიზებული ბერძნულია, ან შეიძლება სლავური დამწერლობით შესრულებული. ზოგი მანც მეტისმეტად ჰგავს სლავურს.

<sup>2</sup> ძვლის შესახებ დაწვრილებით იხ. ვ. ბერიძის „ღურჯი მონასტერი“: ქართული ხელოვნება, II, 1948 წ. გვ. გვ. 91—110.

<sup>3</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ღურჯი მონასტერი ამ ქართული წარწერით ზღვრო იყო ცნობილი, ვიკრე სხვა რამით. წარწერა თაზარ მეფის დროისაა (იხსენიებს აბულასანს) ამ დროს ეყუთენის მთელი ეს სამხრეთის შესასვლელის ტიპმანიც (თავისი ჩუქურთმისანი ჯვრითა და ბერძნული წარწერით). წარწერის ერთ-ერთი უკანასკნელი გამოკვეთებული ვარიანტი იხ. ვ. ბერიძის ზემოთ დასახელებულ წერილში, 96—98 გვერდებზე.

<sup>4</sup> ბერძნული წარწერა ასეთი სახით: IC XC NIKA მოყვანილი აქვთ: E. Такаш-мвнлн, Арх. вѣс... IV, стр. 148; ვ. ბერიძე, დასახ. შრომა, გვ. 96.

ჟინეზაუკი

ლ. მუსხელიშვილის შრომაში „დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა“ არის ასეთი შენიშვნა: „ფინეზაურის (ანუ, ადგილობრივთა გამოთქმით, თინაზურის) ნასოფლარი მდ. ფინეზაურის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს, საფარლუს პირდაპირ, პატ. დმანისიდან ხუთიოდე კილომეტრით უფრო ზემოთ. აქ ორი მცირე ერთნავეიანი ეკლესიის ნანგრევეია, ერთი მეორის ზემოთ, ორივე თლილი ქვით ყოფილა ნაგები; ქვემო ეკლესიის ახლოს გდია წითელი ქვა შოკლე ბერძნული წარწერით; იქვე ნასახლარიც ჩანს, რომლის განაპირას ობლად ამართულა დაუშუშავებელი, მალალი და წვევტიანი ქვა (სიმაღლ. 1,95, სისქით ძირთან 1,00, ხოლო წვერთან 0,35 მეტრი), ღრმად ჩასმული მიწაში, რომელიც შეიძლება ე. წ. ვეშაპოიდს წარმოადგენს; ზემო ეკლესიის გარშემო კი ძველი სასაფლაოა. უეკელია ამ სოფელმა ბისცა მდ. ფინეზაურს თავისი სახელი. მით უფრო საკვირველია, რომ ვახუშტი მას არ რხენიებს. სხვა საბუთებშიც ეს სახელი არ უკმხვედრია“ (კრებულში: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, გვ. 323, შენიშვნა 4).

ცნობის ადგილზე შემოწმების შემდეგ ფინეზაურის ქვემო ეკლესიის მასლობლად აღმოჩნდა წითელი, საკპაოდ რბილი ქვის სამი შედარებით მოზრდილი ნამეტრევი, რომელთაგან ერთზე კვალიც აღარ იყო იპისა, რომ ოდესმე რაიწე წერბულიყო, მეორეზე შერჩენილი იყო ნიშნები, საფიქრებელია, ბერძნულ ასოთა მოხაზულობისა, ხოლო მესამეზე, რომელიც თავის დროზე მთელი ქვის უკიდურესი მარჯვენა ნაწილი იქნებოდა, მკათიოდ ჩანს Σ (სიპაღლე 6 სმ, პორიზონტალური შტრიხის სიგრძე—3 სმ). ვფიქრობ, ეს იქნებოდა წარწერის უკანასკნელი (თუ კი საერთოდ იყო რამდენიმე) სიტყვის უკანასკნელი ასო, შესაძლებელია ეს სიტყვა 4-ზე (თუ—05-ზე?) დაბოლოებული სახელი იყო. ჩანს, ლ. მუსხელიშვილს მიერ აღნიშნული წარწერიანი ქვა დაუშეტრეციათ.

მხოლოდ ერთი ასოთი ძნელია დათარიღება ამ ფრაგმენტისა. თ-სათვის მოხაზულობა Σ ჩვეულებრივია პირველი საუკუნეებისათვის, მაგრამ როგორც ჩვენივე მასალიდან ჩანს, იგი გვხვდება XIX ს-შიც (შღრ. კაცხის ბერძნულ წარწერას).

აბუღუმი

დიდი დმანისის მახლობლად, სოფ. ბალიჭის პირდაპირ, მდ. მაშავერის მარცხენა ნაპირას არის ადგილი აბულბუჯი. ვახუშტის „აღწერაში“ მას აბულბუჯი ეწოდება (გვ. 39). აბულბუჯის მცირე ერთნავეიანი ეკლესია, როგორც

ლიტერატურაშიც არის აღნიშნული, რესტავირებული ყოფილა<sup>1</sup>. მის დასავლეთ კედელში დაახლოებით ადამიანის სიმაღლეზე ჩადგმულია ქვა, რომელზედაც გამოაახულია ბოლნური ტიპის ჯვარი და მის ქვეშ A და Q (№ 853).



№ 853

როგორც ცნობილია, ეს აღნიშვნა პირველი საუკუნეებიდან მომდინარეობს. იგი ქრისტეს სიმბოლოა და წარმოადგენს იონანს გამოცხადებიდან აღვილის, შეიძლება ითქვას, შემოკლებით გადმოცემას. ეს ადგილია: 1,8 და 21,6: «*ϳϳⲁ ⲉⲓⲙⲁ ⲧⲃ ⲉⲗⲑⲁ ⲁⲗⲓ ⲧⲃ ⲁ̅, ... ⲗⲉ̅ϳⲁ Ⲓ̅ⲛ̅ⲣⲓⲟⲩ ⲉ̅ ⲙⲉⲛ̅ⲉ̅*» («მე ვარ ანი და ზ, ... იტყვს უფალი»).

ქვა ამჟამად სწორად არაა ჩადგმული (90°-ით არის შესაბრუნებელი-მარჯვნივ), ჩანს ძველი მასალა (დაახლოებით VI—VII სს-ის ქვა) გამოიყენეს შემდეგ და ისე ჩასვეს, როგორც მოხდათ.

წარწერა საინტერესოა პალეოგრაფიული თვალსაზრისით: *α* საკმაოდ სტილაზებულია (ბევრი დამატებითი შტრიხი აქვს), ხოლო *ω* წესიერი ფორმისა არც კია, ნთლიანად შესაბრუნებელია. ვფიქრობ, აქ ადგილობრივი მკრელის შექოლება უნდა იყოს<sup>2</sup>.

ლ. მუხსელიძის შრომაში «არქეოლოგიური ექსკურსიები მაშაერის ხეობაში» (თბილისი, 1941 წ.) აბულბუჯის ეკლესიაზე მსჯელობისას აქვს ასეთი ცნობა: «ეკლესიის შიგნით გდია კიდევ ერთი ბერძნული მთავრული ამოკოდვილი წარწერაინი ქვის ფრაგმენტი. მოვახერხე მხოლოდ შემდეგის ვარჩევა: **ΥΑΡΚΩΡ**»

— -- ΗΚ -- T<sup>2</sup>

სულ ორი სტრიქონია.

შენიშვნებში მას უწერია: „1. პირველი ასოს წან კიდევ რალაც ნიშანია, რომელიც სომხურ მთავრულ *Λ*-სა ჰგავს; მესამე ადგილას *P*-ს მაგივრად შეიძლება *Φ* იყოს; უკანასკნელი *P* საეჭვოა, რადგან თავშეკრული არაა. 2. უკანასკნელი ასო საეჭვოა, შეიძლება *I* იყოს, რადგან *T*-სთვის თავი ძალიან მოკლე აქვს“ (გვ. გვ. 25—26).

ეს წარწერა აბულბუჯის ეკლესიაში აღარ მინახავს.



<sup>1</sup> აბულბუჯის ეკლესიის (მისი არქიტექტურისა და წარწერების) შესახებ ცნობები აქვს ლ. მუხსელიძის შრომაში: არქეოლოგიური ექსკურსიები მაშაერის ხეობაში, თბილისი, 1941. გვ. გვ. 24—26 და 86. ეკლესიას აქვს XI—XII სს-ის კართული წარწერა, ბოლო თვით ძველის ოსტერვარცია ვარაუდით. XVII ს-ით არის დათარიღებული.

<sup>2</sup> ეჭვით დასაბულებულ შრომაში გვ. გვ. 24—25 ლ. მუხსელიძის მოჰყავს ეს წარწერა და მის მაგაჲად მიაჩნა ბოლნისის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი მინაშენის აფსიდის კედელში, საოკმლის ჩრდილოეთით ხეივთკენ გამოსახული, ე. წ. ბოლნური ჯვარი და მის ქვეშაით ადრე მისთვის გაუგებარი (საუბრაუდოდ ბერძნულ *Λ* და *Ω*-დ გაგებული) ორი ნიშანი (წილ. ლ. მუხსელიძის წილ. ბოლნისი: ენიშნის მოაზრებ., III, 1938. გვ. გვ. 342—343).


ბოლანისში დატული ჯვრის გამოსახულება, ბერძნული ასოებითურთ, ლ. მუსხელიძის *X—XI სს-ებზე ადრინდელი წარწერების ჯგუფში აქვს მოთავსებული. რაც შეეხება აბულბუჯის მედალიონს, მის შესახებ იგი წერს: «წარწერა ხეოვლედან ნაფხაქნი, მაგრამ შეიძლება ძველი იყოს» (აოგ. ექსკურსიები... გვ. 25). უფრო ზუსტი დათარიღება მისი მოცემული არა აქვს.*



ფანჯრებს ქვეშ არის (№ 857): *მჭურე მესე ჯეა ღვთისა. ცენტრალური ფანჯრის ქვეშ არის ფართო გამოსახულება, წარტყენა მხარეს ღვთისწინაშე-ლისკენ) არათფერი ჩანს. მარჯვენა კიდებზე მოჩანს: ...X(ღ. შენდევ (№ 856): *ბ პიოჭურეს 'Icaxპაჲ წინასწარმეტყველი იაკობი. ამის გვერდით ნიშნი (№ 859): *ბ შ:ა:ა:ღ მეღჯამეშჲ მართალი მელქისედეკი. ნიშის თავზე ნახევარი ტანიით ხატია თითქოს ფრინველზე შემონიჭდარი პირი, რომელსაც აწერია: III, I, X.***




(*ბ პიოჭურეს) 'Iaw(აჲ) წინასწარმეტყველი იონა. მის გრაგნილზე სწერია (№ 860): *ეჴი| იσα| εν θ| λι, ე. ი. ეწნეშჲ ენ მღ[ჴჲჲ მთა პრჲჲ K̄nრთო...| ღდაღ ევე ჴრის შინა ჩემზა უფლისა შიშართ... (იონა, 2,3).**



ამის გვერდით მთელი ტანიტ გამოსახულია (№ 861): *ბ შ:ა:ა:ღ Baxმესე: წმ. ბასილი. მას ხელნი აქვს გრაგნილი, წარწერით (№ 862): *თამ: ა: ჴი:ა: თ: v თმე| მემჲ| νοη| τας σ| αρχ, ე. ი. თმეს: აჴი:ა: თან თანმემჲყათან თაჲ თარჲ (თაჲჲ ἐπιμυμιας και ἰθουαης πριστρχεσμου) არავინ არის ღირსი შეკრულთაგან სორ-ცელი (სიტყობებით და სიამოკნებით რომ მოგიახლოედეს). ამის გვერდით არის უგრაგნილო ბიუსტი. წარწერით (№ 863): *ბ შ:ა:ა:ღ I'ayქრეაჲ წმ. გრიგოლი. ამის გვერდით არის კვლავ მხოლოდ ბიუსტი, დახიანებუ-ლი წარწერით (№ 864): *ბ შ:ა:ა:ღ... წმიდა...****

EBO  
ICA  
ENO  
ΠΙ




ქვემოდან ნეორე ფენანი. ოქრო-პირის თავზე არის გამოსახულება, წარწერით (№ 865): *ბ პიოჭურეს: *ა:ა: ჯეს-ურეს 'Aპრან წინასწარმეტყველი და ლევიტე-ლი აარონი. მის გრაგნილზე სწერია (№ 866): *ა... მთ... ო:ა. ამის გვერდით ხატია რომელიღაც წინასწარმეტყველი, რომლის სახელი აღარ ჩანს. მის გრაგნილზე თეთრად ატყუა 7-სტრიქონიანი წარწერა, რომელიც აღარ იკითხება.***

როგორც ზემოთაც ითქვა, ამის შემდეგ არის 3 სარკმელი, რომლებშიც აქეთ-იქით, ე. ი. თითოში ორი, პირთა გამოშახველი ფრესკა ყოფილა. I-II სარკმლებში ფრესკები ისეა დახიანებული, რომ გამოსახულებათა მხოლოდ ფეხები მოჩანს, III სარკმელში მარცხნივ (ე. ი. ჩრდილოეთისკენ) გამოსახულ



პირს აწერია (№ 867): ὁ ἅγιος Σιλ[β]στρου[ς] წმ. სილობისტრო. მარჯვნივ (სამხ-რეთისკენ) კი (№ 868): ὁ ἅγιος Φαδεδος = ὁ ἅγιος Φαδεδου[ς] წმ. თადეოსი. ამის გვერდით არის (№ 869): ὁ προφητ[η]ς Ἰαχαρα[ς] წინასწარ. მეფეველი ზაქარია. მის გრაგნილზე სწერია (№ 870): ε εχα[ρ]α ταν λι[τ] χυαν[τ] παρ




№ 862




№ 863




№ 864




№ 865



№ 866



№ 867



№ 868

γ; ὁ σεν, ე. ი. ἐπιτάφωτον λαχυαν παρ ἐγώ σεν[τ]εσά—?] შეიღსანთლიანი ბაზაკი ჩემს წინა და მე თავყანს ცვემ (?) ეს არის გადაკეთებული ზაქარიას ტექ-


ΕΤΑΦΟ

ΤΟΝΛΙ


ΧΝΙΑΛ

ΓΡΟΕΓ

ΟΟΕΠ



№ 869



№ 871

სტიდან (შდრ. ზაქ. 4,2 და შმდ.), რომელიც გვაქვს „ერმინიაში“ (გვ. 146): „ἐγώ λαχυαν ἐπιτάφωτον σε εἰδον...“ („მე გიხილე შენ, შეიღსანთლიანი ბაზაკი...“).

გვერდით გამოსახულია წინასწარმეტყველი გედეონი, გრაგნილით (№ 871): ὁ προφ[η]τ[η]ς γεδεδων = ὁ προφ[η]τ[η]ς Ἰεδεδων წინასწარმეტყველი გედეონი. მის გრაგნილზე სწერია (№ 872): εχ[ρ]α ὁ ποι[η]τ[η]ς ὁ δι[σ]τ[η]χ[η]ς τας κα. ეს არის შემოკლებული და გადაკეთებული რედაქცია გედეონის სიტყვებისა „მსაჯულთა“ წიგნის 6,37—40 ადგილისა: ἐξυθρ[η]σας γυθηται ἐπι τ[η]ν π[ο]ταμ[ον] μ[η]νον καὶ ἐπι π[ο]ταμ[ον] τ[η]ν γ[α]ρ[η] ζ[η]ρ[η]σ[α]... „და უკეთყო იგოს ცუარი საწმისსა მას ზედა და უოველი ქმენა ვმელ იგოს“... (მსაჯ. 6,37).



ძირითადი ნაწილის ჩრდილო განყოფილებაში უკეთ არის მხატვრობა შემორჩენილი. ამ ფრესკებს ქართული მთავრული წარწერები აქვს. ჩრდილო კედლის I მონაკვეთზე (ი. ი. აღმოსავლეთისკენ) უხვად არიან წარმოდგენილი წმ. მამები. ეს ქვემოთა ჟენაში, ზემოთ კი სხვადასხვა სიუჟეტებია. ქვემოთ მესაზე ფენაში აღმოსავლეთისაკენ არის ჯვარცმული ქრისტე (აქეთ-იქით ავაზაკებით). მას შარავანდზე აწერია ზ რუ—არსი. ამის ქვევით არის კომპოზიცია, რომელშიც ქრისტეს იგივე აწერია შარავანდზე. იგივე აწერია შარავანდზე თაღში გამოსახულ ქრისტესაც.

გუმბათში ჩვეულებრივ ადგილებზე ჩანან წინასწარმეტყველები, მაგრამ ნახატებიც გადასულია და აღარც წარწერები ეტყობათ. გუმბათის ცაში არის ქრისტე, რომელსაც ხელში უჭირავს გადაშლილი სახარება, ამ უკანასკნელზე საკმაოდ მდარე ხელით გამოყვანილია ქართული მთავრული წარწერა.

როგორც ვხედავთ, ფიტარეთის ბერძნული წარწერები ძირითადად თავნოყრიალი საკურთხეველში. აქ, ფრესკების ცალკეულ დასახელებათა გარდა, გვაქვს ორი წყება წარწერებისა. ერთი წარმოადგენს ტექსტებს მღვდელთმთავართა თხზულებებიდან (იოანე ოქროპირი, ბასილი), ხოლო მეორე არის სერია ე. წ. ჰუმიუთ იმ პაფიჯუჯი, ე. ი. იქ გამოსახული არიან ცალკეული წინასწარმეტყველები, რომელთაც თითოეულს ხელში უჭირავს საკუთარ წინასწარმეტყველებათა სათანადო საგალობლად გადაკეთებული ადგილი, რომლითაც მიმართავენ ღვთისმშობელს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამოსახულ პიროვნებას (წინასწარმეტყველებსაცა და მღვდელთმთავრებსაც) საკუთარი ტექსტი უჭირავს ხოლმე.

ტექსტები თავისებური სახით არის წარმოდგენილი. იოანე ოქროპირის ტექსტის შემოკლებული რედაქციაა: აბჟაჟა-ს შემდეგ გამოტოვებულია მთელი გამოთქმა და მოკლებულია მხოლოდ უკანასკნელი სიტყვა ამ ცნობილი ციტატისა: *ἐξ ἁπὸ τῆς ἀρχῆς*; სიტყვა *ἔκ τῆς*-ის მაგივრად არის *ὁμοῦ*, რაც ალბათ შეცდომაა. რაც შეეხება წინასწარმეტყველების ტექსტებს, როგორც თავთავის ადგილას იყო აღნიშნული, არც ერთი არ წარმოადგენს კანონიკურ ტექსტს, ყველაგან არის შემოკლებული და გადაკეთებული რედაქცია გაერთიანებული ტექსტებისა. ყველაფერ ამის საფუძველზე ისმის კითხვა: რითაა გამოწვეული ანდრია გადასხვევა დაკანონებული ღვთისმეტყველები და შიგადაშიგ შეცდომები? შესრულებული არ არის ჯეროდნად განსწავლული და არ იცის, თუ რა და როგორ უნდა სწეროს. თუ ის რომელიმე ისეთი სკოლის წარმომადგენელია, რომელშიც ეს ვარიანტია ვაერკლებული ტექსტებისა? ამ საკითხის გადაჭრა დაკავშირებულია ფიტარეთის მხატვრობის ავტორის საკითხთან და მათ ერთი საერთო პასუხი ექნებათ.

თავისებურ ენობრივ მოვლენათაგან აღსანიშნავია: *σὺν ἐνεπέσειον*-ფორმა, ნაცვლად *συνεπέσειον*-ისა; *ν-კომპლექსის* გამარტივება, რაც დასტურდება ჩვენი სხვა მასალითაც (ლატალის ჯვარზე ფორმა *συνεπίμωξ* = *συνεπίμωξ*, გელათის წარწერაში - *σνεპა*); *ჰ* ს ხმარება ე-ს გადმოსაცემად *ჟ*-დიფთონგში: *ჟაჟა* (= *ჟესტეს*); *პ*-კომპლექსის გამარტივება (რაც გვხვდება ნოსტრის წარწერაშიც: *ჟაჟა* = *ჟაჟაჟა*-ს); *ჟაჟაჟა* (= *ჟაჟაჟაჟა*); სიტყვა *ჟრ:ჟ*, თუ კი ეს



რანდენინე გადაკეთების კვალი (თავდაპირველად თითქოს VI ს-ის ნაგებობა ჩანდა, არის VIII ს-ის ფენაც და ა. შ.)<sup>1</sup>. ამ ეკლესიის გვერდით ეგდო ქვა, მოციხფრო ვულკანური, საკმაოდ მკერივი ტუფი, რომელიც შეიძლება ეკლესიიდანაც ყოფილიყო ჩამოვარდნილი. ეს ქვა ჩამოტანილ იქნა თბილისში, ისტორიის ინსტიტუტში და ამჟამად იქ ინახება. ქვა პრიზმის ფორმისაა. მისი გვერდითი წახნაგები კარგად არის გათლილ-დამუშავებული, თაყი გადატვრეულია. მისი ზომაა 30 სმ. X 21 სმ. X 22 სმ.

ⲚⲪⲬ

ΚΑΙ ΘΕΩΝ ΙΣΤΟΥ.

№ 881

ერთ-ერთ გვერდით წახნაგზე არის ბერძნული წარწერა, რომელსაც უკავია ზედა ნაწილი (ამის ქვემოთ 24 სმ სიმაღლე სულ თავისუფალია; დამუშავებული კია, მაგრამ არცაა კვალი იმისა, რომ რაიმე წერებულყოფს). წარწერა ასეთია (№ 881): ⲛⲁ (?) ⲁⲗⲁ ⲛⲉⲟⲩⲟⲩⲟⲥ, ე. ი. ...ⲁⲗⲁ ⲛⲉⲟⲩⲟⲩⲟⲥ, ...ღა თუპისტე... როგორც ვხედავთ, ეს არის წარწერის ფრაგმენტი და უეჭველია, რომ ამავე ქვაზე ზემოთაც იქნებოდა წარწერა. თუ ეს სტელა არ არის (და ამ ეკლესიის, ან სხვა რაიმე ნაგებობის კუთვნილი ერთ-ერთი ქვაა), მაშინ ნარჯენი და მარცხნივ ნუგბარე წებებულაც იქნებოდა ტექსტი. მართო ამ ერთი ბერძნული სახელით (ჰეოპისტე) ძნელია წარწერის შინაარსის გარკვევა. ძნელი სათქმელია, ვის იტყვიან იგი: ქტიტორს, ხელოსანს, თუ ვინმე მიცვალებულს.

წარწერა მტ მასალას იძლევა ეპიგრაფიკის თვალსაზრისით: ასოები საკმაოდ ბეჯითად არის გაკეთებული და კუთხეებში ჩაღრმავებულია. ყურადღებას იპყრობს ა-ს და ე-ის მოხაზულობა. პირველი (A) რომაული და აპურ-ბიზანტიური ხანისათვის დამახასიათებელი მოხაზულობისაა, ხოლო მეორე (H) კუთხოვანია, უკანასკიელი ასო თუ თ-აა, მაშინ ისიც ყურადღება მისაქცევია, რადგან იგი Ⴚ-ფორმისაა, ე. ი. აქ გვხვდება ორნაირი σ (C, Ⴚ). წარწერა მოკვავარდის ატენის ეკლესიის ფსადის ბერძნულ წარწერას, და ნაწილობრივ ვაშნაოისის, ოლონდ ასოები აქ უფრო ბეჯითად არის გამოყვანილი. ამას ნიხეტი შეიძლება ორი ჰქონდეს: ატენის წარწერა უკვე კვლევაში ჩადგმულ ქვაზე არის და ამდენად უფრო დაუდევრად ჩაჭრილია. ხოლო ლიპის წარწერა შეიძლება ხელში კარგად მოსახარ ქვაზეა ამოჭრილი ან უკეთესი ხელოსნის გაკეთებულია. ან შეიძლება ის უფრო ადრინდელია, ვიდრე ატენისა და ვაშნაოის წარწერები (E იქ ორივეგან მრკველია, აქ კი კუთხოვანი). ჩემი აზრით, ლიპის ბერძნული წარწერის ფრაგმენტი VI—VIII სს-ით უნდა დათარიღდეს.

გუდარები

გუდარებში ახლა მხოლოდ სამონასტრო კომპლექსია შემორჩენილი, ადრე კი სოფელიც ყოფილა; ტყეში ნასახლარები ახლაც კარგად ჩანს, დარბაზული ტიპის ეკლესია მოვარდისფრო ალგეთის ქვისაგან არის ნამუშენი, ხოლო მის

<sup>1</sup> ეს ცნობები მოპოვდა ექსპედიციის წევრმა ირ. ციციშვილმა, რისთვისაც მას მადლობაა მოვსახნებ.

აღმოსავლეთით მდებარე სპრეკლო—მოვარდისფრო და მოყავისფრო ქვებით. ეკლესიის ჩრდილოეთით არის სასახლის ნანგრევები, და საერთოდ ამ მიდამოებში მრავალი ნაგებობაა, მეტწილად ნანგრევების სახით. მთელი კომპლექსი გალავანშემორტყმულია.

ტაძარს მინაშენი აქვს ჩრდილოეთის მხრიდან. შენობაში შესასვლელი მხოლოდ სამხრეთიდან არის. შენობის აღმ. ფასადი სულ მოჭეკურა ბრტყელია. სახსრეთ ფასადზე არის 7 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ორმოცი იხსენიებს დედოფალ რუსუდანს, მანგლელ ანტონს და მამუნებელ ქვაკოოს ძეს. წარწერა არის სამრეკლოს აღმ. კედელზედაც, ოღონდ თავზე: ამ წარწერაში მოხსენიებულია დიმიტრი (თავდადებელი), მღვდელი და გუაის მკვირთელი აბრაჰამი და პოლოს არის ქორონიკონი, რაც 1273 წელს აღნიშნავს<sup>1</sup>. ათობად, ძირითადი ნაგებობები XIII ს-ში არის აშენებული.

ეკლესიის მოხატულობა ძალიან დაზიანებულია, ჰერში საერთოდ არაღერია შერჩენილი, კედლებზე აქა-იქ ფრესკათა ფრაგმენტებია, ბერძნული წარწერების ნაშთით<sup>2</sup>.

ჩრდილო კედლის II მონაკვეთში, ე. ი. ცენტრალურ ადგილზე. ქვემოთა ფენაში არის ორი გამოსახულება: დასავლეთიკენ მიქაელ მთავარანგელოზი, აღმოსავლეთიკენ—გაბრიელი. ეს გამოსახულებები ერთმანეთისკენ არის მიმართული. მათ აქვთ ბერძნული წარწერები (№ 882): *μικαηλ γαβριηλ. ΜΙΧΑΗΛ ΜΙΚΑΗΛ, ΓΑΒΡΙΗΛ* გაბრიელი.

ეს წარწერები პალეოგრაფიულად საინტერესოა: არც თუ იგ ხშირია აქაური ლიგატურა ექს (№ 883; შდრ. ვარძიის ანანუროს ეკლესიას). ხაჭაბაძისად ხშირია აქაური ლიგატურები *μη*, *αβ*, *ρ*: (№ 884): *γ*-ს მოხატულობაც გამოირჩეულია (ასეთივე *γ* გვაქვს თიარეთში). მართალია, ბერძნული წარწერების თვალსაზრისით, მასალა გუდარებში ძალიან ცოტა გვაქვს, მაგრამ შინა

<sup>1</sup> გუდარების ქართული წარწერები მეც გადმოვიწერე, მაგრამ არ მოყვეს აქ. რადან ჩემი გადმოწერილი პირი არ განსხვავდება ექს. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი რუსიკოსაგან (იხ. *Арх. экскурсия...* II, стр. 41—42; 33—34). ექს. თაყაიშვილის დასკვნით. ეკლესიის შენება დაიწეს რუსუდანის მეფობის ბოლო წლებში და დასრულეს დიორიო თავდადებულის მეფობაში, რა დროსაც მოხდა კიდევ კურთხევა ცნობილი ანტონ ნაოშუბელისის ხელით (შდრ. ანტონი მანგლელი—წარწერიდან). ექს. თაყაიშვილის ექვ ცნობა ეკლესიის განახლება მოხდა XVII ს-ში, დომენტის წინამძღვრობის დროს. ამისთვის ადგილი იმორწმებს წინამძღვარ დომენტის საფლავის ქვის წარწერას. წინამძღვარი დომენტი. გერმანოზისწოდებული და სხვანი შიგ ეკლესიაში არიან დასაფლავებული.

<sup>2</sup> გუდარების ფრესკების შესახებ ცნობები აქვთ: ბროსეს (Melanthes... II, 1, p. 156). ბაქრაძეს (Казака..., стр. 57). ე. თაყაიშვილს (Арх. экскур. II, стр. 29). ყველანი ერთნაზად სწუნობენ მხატვრობას და ასხენებენ ბერძნულ წარწერებს, რასაც, დრ. ბაქრაძის შრომის ციტაციით, იმერტაგს კომპილტოვსკიც (იხ. „Сборник...“ стр. 71). ამ მკვლევართა შორის უფრო დაწვრილებით წერს ექს. თაყაიშვილი: „На стенах храма еще хорото видны архагоны, Микхаи и Гавриша, на левой стене, св. Феодор на правой. На этих архагоны надписи греческие, а в восточной части надписи грузинские. хуყური“ (იქვე). წარწერები არსად მიყვანილი არ არის. ჩემი დკვირვებით, სამხრეთ კედელზე ყოფილა ორი მხედრის გამოსახულება (და არა სამისა), ჩრდილო კედლის მთავარანგელოზების სიმეტრიულად.

წვიძლება თქმა, რომ ყველაზე ახლოს ის ფიტარეთისა და ვარძიის ანანურის წარწერებთან დგას. გუდარების წარწერები XVII ს-ეს უნდა განეკუთვნებოდნენ.

ᲛᲗᲔ ᲑᲚ ᲛᲗᲔ ᲑᲚ

№ 882

ᲚᲚ = ᲗᲗ

№ 883

სამხრეთის კეფელზე, მთავარანგელოზების გამოსახულებათა პირდაპირ არის 2 გამოსახულება (წმ. გიორგისა და წმ. დიმიტრის, ან წმ. თედორესი), რომელთაც ამჟამად წარწერები აღარ ეტყობათ. როგორც ექ. თაყაიშვილის

ᲛᲗ, ᲑᲚ, ᲛᲗ

№ 884

ცნობით ირკვევა, თავის დროზე მათი სახელებიც ბერძნულად წერებულა. საკურთხევლის 3 სარკმელში წყვილ-წყვილი გამოსახულებებია. ზოგ მათგანთან (მაგ., ჩრდილოეთის სარკმლის მარჯვენა გამოსახულებასთან) ჩანს ქართული ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები.

— — —

ვიმითას უბანი

ტიმოთეს უბანში, სოფლის განაპირას, წის აღმოსავლეთით დგას ხელოვნებათმცოდნეთათვის კარგად ცნობილი დიდი გუმბათიანი ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისა. ეკლესიის საფუძველი ქვისაა, ხოლო კედლები აგურისა. გუმბათი ალაგ-ალაგ ცისფრად არის წიკიქული. სამხრეთის მხარეზე ქვის მინაწენია მოჩუქურთმებული, ხოლო შიგნით კედლებზე შერჩენილია ფრესკების ნაშთები, რომლებზედაც ქართული წარწერებია. ბერძნული ამგამად არსად არაფერი არის და არც ჩანს. რომ ოდესმე ყოფილიყოს. ლიტერატურაში კი მოგვეპოვება ასეთი ცნობა: «Климатичес-Мани... Внутри доселе сохранились следы греческой надписи, несмотря на то, что дождь ее смыкает» — Птомяловский, Сборник... стр. 58. ეს ცნობა პონიალოვსკის ამოღებული აქეს დ. ბაქრაძის შრომიდან (Кавказ... стр. 83).

დიდი ეკლესიის ჩრდილოეთით არის ქვის პატარა ეკლესია. შიგნით სულ ტიტველი ქვის კედლებია. გარედან, დასაუღეთის სარკმელთან, არის ამოკრილი ჯვარი და ზედ ჩაკრილი ქართული წარწერა (№ 885): ქრისტე ადიე შაღვა ერის-თავთერისთავი... ბერძნული წარწერა არც აქ არის.

თისანი

სოფ. თისელი მდებარეობს აწყურის სამხრეთით, 7 კმ-ის დაშორებით. მის მახლობლად რამდენიმე ძველი ეკლესია არის. ერთი მათგანი—ახლა საკნაოდ დანგრეული, გუმბათიანი და თლილი ქვით მოპირკეთებული, სოფელთანვე მდებარეობს, მეორე—მის მახლობლად ტყეში, ხოლო მესამე—დაახლოებით ორიოდე კილომეტრის შოშორებით, ღელის მომალლო ნაპირას, შიგ ნაძვნარში. ეს უკანასკნელი ეკლესია გან-

ქი ოჲჲ ყზც ოჲ  
 ხ სღზ

№ 885

მარტოებით არ მდგარა ან შედარებით მიყრუებულ ადგილას; თავის დროზე აქ ყოფილა მთელი სამონასტრო კომპლექსი, რომლის ნანგრევებიც საგანგებო ძიების გარეშეც კი თვალში საცემია. ეკლესია დაზარებული ტიპის, საშუალო ზომისა და შედარებით კარგად დაცული ნაგებობაა.

ეკლესია თლილი ქვითაა ნაგები და მას დასავლეთით აქვს ჩუქურთმოვან-ჭერიანი სტოა. შიგნით ეკლესია მთლად მოხატულია. მხატვრობა ახლა დაზიანებულია, მაგრამ ცალკეული სიუჟეტები და ზოგ სიუჟეტთა ფრაგმენტები მაინც გაირჩევა. როგორც ჩანს, წარწერები ამ ფრესკებზე ყო-



ფილა ქართული და ბერძნული<sup>1</sup>. წარწერები ახლა საკმაოდ დაზიანებულია. ბერძნულ წარწერათაგან ახლა იკითხება საკუთბეველის კარნიზზე მსხვილ, ლამაზი ასომთავრულით შესრულებული ერთ-სტრიქონიანი წარწერა (№ 886).

### /// ΤΟΥ ΕΡΕΘΙΟΥ ΑΤΩΝ ΕΠΗΧΙΤΕΜΙΘΤΩΝ ΕΡΕΡΑΙΟΝ

№ 886

(წარწერის დასაწყისში დაახლოებით 2 ასო<sup>2</sup> დასატევი ადგილი გაუუქმებელია, წარწერა გაირჩევა ზედ კარნიზის შუა ადგილანდევ. ამის ზერე შარჯენიე მოჩანს 5 ასოს ნაშთი, შემდეგ კი აღარაფერი ირჩევა). წარწერა ასე წაიკითხება: *το ερεαιου τω ερη ου πεπιθται ερεαιου... დადგენილი სახით ის ასეთი იქნება: [+]* *τς στερειμα τω ε: οι: πεπιθται στερεισος [χρηε τუ εχλησιδαν η εχρησ τθ τεισ οσ αματι].*

თარგმანი: მოსავთა შენთა ღამამტიცებელი: ღამტიცე, უფალო. ევლესია, რი-მელი მოიცილეს სისხლითა შენითა წმიდითა<sup>2</sup>.

ასეთი ბერძნული წარწერა ცნობილია საქართველოს ტერიტორიაზე დაცულ სხვა ძეგლებშიც (ხონი, გელათი, ნიკორწმინდა). შინაარსის მიხედვით აქ ახალი არაფერი გვაქვს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ასეთი შინაარსის წარწერა საკუთბეველის კარნიზზე სამხრეთ საქართველოშიც გვხვდება (სანი ზემოთ მოყვანილი შემთხვევა დასაყვამთ საქართველოდან, უფროზუსტად რაკა-იმერეთიდან, არის). შემდეგ საინტერესოა მისი მართლწერა. მოხაზულობის მხრივ ყურადღებას იქცევს ასო *α*, რომელიც გვხვდება სანგვარად დ.წ.

ო, α, λ

№ 887

Α, Μ, Π

№ 888

რილი (№ 887). დანაირენ ასოთაგან საყურადღებოა *α*, *μ* და *π* (№ 888). ლიტურა გვხვდება მხოლოდ სტიგმისათვის: *С.*

ფონეტიკიდან ყურადღებას იქცევს: იტაციზმი—*επη* (= *επι*), *σ* (= *σας*), *πεπιθται* (= *πεπιθται*), *ο* და *α-ს* არევა—*στερειμα* (*στερειμα*) *στερεισος* (= *στερεισος*). დაწერილობა *α* ნაცვლად *ε-სი* = *στερειμα* (= *στερειμα*) და

<sup>1</sup> თისელის სიძველეთა და, კერძოდ, ამ ევლესიის მონატელობისა და ქართულ-ბერძნული წარწერების შესახებ ცნობა აქვს ევ. თაყაიშვილს შრომაში „Христианские памятники, экскурсии 1909 г.“: МАК, XII, 1909 г. стр. стр. 5—7.

<sup>2</sup> ევ. თაყაიშვილი ამ წარწერის შესახებ აღნიშნული შრომის 6 გვ.ზე სწერს: „На арке алтарной части обичная надпись: „С нами Бог, разумејто все явны“ приидена на греческом язике“. როგორც ვხედავთ, ნამდვილად, ეს ბერძნული წარწერა სხვა შინაარსისაა ყოფილა.

თარგმანსა (=თარგმანსა). აქ ერთგვარი შეუსაბამობაა: როდესაც ი-ლიტონების მაგივრად სწერია ι (σ, παρ:παρ), უნდა ვფიქროთ, რომ ბწერალი სწერს ისე, როგორც ესნის. ხოლო როდესაც ε-ს გადმოსცენს ა:-ლიტონებით. ეს ერთგვარად წიგნური ბერძნულის გავლენაზე მიუთითებს.

პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა დაახლოებით XV—XVII სს-ით უნდა დათარიღდეს. ხოლო თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ XVI სს-ის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეს ნაწილი თურქეთის ხელში იყო (და მაშინ არავის ეცლებოდა იმისათვის, რომ თისელში საქრისტიანო ძეგლები აეგო, მოეხატა და ქართულ-ბერძნული წარწერებით შეემკო), მაშინ თარიღის მტკიცედ დაზუსტებაც მოხერხდება—თისელის ბერძნული წარწერა XV ს-ში ან XVI ს-ის პირველ ნახევარში უნდა იყოს გაკეთებული.

### მიქელწმინდა

მიქელწმინდის საფლავზედა ბერძნული წარწერები ასეთები არის:

1) Εντασιμα κειται Κωνσταν. Δψζ. Παρτακλιθου εκ Χαλδαιας χριστου Ιμερας εγεννηθη 1834 απεβ:ωσσε 1869 δουλως τω φεω, γ. ο. εντασιμα κειται Κωνσταντίνος Δψζ(γασίου) Παρτακλιθου εκ Χαλδαιας χριστου Ιμερας<sup>1</sup>, εγεννηθη 1834, απεβ:ωσσε 1869, δουλως τω φεω.

„აქ განისვენებს კონსტანტინე ათანასე პარცალიდის ძე, ქალდიიდან, იმერას<sup>1</sup> სოფლიდან. დაიბადა 1834 წ., გარდაიცვალა 1869 წელს, მონაღვთისა“.

2) Εντασιμα κειται ο δουλος του φου Παναγι Δημ Καλαιθιοπουλος Πατρ:ς μεν αυτου Χαλδαια ενορια δε Παρτην εγεννηθη το 1813 Σεπ 6 ετελευτησε δε τη 17 Ιαν 1876 ετει, γ. ο. εντασιμα κειται ο δουλως τω φεω Παναγιωζ Δημητρίου Καλαιθιοπουλος, Πατρ:ς μεν αυτου Χαλδαια, ενορια δε Παρτην, εγεννηθη, τη 1813, Σεπτεμβρίου 6, ετελευτησε δε τη 17 Ιανουαρίου 1876 წε.

„აქ განისვენებს მონაღვთისა პანაგი დიმიტრის ძე კალაიტიშვილი, მისი სამშობლოა ქალდია, ხოლო სოფელი—პარტინი, დაიბადა 1813 წელს, სექტემბრის 6-ს, გარდაიცვალა 17 იანვარს, 1876 წელს“.

3) Ενταφιασθη η δουλγη του φου Μαρια Γερσσιμιδου εγεντο 1833 ετελευτσε το 1887 επαρχια αυτης ΤΙΦΛΙΣ ενορια Μικελ Τσμιντα, γ. ο. ενταφιασθη η δουλγη τω φεω Μαρια Γερσσιμιδου, εγενετο 1833, ετελευτησε τη 1887, επαρχια αυτης Τιφλ:ς, ενορια Μικελ—Τσμιντα.

„დაკრძალულია მხევალი ლვთისა მარიამ გერსიმიდი, დაბადებული 1833 წელს, გარდაიცვალა 1887 წელს, მისი ეპარქია—თბილისი, სოფელი—მიქელწმინდა“.

4) Ενταφιασθη ο δουλος του φου Ιωρθανης Θεοδ Γερσσιμιδη εγεντο 1839 ετελευτ:σαι το 1893 μαρ 5 πατρ:ς μεν αυτου Χαλδαια ενορια Μικελ Τσμιντα, γ. ο. ενταφιασθη ο δουλως τω φεω Ιωρθανης Θεοδωρου Γερσσιμιδη(ς) εγενετο 1839, ετελευτησε τη 1894 μαρτιου 5, πατρ:ς μεν αυτου Χαλδαια, ενορια—Μικελ-Τσμιντα.


<sup>1</sup> იმერა სოფელია წალკაში. აქ თითქოს ქალდიის იმერაა.

„დაკრძალულია მონა ლეთისა იორდანე თედორეს ძე გერასიმედი, დაიბადა 1839 წელს, აღესრულა 1894 წლის 5 მარტს, მისი სამშობლო იყო ქალაქი, სოფელი ნიქელწმინდა“.

ყველა ეს წარწერა, როგორც ვხედავთ, XIX ს-ის მეორე ნახევარს განეკუთვნება. მათი ძირითადი მნიშვნელობა არის საქართველოში, კერძოდ ნიქელწმინდაში, ბერძნების დასახლების დათარიღება. რაც შეეხება ენობრივ მხარეს, მათში საკმაოდ ჩანს ხალხური ელემენტები. ჩვენ შესაძარებლად გვაქვს ანალოგიური და დაახლოებით თანადროული წარწერები აფხაზეთიდან, სადაც დატულია ძველი, ანტიკური ხანის, მართლწერა. მიქელწმინდის წარწერებში ბევრია შემოკლება და იტაცის შემთხვევები. საინტერესოა ქართული ბგერის, წ-ს გადმოცემა: *τ* და *θ*—ასოს გამოყენება „ჩ“—ბგერისათვის (ამ გვარს—*Καλαχισιασος* კითხულობენ—კალაჩიშვილი)<sup>1</sup>.

### ვარძია

ვარძიის ძველი მდებარეობს ასპინძის რაიონში, ასპინძიდან დაახლოებით 30 კმ-ზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე და წარმოადგენს XII ს-ში კლდეში გამოქრილ ქალაქს. დაახლოებით 7 სართულად, დღევანდელი აღრიცხვით 613 ოთახით.



ბერძნული წარწერების თვალსაზრისით ამ მრავალრიცხოვან ოთახთაგან ორია საინტერესო; ესაა ე. წ. ლეთისმშობლის სახელობისა და ანანურის ეკლესიები, რომლებიც უხვად შეიცავენ ფრესკებს და ამ ფრესკებზე ბერძნულ წარწერებს<sup>2</sup>.

ა. ლეთისმშობლის მიძინების ეკლესია უდიდესი და ცენტრალური მთელ კომპლექსში. მისი გარეთა, ე. ი. სამხრეთის კედელი XV ს-ში არის გაქვითებული „პატრონი ივანეს“ (ათაბაგის) მიერ, (1391—1441) როგორც ამას მოწ-


<sup>1</sup> მიქელწმინდის ბერძნული წარწერები პირადად არ მინახავს. ამოკრებილი მაქვს ს. ყაუხჩიი შვილის შრომიდან: „ბერძნების დასახლება საქართველოში“; ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიკის ინსტიტუტის შრომები, IV, 1942, გვ. გვ. 238—239. ამ შრომაში გამოაკვეთულია, რომ ქალღმერთის თემიდან (თურქეთიდან) მოვიდნენ 1864 წელს ბერძნები და დასახლდნენ ციხისკუთხედსა და მიქელწმინდაში.

<sup>2</sup> ვარძიის შესახებ ლიტერატურა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, კერძოდ მისი ფრესკებისა და ბერძნული ფრესკული წარწერების შესახებ ცნობებს ვხვდებით: Д. А. К и ш и д а е—Д. П Г о р д а е, О росии большого нешеритою сооружешия Варяжи: Известия Кавказского Историко-Археологического Института, III, стр. 87—96, განსაკ. გვ. 91; ც. გაბაშვილი, ვარძია გზაპყვლედი, გვ. 64; Б а к р д а е, Кавказ... стр. 45; Ду-ბ о и с..., Voyage... II, p. 323; Grosset, Rap., II, p. 106, და ამ ორი უკანასკნელი შრომის მიხედვით, П о ш а л о в с к и й, Сб о р н и к... стр. стр. 57—58. ამ შრომებში არის მითითება იმის შესახებ, რომ ფრესკებს აქვთ ბერძნული წარწერები და წარწერათაგან მოყვანილია მხოლოდ ორი, რის შესახებაც აქვე, თავის ადგილას იქნება აღნიშნული. გარჩევა ან ანალიზი თუნდაც ამ წარწერებისა, არსად გვხვდება.




მზღვ ἡμῶν οὐ τὸ κράτος ἀνεξάστου καὶ... უფალო ღმერთო ჩვენო, რომლისა ძალი (არს) გამოუცნობელი. (ლევნში, იხ. გვ. 13—ეს ტექსტი უქირავს წმ. კირილეს. აქ გამოსახული პირი, ცხადია, კირილე არაა. კირილე არის № I).


V (№ 895): (ὁ ἀγίος) Νικόλαος წმ. ნიკოლოზი. მას ქართული გრაგნილი უქირავს.



№ 894




№ 895



№ 896


VI (№ 896): ὁ ἀγίος Ἰω(άννης) ὁ χρυσόστομος წმიდა იოანე ოქროპირი. მის გრაგნილზე სწერია (№ 897): ο μς ο μς ἡ μῶν ο τῶν| οὐράνιου| ἀρτῶν τῆ| ἡρεφῆ| τῶν πᾶντων, ე. ი. ო მზღვ ო მზღვ ἡμῶν ὁ τὸν οὐράνιου ἀρτῶν τῆ ἡρεφῆ τῶν πᾶντων (ანთაუ) ღმერთო, ღმერთო ჩვენო, რომელმან ზეცისა პური საზრდელი ყოვლისა სოფლისა).

VII (№ 898): ὁ ἀγίος Βασίλειος წმ. ბასილი. ეს მღვდელთმთავარი არის ქართული გრაგნილით.




№ 897

VIII (№ 899): ὁ ἀγίος (Γρηγόριος)? წმ. გრიგოლი (?) (სახელი არ ჩანს, მაგრამ გრაგნილის მიხედვით გრიგოლ ღვთისმეტყველი უნდა იყოს). მის გრაგნილზე სწერია (№ 900): ο μς ο αγγ ος ο εν α, γιου: α| ναπα βιομ: νος, ე. ი. ო მზღვ ὁ ἀγίος, ὁ ἐν ἀγῖου: ἀναπαυόμε-



№ 898




№ 899

ნოს... წმიდა არს ღმერთი, რომელი განისვენებს წმიდათა შორის.

ამის შემდეგ სამხრეთის კედელში არის 4 სარკმელი ზედიზედ, შიგ სარკმელებში გამოსახულია ორ-ორი წმინდანი და ადგილებზე, რომელიც სარკმელებს შორის არის, გვაქვს ფრესკები (ცალკეულ პირთა გამოსახულება).


IX გამოსახულება არის I სარკმელში წარწერით (№ 901): (ó ðçíá;) Πέτρας Ἀλεξανδρείας წმ. პეტრე ალექსანდრიელი. (ქართულად მთაერულით აწერია: წ-ე პეტრე). მას ხელში უჭირავს სრულიად გადარეცილი გრაგნილი, რომელზედაც ისიც არ ჩანს, ქართული ტექსტი იყო, თუ ბერძნული.



№ 900

ამავე სარკმელში მეორე პირი არაა პატრი-არქი, მოჩანს ცალკეული ასოები მისი სახელიდან: Ω... Ο.

მეორე სარკმელში არის გამოსახული ó ðçíá: Ἀλεξανδρείας<sup>1</sup> წმ. სილიბისტრო (№ 902). ამისი გრაგ-



№ 901


№ 902

ნილი (ალბათ ბერძნული, ჯერით ასე ეკუთვნის) სულ მიშქრალია. ამავე სარკმელში მეორე პირი არის „წ-ე ლავრენტოს“ (როგორც აწერია ქართულად, მთაერულით), რომელსაც აქვს სახელი ბერძნულადაც (№ 903): ó ðçíá: Ἀλα-ρχύτου. წმ. ლავრენტი.

ვარძიის ლეთისმშობლის მიძინების ეკლესიის XII ს-ის ბერძნული წარწერების შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: დაწერილობის თვალსაზრისით აღ-



№ 903



№ 904

№ 905


სანიშნავია: ὄჯ დაბოლოება (№ 904): γι-კომპლექსისათვის—Γι; ო-ჯგუფისათვის—ჯ. ლიგატურები (№ 905); იხმარება შემოკლებები: კჰ, ზჰ, კ/, ლა, πავთი/. მახვილისა და ფშვინის ნიშნები თავის ადგილას არაა. არის იტაციზმის შემთხვევები: ἰψαλοῖς (= ἰψηλοῖς), χαταῖον (= χαταῖων), ἀν:χαστων (= ἀνε:χαστων), τριφ'ν (= τριφήν). ὄ და ἠ მონაცვალეობენ: χαταῖον (= χαταῖων), τῶν (= τόν), ἀρτῶν (= ἀρτων).

<sup>1</sup> ეს წარწერა მოყვანილია დ. ყიფშიძისა და დიმ. გორდეგვის ზემოთ დასახელებულ შრომაში (გვ. 91): „одна из таковых (ივლისხმება ფაურ თ. ყ.) имеет надпись и по-грузински и по-гречески, называющая св. Сильвестра—[ს] ἸϷϸϰϷϰϷ (მარცხნივ) слова и ΟΑ|ΓΙΩС|ΓΙ.Α|ΒΕ|СТΡΟС (მარჯვნივ) справа“. სხვა ბერძნული წარწერების შესახებ არის ზოგადად შენიშვნა, რომ გამოსახულებებს საკურთხეველში ქართული და ბერძნული წარწერები აქვთ (იქვე, გვ. 91).



Γαβρ=ó ἀρχάγγελος Γαβριήλ მთავარანგელოზი გაბრიელი, ο παρὰ γαβ=ó παρὰ γαβρ=ó Παναγὰς წინასწარმეტყველი ისაია.

ამის ქვემოთა დენაში, ე. ი. ჩრდილოეთისკენ უკიდურეს მარცხენა კუთხეში, არის ნიში ჯვარცმის სიმბოლური გამოსახულებით, შემდეგ კი წყება პატრიარქებისა ბერძნული გრაგნილებით. ნიში სწერია (№. 907): სუ ჯა Γ' : X' : ν α χ φ (ως) χ (ριστὸν) φ (αίνε) π (ιστ) : Ε (νρηγία) ε (νρη) Ε (λόνη) τ (εριστ) :



№ 907

αχ(αίνε) π(ιστὸν) γ(έγινε). σ(ααρბ) π(ιστὸν) δ(...)(...)¹ იესუ ქრისტე. ჰლევა. ქრისტეს უკუი, ანათეს ყველას. აღმოსაჩენი მოიპოვა ელენემ. ავჯილი თხემისა სამოთხე ყოფილა. კვარი რწმენისა...

პატრიარქთაგან გამოსახული არიან:

I (№ 909): ó ἀγιος Νικολαος წმ. ნიკოლოზი. მის გრაგნილზე სწერია (№ 910): ο εωλο... α'υ ο'γ β.. το.. ε αχ' αζ.. ου ....παισι: ηδε: σσυ.. ν τ' : αβνα οα... თუ შეცდომა არ არის, ეს უნდა იყოს გრიგოლ ნოსელის ტექსტი (იხ. „ერმ.“... გვ. 268): „ο εωλογιω τὸν εωλογιωτὸν εω, Κ'ρ:ε; αχ: ἀγ'αζωα τὸν εβ: σὸ: παπο:ιτ'αζ“... (აკურთხე, რომელნი მადლიერნი არიან, უფალო. და განწმინდე, რომელნი გესვენ შენ...).

II (№ 911): ó ἀγιος Ἰωάννης ὁ μ(εωλόνος) წმ. იოანე ღვთისმეტყველი. მის გრაგნილზე სწერია (№ 912): τατ. τηγ. μ: πο .... λ' : σ φλκχη ...ζ π... λ.

¹ კომიხალ თვსკის კრებულში (გვ. 58) ბროსეს ცნობაზე დაყრდნობით მოყვანილია ეს წარწერა (№ 506), მაგრამ, როგორც შედარება გვიჩვენებს, არც მთლად ზუსტად. წარწერა გაშიფრული არაა. Πομπανωεκπι... стр. 58, Brosset, Rap. II p. 166—სე სწერია: „Dans une niche de la petite chapelle de Wardzia. Je suppose que quelque nom propre et sans doute la date sont cachés là, mais je ne puis me rendre compte de ces signes“. წარწერა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ჯვარცმის სიმბოლურ გამოსახულებას და არც საკუთარ სახელებსა და არც თარიღს ის არ შეიცავს.



ამ ორი გამოსახულების შემდეგ არის დაზიანებული ფრესკა, რომელზედაც ჩანს წარწერის ფრაგმენტები (№ 913): 'Ιησους [Χρισ]τς̄ ესუ ქრისტე, ὁ ἐπι(α)φως (ἐπαφως) საფლავთან ტირილი.

ამის შემდეგ მესამე იერარქია გამოსახული წარწერით და გრაგნილით (№ 914): ὁ ἀγιος Βασίλειος წმ. ბასილი. გრაგნილზე სწერია (№ 915): ὁ ἀγιος ἄξιος. τ' | ὁ... ὁ | γαν τας | ρε, ე. ი. ὁ ἀγιος ἄξιος τῶν [συ]νθεμελιῶν τῆς σαρχιναῆς [ἐπι]θυσιαῆς καὶ ἡθιῶν προσέρχεται | არავინ არის ღირსი შეერულოვან ხორციელი (სიტყვებით და სიამოვნებით რომ მოგიხსლოვდეს).




№ 909

IV გამოსახულება არის ὁ ἀγιος Γρηγόριος ὁ μεσολόγιος წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (№ 916): მას აქვს ხელში გრაგნილი წარწერით (№ 917): ὁ μ'ς ε | μ'ς ο τ' | ο ον ἀν | ἄρτ', τοι | χ'ν ἡ'μ'α | ἴν χ'σ, ე. ი. ὁ მზბზ ὁ მზბზ ὁ τὸν ὀπαίνιον ἄρτον τὸν Κύριον ἡμῶν Ἰησοῦν Χριστόν. ღმერთო, ღმერთო (რომელმან) ზეცისა პური უფალი ჩვენი, ესუ ქრისტე ეს არის შემოკლებითი ვადმოცემა იოანე ოქროპირის ცნობილი ტექსტისა.

IV გამოსახულება არის ὁ ἀγιος Γρηγόριος ὁ μεσολόγιος წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (№ 916): მას აქვს ხელში გრაგნილი წარწერით (№ 917): ὁ μ'ς ε | μ'ς ο τ' | ο ον ἀν | ἄρτ', τοι | χ'ν ἡ'μ'α | ἴν χ'σ, ე. ი. ὁ მზბზ ὁ მზბზ ὁ τὸν ὀπαίνιον ἄρτον τὸν Κύριον ἡμῶν Ἰησοῦν Χριστόν. ღმერთო, ღმერთო (რომელმან) ზეცისა პური უფალი ჩვენი, ესუ ქრისტე ეს არის შემოკლებითი ვადმოცემა იოანე ოქროპირის ცნობილი ტექსტისა.

რით (№ 917): ὁ μ'ς ε | μ'ς ο τ' | ο οნ ἀν | ἄρτ', τοι | χ'ν ἡ'μ'α | ἴν χ'ს, ე. ი. ὁ მზბზ ὁ მზბზ ὁ τὸν ὀπαίνιον ἄρτον τὸν Κύριον ἡμῶν Ἰησοῦν Χριστόν. ღმერთო, ღმერთო (რომელმან) ზეცისა პური უფალი ჩვენი, ესუ ქრისტე ეს არის შემოკლებითი ვადმოცემა იოანე ოქროპირის ცნობილი ტექსტისა.



№ 908

ეკლესიის ძირითადი ნაწილის ცაში, ცენტრალურ ზოლში, არის ორნამენტი. ჩრდილოეთის მხარეს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ არის ფრესკები წარწერით (№№ 918—920)

I. ἡ στανσασαζ ჯვარცმა, M(ι:χაჩ) მთქელი, Γ(აპრი)ლ გაბრიელი, Ἰ(ησας) X(რისტ)ς, μῆτηρ მძოან, Ἰωάννης იოანე.

II. ἡ ἀνάστασις აღდგომა, Ἰ(ησας) X(რისტ)ς.





ბულია, ისე რომ მისი გრაგნილი არ ჩანს, შეიძლება არც ჰქონდა, რადგან ჩანს, რომ ხმალი უჭირავს ხელში. ხომ ჩვეულებრივია ასეთი კომპოზიციაც: გაბრიელი გრაგნილით, მიქაელი ხმლით.

...  
ΤΑΙΘΡ  
ΦΟΥΡ

IC XC

Ο ΒΑΙΘΟΥΡΟΣ

№ 922

№ 923

კარების თავზე არის ფრესკა „ღვთისმშობლის მიძინება“ წარწერით (№ 935): η αμνησις τ... θησος, ე. ი. η αμνησις τής θειοτθας ღვთისმშობლის მიძინება.

ΗΕΓΕΡΟΙΣ, ΤΟΥ ΛΑΖΑΡΟΥ

IC XC

№ 924

№ 925

ანანურის ეკლესიის წარწერების შესახებ შემდეგი შეიძლება დავასკვნათ: წარწერები ორგვარია: ფრესკათა დამახასიათებელი და ციტატები სხვადასხვა თხზულებებიდან. დაწერილობაც ორგვარია ნახმარი: წითურული და წესხური. წესხური ეს წარწერები საკმაოდ ახლოს დგას მაღალანთ ეკლესიის XVII ს-ის 70—80-იანი წლების წარწერებთან (შდრ. გვ. 202—205).

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ციტატები სხვადასხვა ტექსტებიდან არ

ΘΕΒΑΥΕΛΗΣ ΜΟΣ

ΗΕΝΙΧΘ

IC XC

IC XC

№ 926

№ 927

№ 928

უჭირავთ იმ პირებს, რომლებსაც ისინი დაუწერიათ. მაგ., წმ. ნიკოლოზ აქვს გრიგოლ ნოსელის ტექსტი, გრიგოლ ღვთისმეტყველს—იოანე ოქროპირისა. თვით ციტატებიც არაა გადმოცემული ზუსტად, სიტყვა-სიტყვით ისე, როგორც კანონიკურ ტექსტებშია მოცემული, მაგ., წმ. ბასილის ტექსტი მოცემულია მძაჟაჟა (და არა შაჟაჟა) ფორმა, იოანე ოქროპირის სააღდგომო ლიტურგიის ცნობილი ადგილიდან (რომელიც აქ გრიგოლ ღვთისმეტყველს აქვს) ამოღებულია ერთი ნაწილი მთლად (τῆς ἑορτῆς τῆς ἁγίας ἁναστασίας) და შემოკლებული რედაქციითაა მოცემული. დღესასწაული „ბზობა“ ბერძნულად არის ἡ βρασμοθῆ, აქ კი გვაქვს ანთრონი ἡ, შეიძლება ეს არის არა დღესასწაული, არამედ პირი, რომელსაც ბზა უჭირავს ხელში (ბზიანოსილი). გვაქვს რამდენიმე თავისებური ენობრივი მოვლენა: ბიზანტიურ ბერძნულში დადას-

ტრებულ ბგერათ-დისიმილატიიდან: ηπαπαντ... (ნაცვლად ηπαπαντ...-ისა), ხალხური მეტყველების გავლენით: εβαγγελησμος, რაც ნიშნავს: εβαγγελισμαძ-ს. ორი მსგავსი თანხმონიდან მხოლოდ ერთის დატოვება (გამოთქმაში და მაშასადამე გრაფიკაშიც): γ̄ε̄ν̄ῑσ̄η̄ς (=γ̄ε̄ν̄ῑη̄ς;). მოულოდნელი (და აუხსნელია) ფორმა: ანა-ღ:ჟ:ყ (ნაცვლად ანაღ:ჟ:ყ:ს-სა), არაა მართებული ნათესაობითის ფორმა χ̄ს (Χριστ̄ს), მოსელოდნელი აკუსატივის ნაგეორ (I'v X'v), რაც, ალბათ, იმით იხსნება, რომ მეტისმეტად გავრცელებულია ამ სიტყვისათვის შემოკლება χ̄ს და მწერალს უნებლიედ წასცდა.

Γ II  
 OA  
 ρ  
 Ἰϸ ϸϸ  
 № 929

ΑΑΥΡΕΝΙΟC  
 № 930

OA  
 ρ  
 ΡΟΙΗΝΟC  
 ΟΗΕΑΩ  
 0  
 № 931

O X X  
 ρ  
 Γ ρ Ρ Ι Λ  
 № 932

† | Φ I  
 Φ ὸ C  
 Ḃ Ḃ  
 Π ρ ο  
 τ ο Ḃ  
 Ρ ο ς  
 κ Ḃ  
 π Ḃ  
 Τ Ḃ Δ ὸ  
 C I Ḃ Ḃ  
 - Ḃ Ḃ

დანარჩენი მოვლენები მეტისმეტად დამახასიათებელია და კანონზომიერი ამ დროის წარწერებისათვის.

X II  
 O ρ  
 Η Χ Α Η Λ  
 № 934

იტაციზმი (ყოველგვარი ვარიანტით): βασιλιος, γ̄ρ:γ̄ο:რი:ος, ანაღ:ჟ:ყ, χ̄ი:ჟ:ყ:ს, γ̄ენ:ი:ჟ:ყ:ს, ანასტაჟი:ს, βαპტი:ჟ:ყ:ს, ევაγγელჟი:ს, ηπαπαντ..., μετამოρფო:სი:ს. o-ის ხმარება ω-ის მაგივრად: σταυρω:სი:ს, μετამορφο:სი:ს.

Η C I Ḃ C I S  
 T III Ḃ Ḃ Ḃ  
 № 935

გვხვდება შემოკლებები: I'c, X'c, I'v, Xv, მჟრ მ-ს, მ-ს, მ:χ:ო-ს, არχლ, Iω, αρτ, τ(= τόν და τών) (ვიღებ



მარტყოფი

მარტყოფის სამონასტრო კომპლექსი, ღვთაებად წოდებული, მღებარეობს მარტყოფისა და ნორიოს მახლობლად მთის წვერზე, მის გვერდით გორაკზე კი არის წმ. ანტონის ეკლესიის ნანგრევები. ჩანს, თავის დროზე აქ დიდი სამონასტრო კერა ყოფილა სხვადასხვა დროის ნაგებობებით. ერთ-ერთი გუმბათიანი ეკლესია (12 სარკმლიანი) სულ 100 წლისაა დაახლოებით. ამჟამად ერთადერთი ბერძნული წარწერა ამ ეკლესიის საკურთხეველის კონქშია: ΜΡ ΘΥ, 1904 წლის რემონტის შედეგად ყველგან არის ახალი მხატვრობა და ახალი წარწერები, ორივე რუსული. ზოგან კი (მაგ., წმ. გიორგისა და წმ. ანტონის ბაზილიკური ტიპის, უფრო ძველ ეკლესიაში) კედლები მთლად შეთეთრებულია.

ლიტერატურაში არის ცნობა: „Марткопский монастырь.. Живопись и храмe Сольшею частью была византийская именами греческими (Баградзе, Кавказ... стр. 98; Помяловский и, Сборник... стр. 70).

1904 წლის „შეკეთების“ შედეგად მარტყოფის მონასტერში ბერძნული წარწერების თვლსაზრისით საინტერესო არაფერია.

მარტყოფის სამონასტრო კომპლექსში არის სამსართულიანი სამრეკლო, მის აგურის კედლებში ჩადგმულია ქვები ქართული მხედრული წარწერებით<sup>1</sup>.

ნინოწმინდა

ნინოწმინდის ტაძრის სხვა წარწერათა შორის გამოირჩევა ერთი, რომელიც კარგა ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს (№ 938).

წარწერას ს. კაკაბაძე სთვლიდა ქართულად („ღმერთო შეეწიე იოანე იაკობ მთაფარეპისკოპოსს“, და შემდეგ „ღმერთო, წმიდაო ჯუარო, იაყუბ მთაფარეპისკოპოსი შეიწყალე“). პ. ინგოროყვა სთვლის მას ალვანურ-ჭერულად, რომლის შემკვიდრედ იგი მიიჩნევს უდურს (ტექსტი პ. ინგოროყვას ასე აქვს ამოშიფრული: „ქრისტე, ოზბ-ს-გ ოლმ-ლ-ლ პაკორდუხტოკ“, მკვლევარი სთვლის, რომ ეს წარწერა იმავე შინაარსისაა, რაც ამის გვერდით მოთავსებული ქართული წარწერა: „ქრისტე მოიქსენე სული ბაკურდუხტისი,

<sup>1</sup> ჩრდ. კედელში, კარების თავზე სწერია: „ქ. აშენდა სამრეკლო! ესე კელითა კათალიკოზისა ახვე...! დასითა შენდობა“ უთხარია. სამხრეთ კედლის წარწერაა: „ჩვენ დანდობილმან... ბისმან სავეთ... საყდრისა მისმან ჭადრაჯი შვილმან კიხკის მურვან ამირის ძემან ხაქარიამ კელეყავ ძირითვან აღშენებად სამრეკლოსა ამის სახსენებლად სულისა ჩვენისა და ცოდეთა ჩვენთა შესანდობლად აშნ მას ჟამსა ოდეს განაგებდა მეფობა საქართველოსსა მეფე ჭერაკლე ძის წული მე... თვიმურახისა ქკს ტახ.“

resp. პაკორდუხტისი“) ა. შანიძე მას პირობითად ჰერულს უწოდებს, მაგრამ მიიჩნია, რომ უცნობია დამწერლობაცა და ენაც. ალბანურისაგან მას განსხვავებულად მიიჩნევს, ხოლო მის საერთო ბერძნულ სტილს სცნობს<sup>1</sup>.

† Π. Ο. V. C. Λ. Θ. Ε. Μ  
 Ο. Δ. Β. Δ. Π. Ε. Θ. Ι.  
 Ο. Μ. Ψ. Β. Ε

№ 938

† Π. Ο. V. C. Λ. Θ. Ε. Μ

№ 939

† Ψ. Ε. Χ. Η. Δ

№ 942

როდესაც წარწერას ვერ ვარჩევთ, ძნელია იმის თქმა, რომ ის მაინც-დამაინც ბერძნულია, მაგრამ ცალკეული ასოები უეჭველად მოგვაგონებს ბერძნულს (№ 939): სარკვევია რამდენიმე ნიშანი (№ 940). რაც შეეხება პირველს (№ 941), ასეთი ნიშანი სხვა ბერძნულ წარწერებშიც გვხვდება: მაგ., 1053 წლის ალავერდის ოთხთავში (A 484) გვაქვს (№ 942): (გვ. 319 v), რაც ნიშნავს: + ψ, ε, χ, η, ρ (?) ო (შდრ. გელათური ოთხთავის [Q 39, გვ. 228 r]

◇. √. □. ○. ∩

№ 940

◇

№ 941

მინაწერს), ხოლო ქვემოთ მოყვანილი ქართული წარწერის მიხედვით: „ჯუარი. სულთა აღდგომაჲ. ცხოვრებაჲ საუკუნოჲ. აღმყვანებული ნათლად ზეცი-სად. ჯუარი. დიდებაჲ ქეწისი“ (ე. ი. ბერძნული ასოები აღნიშნავს: თაჲაჲჲ. ფაჲჲ. ზღაჲჲ. ღჲ: თანჲ. ნჲჲაჲჲ, თაჲაჲჲ. ბანჲ). ამგვარად, ნიშანი (№ 941) არის შესაბამი P-ისა და ნიშნავს „ჯუარს“, (თუ რატომ, ცოტა გაუგებარია). საერთოდ წარწერა, ალბათ, ქრისტეს მიმართავს აღნიშნავდა (პირველი ნიშანი + და შდრ. იქვე დატულ ქართულ წარწერებს: ქე, შეიწყალე სტეფანე არქიეპისკოპოსი“, „ქე, მოიგნენე სული ბაკურდუხტისი“, „ქე, შეიწყალე კა-ცაჲ“, „ქე, შეიწყალე თევდორე“<sup>1</sup>).

ნიონომონდის წარწერა დიდი დაეჭვებით შემაქვს ამ კრებულში, რადგან მისი ბერძნული წარმოშობა დადგენილად ვერ ჩაითვლება.

### ვეჯინი

ვეჯინი გურჯაანთან ახლოს მდებარე სოფელია. ამჟამად ბარში არის სოფელი, ადრე კი მთაზე ყოფილა (ჯერ კიდევ 1910 წელს მთაზე უსაფლავე-ბიათ მიცვალებულები). მთა სოფლიდან დასავლეთით მდებარეობს. იმ გზის

<sup>1</sup> ა. შანიძე, Новоткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки: ენმის მოაზრე, IV. 1933, გვ. გვ. 1—58, სახელდობრ ნიონომონდის წარწერების შე-სახებ გვ. გვ. 54—56.



პირას, რომელიც ადის სოფლიდან მთის წვერისკენ, რამდენიმე დანგრეული ეკლესიაა. ქვემოდან I, გზის მარცხნივ არის წმ. გიორგის ეკლესია (აქვე არის ერთი კოშკიც). შემდეგ გზის მარჯვნივ წყაროსთან არის პეტრე მოციქულის სახელობის ბაზილიკური ტიპის ეკლესია. ამის შემდეგ—გუმბათიანი, აგურიით განახლებული და შესავალ ცისფრად მოქიქული, ე. წ. ყოვლად წმინდა. არც ერთ ამათგანში არაა არც ფრესკები, არც წარწერები.

მთის წვერზე არის ნაგებობების მთელი კომპლექსი (მარტო ეკლესიები—სამია), ირგვლივ გალაუნის ნანგრევებია; შემოსასვლელთან იქვე მარცხნივ აგურის სამ-

ՕՄԷ

@

NIKO

@

AA

№ 943

ՈՐՈՒՆԿ

ՍՈՒՆԱ

KICÓIGP

ՄԻՇԽՄԵՆ

ԿՇՄԼԵ

№ 944

რეკლამა, ცოტა ზემოთ პატარა ბაზილიკაა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ღვთაებას უწოდებენ, დ. გორდევების წერილში მას „ამაღლებისა“ (Вознесенская базилика) ჰქვია<sup>1</sup>. ზენობაში შესასვლელი არის დასავლეთიდან და სამხრეთის კედლის დასავლეთის კუთხიდან. სამხრეთის კედელში არის ერთი ოთხკუთხედი ფანჯარა, თითქოს ეხლახან (?) გამოჭრილი. ჩვეულებრივი ფორმის სარკმელი არის საკუროთხვეველში და პატარა სარკმელი—დასავლეთ კარების თავზე. კედლებზე შემორჩენილია მხატვრობისა და წარწერების ნაშთები. მხატვრობა XVI—XVII სს-ით არის დათარიღებული<sup>2</sup>.

საკუროთხვეველი. ცაში გამოსახულია დედა-ღვთისა ჩვილით და აქეთიქით მთავარანგელოზებით. ამის ქვევით დახატულია 6 წმინდა მამა, ამათგან სამს აქვს ხელში გრაგნილები, ბერძნული წარწერებით. მარცხნიდან მარჯვნივ:

I (№ 943):  $\delta$   $\alpha\gamma\iota\omicron\varsigma$   $\text{N}\iota\kappa\acute{\alpha}\lambda\alpha\varsigma$  წმ. ნიკოლოზი. მის გრაგნილზე სწერია (№ 944):  $\alpha\lambda\lambda\iota\gamma' \chi/ \rho\alpha\lambda\lambda\acute{\alpha} \kappa\iota\varsigma \omicron\iota \rho\alpha\tau\epsilon\varsigma \rho\iota\pi\tau\omicron\mu\epsilon\upsilon$   $\chi/ \sigma\upsilon \delta\epsilon$ , ე. ი.  $\alpha\lambda\lambda\iota\gamma$   $\chi\alpha\iota$   $\rho\alpha\tau\epsilon\varsigma \sigma\omicron\iota \rho\alpha\tau\epsilon\varsigma \rho\iota\pi\tau\omicron\mu\epsilon\upsilon \chi\alpha\iota$   $\sigma\iota\upsilon\varsigma \delta\epsilon$  (ბრძანება) კვლავ და მრავალგზის დავეშვებით უნს წინაშე და უგებოვო უნ... (ტექსტი ეკუთვნის ათანასე ალექსანდრიელს, შტრ. „ერმ“. გვ. 154).


II. (№ 945):  $\delta$   $\alpha\gamma\iota\omicron\varsigma$   $\Gamma\rho\eta\gamma\acute{\omicron}\rho\iota\alpha\varsigma$   $\delta$   $\mu\epsilon\alpha\lambda\acute{\omicron}\tau\omicron\varsigma$  წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი. მის გრაგნილზე სწერია (№ 946):  $\omicron$   $\mu\epsilon\zeta \omicron\iota$   $\alpha\gamma\iota\omicron\varsigma$   $\omicron$   $\epsilon\upsilon$   $\alpha\gamma\iota\omicron\varsigma$   $\chi\rho\alpha\nu\alpha\pi\alpha\zeta\acute{\alpha}\nu$  = მებაჟ  $\alpha\gamma\iota\omicron\varsigma$   $\delta$   $\epsilon\upsilon$   $\alpha\gamma\iota\omicron\varsigma$   $\alpha\nu\alpha\pi\alpha\zeta\acute{\alpha}\nu\tau\omicron\varsigma$ ... წმიდა არს ღმერთი, რომელი წმიდათ-შორის განისვენებს...

<sup>1</sup> Д. Гордеев, Краткий отчет о командировках в Казань и Горный уезд летом 1917: Известия КОМАО, вып. V, 1919 г. стр. 9.

<sup>2</sup> Ш. Амيرانашвили, История грузинского искусства, 1950. стр. 270.


III. (№ 947): ὁ ἄγιος Ἰωάννης ὁ Χρυσόστομος წმიდა იოანე ოქროპირი. მის გრაგნილზე სწერია (№8 948): ὁ θς ὁ μς ἴψμαυ ὁ ταιυ ὀπαχῶιου ἄρτου τῆυ ρεσῆτῆυ... ღმერთო, ღმერთო, ჩვენო, რომელი ზეციურ პურს, საზრჯელსა...

ეს სამივე გამოსახულება არის სარკმლის მარცხნივ (მაყურებლისთვის), სარკმლის მარჯვენა გამოსახულებებს სახელები აღარ უჩანთ და გრაგნილები არცა აქვთ ხელში. ბერძნული ხელი საკმაოდ კარგია. სხვა ბერძნული წარწერები ეკლესიაში არაა. ძირითადი ნაწილის ცაში არის ფრესკები ქართული მდარე მთავრული წარწერებით. მაგ., ΠΑΤΗΡ, ΥΙΟΣ, ἍΓΙΟΣ ΠΝΟΥΜΑ და სხვა. არის ცალკე გამოსახულებები კვლავ ქართული წარწერებით: ჭხუ, ზხუ და სხვა.




№ 945


ამ ეკლესიას ჩრდ. მხარეს აქვს მინაშენი ეკვტერიით. იგი ორ-განყოფილებიანია. მინაშენს შესავალ კა-



№ 946



№ 947



№ 948

რებზე ჩუქურთმები აქვს და შესასვლელის მარჯვენა გვერდზე, ქვაზე, ჯვარი ამოჩუქურთმებული. მარცხნივაც არის ქვაზე ჯვარი, მხოლოდ ცოტა სხვა ფორმის, ვიდრე მარჯვენა.

ვეჯინის „ღვთაებაში“, როგორც ვხედავთ, სამია ბერძნული წარწერა: სამივე არის წმიდა მამათა თხზულებებიდან ციტატი და ამ პირთა დასახელება. გრიგოლ ღვთისმეტყველსა და იოანე ოქროპირის ხელში უპირავთ საკუთარი თხზულებების ნაწყვეტები, რაც შეეხება წმ. ნიკოლოზს, მის გრაგნილზე ათანასე ალექსანდრიელის ნაწარმოებია მოყვანილი. ნაწყვეტები სრულიად კანონიკურ ტექსტებს წარმოადგენენ. არც რედაქციულად, არც სტილისტურად, არც ლექსიკის მხრივ აღსანიშნავია არაფერია.

საინტერესოა ფონეტიკა, მართლწერა და პალეოგრაფია. ფონეტიკიდან და მართლწერიდან ყურადღების ღირსია: ორი მუზოზელი თ-დან რჩება ერთი: π ο λ λ α α σ ο ι (= π ο λ λ α α σ ο ι...), თ-ლიფთონგი აჰ-სახით სწერია: α ν α π α ρ ὀ - [μενος]. იტატიზმის ერთი შემთხვევაა მხოლოდ: γ ρ ὀ γ ὀ ρ ὀ ε. ი-ის მაგივრად იხ-

მარება ა: ταν (= τόν) და ἄρταν (= ἄρτον). გვაქვს შემდეგი შემოკლებები: x/ (№ 949), ზ-ξ, Iა და πρῶφ (№ 950) და σν (= σιν). ეს უკანასკნელიც შევიტანე შემოკლებებში, თუმცა შეიძლება მწერალს ასე არ ჰქონდა გააზრებული ეს დაწერილობა. ხომ არაა დიალექტური მონაცვალება ის და ს-სი? ან უბრალოდ, შეცდომა, გამორჩა მწერალს o.

κγ (= κδι)

№ 949

Iა, ρῶφ

№ 950

A და N

№ 951

უნდა ითქვას, რომ ამ გვიანი ხანის ნაწერში შედარებით დატულია მართლწერის კლასიკური ნორმები. მახვილისა და ფშენის ნიშნები იხმარება, ჩვეულებრივ თავის ადგილას. უადგილოა spiritus asper სიტყვებში: ἄρταν და ἄρτανος და არ ვარგა მახვილი ამ უკანასკნელში.

α, β, γ, δ, ε, ζ, η, θ, ι, κ, λ, μ, ν, ξ, ο, π, ρ, σ, τ, υ, φ, χ, ψ, ω, Ω, Ω̄ (= ὑραυ), Ω̄ (≠ πωυ).

№ 952

ასოთა მოხაზულობიდან გამოირჩევა A და N (№ 951), რაც გვხვდება უკრო აღრინდელ ძეგლებშიც (მაგ., შდრ. ლინს). საინტერესოა ლიგატურები, რომელთა შორის არის გავერცელებული და ზოგი კი იშვიათად ხმარებული (№ 952).

როგორც ზემოთაც ითქვა, ვეჯინის ბაზილიკის მხატვრობა XVI—XVII სს-ით არის დათარიღებული. წმინდა პალეოგრაფიული ნიშნებით ასე გარკვეულად ხელის დადება ამ საუკუნეებზე გაკირდება, ასეთი დაწერილობა გვხვდება XIV—XVII სს. ფრესკებზე.

## შუამთა

შუამთა მდებარეობს თბილის-თელავის გზაზე, თელავიდან 7—8 კმ-ის მოშორებით. ახალი შუამთა ამ მთავარ გზას 1/2 კმ-ით იქნება დაშორებული, ძველი შუამთა კი ახლიდან 2—3 კმ-ზეა, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთებში. ძველი შუამთის ეკლესიებში (მათში 2 გუმბათიანია და ერთი ბაზილიკური ტიპის) ბერძნული წარწერები არაა; ახალი შუამთის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია XVI ს-შია აგებული ლევან მეფის მეუღლის, თინათინის მიერ და მოხატულიც მაშინვეა. შ. ამირანაშვილის აზრით ახალი შუამთის ფრესკები გვიან ათონური მხატვრობის გავლენას განიცდიდნენ; XVII ს-ის დასაწყისში მოხდა მათი რესტავრირება მოსკოვიდან მოსული რუსი მხატ-

